გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

ვოლტერი

ბაბილონის პრინცესა

ვოლტერი 1
ბაბილონის პრინცესა 1
I 2
II 10
III 12
IV 16
V 26
VI 30
VII 33
VIII 35
IX 40
X 43
XI 49
XI 55

I

ბაბილონის მეფეს, მოხუც ბელუსს პირველ კაცად მიაჩნდა თავი: რა ექნა? ამას ეუბნებოდა მისი ყოველი კარისკაცი და ისტორიოგრაფებიც ამასვე ამტკიცებდნენ. ეს სასაცილო ახირება მხოლოდ იმით შეიძლებოდა გაემართლებინათ, რომ ბაბილონი მის წინაპრებს ოცდაათი ათასი წლის წინ აეშენებინათ, ხოლო მერე ბელუსს გაემშვენიერებინა. ისიც ცნობილია, რომ ბაბილონიდან რამდენიმე ფარასანგზე[1] მდებარე მისი სასახლე და პარკი გაშენებული იყო ევფრატსა და ტიგროსს შორის, თვალწარმტაც სანაპიროებს რომ რწყავდნენ. ვრცელი, ცადატყორცნილი სასახლის ფასადი სამი ათასი ნაბიჯის სიგრძისა იყო. ბანიან სახურავს ორმოცდაათი ფუტის

სიმაღლის თეთრი მარმარილოს მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული, სადაც ყველა მეფისა და სამეფოს ყველა წარჩინებული პირის უზარმაზარი ქანდაკებები იდგა. მთელი სახურავი სქელი ტყვიის ზედაპირით დაფარული ორკეცი აგურისაგან გაეკეთებიათ, ზედ თორმეტი ფუტის სიღრმის მიწა დაეყარათ და ზეთისხილის, ფორთოხლის, ლიმონის, პალმის, მიხაკის და დარიჩინის ხეების ნამდვილი ტყე გაეშენებიათ, რომლის ხეივნებიც მზის სხივს არ ატარებდნენ.

ტუმბოებით ამოზიდული ევფრატის წყალი მარმარილოს აუზებს ავსებდა, შემდეგ არხებში მიედინებოდა, ექვსი ათასი ფუტის სიმაღლის ჩანჩქერებსა და თვალუწვდენელ შადრევნებს

ქმნიდა პარკში და ბოლოს ისევ უბრუნდებოდა ევფრატს. სემირამიდას ბაღები[2], რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით მთელი აზია რომ გააკვირვა, ამ ანტიკური სასწაულების სუსტი მიბაძვაღა იყო; რადგან სემირამიდას დროიდან მოკიდებული, ყველაფერი გადაგვარებას იწყებს მამაკაცთა და დედაკაცთა ხელში.

მიუხედავად ამისა, ის, რაც ყველაზე მეტად იწვევდა აღტაცებას ბაბილონში, ის, რაც ყველაფერს ჩრდილავდა, მეფის ერთადერთი ასული, ფორმოზანტი[3] გახლდათ. მისი პორტრეტებისა და ქანდაკებების მიხედვით რამდენიმე საუკუნის შემდეგ პრაქსიტელმა[4] აფროდიტე გამოაქანდაკა, რომელსაც „ლამაზდუნდულიანი ვენერა[5]“ უწოდეს. ღმერთო დიდებულო! რა დიდი განსხვავებაა ასლსა და დედანს შორის! ამრიგად, ბელუსი თავის სამეფოზე მეტად საკუთარი ქალიშვილით ამაყობდა. იგი თვრამეტი წლის შესრულდა და ღირსეული საქმროს შერჩევა გახდა საჭირო, მაგრამ სად ეძებნათ? ერთმა მისანმა ბრძანა, ფორმოზანტს მხოლოდ ის შეირთავს ცოლად, ვინც ნემბროდის[6] მშვილდს მოზიდავსო.

გულად მონადირეს, ნემბროდს აბანოზის ხისგან გათლილი მშვილდი დარჩა, რომლის სიგრძეც შვიდი ბაბილონური ფუტი იყო. აბანოზის ხე დარუბანდის სამჭედლოებში გამოჭედილ რკინაზე მაგარი გამოდგა და ამიტომაც ნემბროდის შემდეგ ვერც ერთმა მოკვდავმა ვერ მოზიდა ეს სასწაულებრივი მშვილდი.

მისანმა ისიც ბრძანა, ვინც ამ მშვილდს მოზიდავს, მანვე ბაბილონის ცირკის არენაზე გაშვებული მძვინვარე ლომიც უნდა მოკლასო. არც ეს კმაროდა: ვინც მშვილდს მოზიდავდა და ლომს მოკლავდა, მას მეტოქეებიც უნდა დაემარცხებინა ასპარეზზე. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, იგი გონებამახვილი, დიდსულოვანი და სათნო უნდა ყოფილიყო; თანაც ისეთი იშვიათი ნივთი უნდა ჰქონოდა, რომლის ბადალს დედამიწის ზურგზე ვერ იპოვიდნენ.

ფორმოზანტის შერთვას სამი მეფე ეცილებოდა ერთმანეთს: ეგვიპტის ფარაონი, ინდოეთის შაჰი და სკვითიის დიდი ყაენი. ბელუსმა შეჯიბრების დღე დანიშნა. საასპარეზოდ ბაღის ბოლო აირჩია, ევფრატისა და ტიგროსის წყლებით გარშემორტყმული ვრცელი მოედანი. ხუთასი ათასი მაყურებლისათვის განკუთვნილ არენას მარმარილოს ამფითეატრი შემოავლეს; ამაფითეატრის პირდაპირ მეფის ტახტი დადგეს, სადაც მეფე და ფორმოზანტი ამალის თანხლებით უნდა დაბრძანებულიყვნენ. მარჯვნივ და მარცხნივ, მეფის ტახტსა და ამფითეატრს შორის

ტახტები და სავარძლები იდგა სამი მეტოქე მეფისა და სამეფო ცერემონიალზე ჩამოსული სუვერენებისათვის.

პირველად ეგვიპტის მეფე მოვიდა; იგი აპისის ხარზე იჯდა და ხელში იზიდას[7] სისტრი[8] ეჭირა. ფარაონს თან ახლდა თოვლზე უთეთრესი ტილოს კაბებით მოსილი ორი ათასი ქურუმი, ორი ათასი საჭურისი, ორი ათასი მოგვი და ორი ათასი მეომარი.

მალე ინდოეთის შაჰიც მობრძანდა ეტლით; ეტლში თორმეტი სპილო შეებათ. ინდოეთის მეფე ეგვიპტის ფარაონზე უფრო მრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე ამალით ჩამოსულიყო.

ბოლოს სკვითების ყაენიც გამოჩნდა. მას თან ახლდნენ მშვილდ-ისრებით შეიარაღებული რჩეული მეომრები. მეფე თავის მიერ მოთვინიერებულ მშვენიერ ვეფხვზე იჯდა, რომელიც სპარსულ ლამაზ ბედაურებს არ ჩამოუვარდებოდა სიმაღლით. ეს მონარქი დიდებული და წარმოსადეგი ტანადობით აშკარად ჩრდილავდა მეტოქეებს. თეთრი, დაძარღვული შიშველი მკლავების დანახვაზე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდათ, თითქოს იგი უკვე ჭიმავდა ნემბროდის მშვილდს.

სამივე უფლისწული პირველყოვლისა ბელუსისა და ფარმოზანტის წინ განერთხნენ. ეგვიპტის მეფემ ნილოსის ორი მშვენიერი ნიანგი, ორი ჰიპოპოტამი, ორი ზებრა, ორი ეგვიპტური ვირთხა და ორი მუმია მიართვა პრინცესას; ამას გარდა დიდი ჰერმესის წიგნებიც მოეტანა, რასაც იგი იშვიათობად თვლიდა.

ინდოეთის მეფემ ასი სპილო აჩუქა მეფის ასულს; თითოეულ სპილოს მოოქრული ხის კოშკურა ედგა ზურგზე; ინდოეთის მეფემ თვით ქსაკას[9] ხელით დაწერილი „ვედები[10]“ დაუდო ფერხთით.

სკვითების მეფემ, რომელმაც არც წერა იცოდა და არც კითხვა, შავი მელიების ტყავის ასალებით დაფარული ასი საომარი ცხენი უძღვნა მეფის ასულს.

მშვენიერმა პრინცესამ თვალები დახარა და მოკრძალებით, მაგრამ მოხდენილად მიესალმა საქმროებს.

ბელუსმა ბრძანა, მონარქები მათთვის განკუთვნილ ტახტებთან მიეცილებინათ.

- ნეტავი სამი ქალიშვილი მყავდეს, - უთხრა მეტოქე საქმროებს, - დღეს ექვს ადამიანს გავაბედნიერებდი!

ბელუსმა ბრძანება გასცა, კენჭი ეყარათ, სამ მეფეთაგან რომელს უნდა მოეზიდა პირველად ნემბროდის მშვილდი. ოქროს მუზარადში ქაღალდები ჩაყარეს, ზედ საქმროების სახელები იყო დაწერილი. პირველი ნომერი ეგვიპტის ფარაონს ერგო, მეორე - ინდოეთის შაჰს, ხოლო როცა სკვითების მეფემ მშვილდსა და მეტოქეებს გადახედა, აღარ ინანა, მესამე ნომერი რომ ერგო.

სანამ ამ ბრწყინვალე შეჯიბრის სამზადისი მიდიოდა, ოცი ათასი დარბაზის ყრმა და ოცი ათასი მხევალი მშვიდად მიმოდიოდა სავარძლებს შორის და მაყურებლებს გამაგრილებელ სასმელებს

სთავაზობდა. საყოველთაო ჭეშმარიტება გახლდათ: ღმერთს იმისთვის გაუჩენია მეფეები, რომ ყოველი დღე დღესასწაულად აქციონ და თანაც ეს თავშექცევები ნაირსახოვანი გახადონ; ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, მისი სხვაგვარად გატარება შეუძლებელიაო; საჩივრები, ინტრიგები, ომი, ქურუმთა კამათი, სიცოცხლეს რომ უწამლავენ ადამიანებს, მხოლოდ უაზრო და უსიამოვნო რამ არისო.

ადამიანი გართობისთვისაა გაჩენილი, მას ასე თავდავიწყებით არც ეყვარებოდა მუდმივი თავშექცევა, ამისთვის რომ არ იყოს დაბადებულიო; ადამიანის ბუნების დედაარსი თვითდატკბობაა, ყველაფერი დანარჩენი სისულელეაო. ოღონდ ესაა, ამ საუცხოო მორალს ფაქტები მუდამ ეწინააღმდეგებიან.

ის იყო ფორმოზანტის ბედის გადამწყვეტი შეჯიბრება უნდა დაეწყოთ, რომ ცირკის ასპარეზის ზღუდესთან მარტორქაზე შემჯდარი ახალგაზრდა უცნობი გამოჩნდა; მისი თანხმლები მსახურიც ასეთივე ცხოველზე იჯდა. უცნობ ჭაბუკს ვეებერთელა ფრინველი ეჯდა ხელზე. მცველები სახტად დარჩნენ, რადგან ჭაბუკს ღვთაების სახე ჰქონდა; როგორც შემდეგ თქვეს, ჰერკულესის მხრებზე ადონისის[11] თავი ედგა; დიდებულება და სინატიფე თითქოს შერწყმულიყო მასში. შავი წარბები და ქერა, გრძელი თმა უცხო სილამაზის ნიმუშს წარმოადგენდა ბაბილონისთვის და ხალხი მაშინვე მოიხიბლა. მთელი ამფითეატრი ფეხზე

წამოდგა, უნდოდათ კარგად დაჰკვირვებოდნენ. სასახლის ქალებმა გაოცებული მზერა მიაპყრეს ჭაბუკს. თვით ფორმოზანტი, აქამდე თავდახრილი რომ იჯდა, მის შემოხედვაზე გაწითლდა; სამივე მეფეს ფერი დაეკარგა. მაყურებლებმა ერთმანეთს შეადარეს ფორმოზანტი და უცნობი ჭაბუკი და ერთხმად აღიარეს:

- ამ ჭაბუკის გარდა არავინაა ამქვეყნად ისეთი, მეფის ასულივით მშვენიერი რომ იყოს!

გაკვირვებულმა დარაჯთუხუცესმა უცნობს ჰკითხა, მეფე ხომ არ ბრძანდებითო. ჭაბუკმა უპასუხა, ეს პატივი ნამდვილად არ გამაჩნია, მე მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ მომიყვანა შორიდან, მინდოდა საკუთარი თვალით მენახა, არსებობს თუ არა ქვეყანაზე ისეთი მეფე, მშვენიერი ფორმოზანტის ღირსი რომ იყოსო. უცნობ ჭაბუკს, მის მსახურს, ორ მარტორქასა და ლამაზ ფრინველს ამფითეატრის პირველი რიგისკენ გაუძღვნენ. ჭაბუკი მოკრძალებით მიესალმა ბელუსს, მის ასულს, სამივე მეფეს და მთელ საზოგადოებას, და სახეზე ალმოდებულმა ადგილი დაიკავა. ორივე მარტორქა მის ფეხებთან გაწვა, ფრინველი მხარზე ჩამოასკუპდა, ხოლო მსახური, ხელში რომ პატარა ყუთი ეჭირა, გვერდით დაუდგა.

შეჯიბრი დაიწყო. ნემბროდის მშვილდი ოქროს ხილიფიდან ამოიღეს. დღესასწაულის გამრიგემ, ორმოცდაათი დარბაზის ყრმა უკან რომ მოსდევდა, ხოლო ოცი მებუკე წინ

მიუძღვოდა, მშვილდი ეგვიპტის ფარაონს გადასცა. ფარაონმა მშვილდი ქურუმებს აკურთხებინა, შემდეგ აპისის ხარს დაადო თავზე და უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, პირველი გამარჯვება მე დამრჩებაო. ფარაონი ცირკის არენაზე ჩავიდა, მშვილდი მოსინჯა, ძალა მოიკრიბა და ისე დაიკრუნჩხა, ამფითეატრზე სიცილი ატყდა. ფორმოზანტსაც გაეღიმა. ქურუმთუხუცესი ეგვიპტის მეფეს მიუახლოვდა და უთხრა:

- თქვენო უდიდებულესობავ, უარი თქვით ამ ამაო პატივზე, რაც კუნთებსა და ნერვებზეა აგებული. სამაგიეროდ დანარჩენ გამოცდებში თქვენ გაიმარჯვებთ. თქვენს ხელთაა ოზირისის ხმალი, ლომს ადვილად დაამარცხებთ. პირობის თანახმად, ბაბილონის პრინცესა გონიერ მეტოქეს უნდა დარჩეს: გამოცდების ამოხსნა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს თქვენთვის; ამის გარდა, მისი მეუღლე სათნო ადამიანი უნდა იყოს: თქვენ ხომ ეგვიპტის ქურუმთა აღზრდილი ხართ, მაშასადამე, სათნოც ბრძანდებით! გულუხვ მეფეს უნდა გაჰყვესო ცოლად: თქვენ ხომ ორი უმშვენიერესი ნიანგი და ორიც ულამაზესი ვირთხა აჩუქეთ, მათი ბადალი კი მთელ დელტაში[12] არ მოიპოვება; აპისის ხარი და ჰერმესის წიგნებიც თქვენ გეკუთვნით, ქვეყნად ხომ არაფერია იმაზე უმშვენიერესი?! მაშასადამე, ფორმოზანტის ხელს ვერავინ შეგეცილებათ!

- მართალი ხართ, - თქვა ეგვიპტის მეფემ და თავის ტახტს მიაშურა.

მშვილდი ინდოეთის შაჰს გადასცეს. შაჰმა ამაოდ იწვალა, ხელები ისე დაეკოჟრა, ზებერები მთელი ორი კვირა ვერ მოირჩინა. მერე თავი დაიმშვიდა, ვერც სკვითის მეფე იქნება ჩემზე ბედნიერიო და თავის ადგილს დაუბრუნდა.

ახლა სკვითიის მეფის ჯერი დადგა: მან ძალას მოხერხებულობაც დაურთო. მის ხელში მშვილდმა მოქნილობა მიიღო, ოდნავ კიდევაც მოიღუნა, მაგრამ ეტყობოდა, ბოლომდე მის მოზიდვას მაინც ვერ შეძლებდა ყაენი. ამფითეატრს, რომელიც სანდომიანი გარეგნობის გამო სწორედ სკვითიის მეფისწულს აკუთვნებდა უპირატესობას, ამ წარუმატებლობის დანახვაზე კვნესა აღმოხდა; ბევრმა კიდეც გადაწყვიტა, მეფის ასული ვერასდროს გათხოვდებაო.

და აი, უცნობი ჭაბუკი ერთი ნახტომით გაჩნდა ცირკის მოედანზედა სკვითიის მეფეს მოახსენა:

- ნუ გიკვირთ, თქვენო უდიდებულესობავ, მთლიანად რომ ვერ მოზიდეთ ეს მშვილდი. აბანოზის მშვილდებს ჩემს ქვეყანაში ამზადებენ. მისი მოზიდვა ერთადერთი ხერხით შეიძლება. ამ მშვილდის ოდნავი მოღუნვა თქვენ უფრო მეტ პატივსა გდებთ, ვიდრე მე, რომელსაც მისი მთლიანად მოზიდვა არ გამიჭირდება.

ჭაბუკმა სწრაფად აიღო ისარი, ლამბს მიადო, მოზიდა ნემბროდის მშვილდი და ისარი შორს,

ზღუდის მიღმა გადატყორცნა. ამ სასწაულის დანახვაზე მილიონმა ხელმა ტაში შემოჰკრა. ბაბილონი ზანზარებდა მოწონების შეძახილებით. ქალები ამბობდნენ, რა ბედნიერებაა, ეს მშვენიერი ჭაბუკი ასეთი ღონიერი რომ არისო.

უცნობმა სპილოს ძვლის პატარა ფირფიტა ამოიღო ჯიბიდან და ზედ ოქროს ნემსით რაღაც დააწერა; ფირფიტა მშვილდზე მიამაგრა და ისე მოხერხებულად მიართვა მეფის ასულს, ყველა მოიხიბლა. მერე ფრინველსა და მსახურს შორის მოკრძალებით ჩამოჯდა. ბაბილონელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. სამი დარცხვენილი მეფე თავდახრით იჯდა, ხოლო უცნობი არაფერს იმჩნევდა.

ფორმოზანტი გაკვირვებული დარჩა, როცა სპილოს ძვლის ფირფიტაზე ლამაზ ქალდურ ენაზე დაწერილი ლექსი წაიკითხა:

ნემბროდის მშვილდი საომარი იარაღია,
ამურის ისარს სიყვარული მოაქვს ოდითგან.
იგი თქვენია, ზეციური რამ სილაღეა, ძალგიძთ
აძგეროთ, რომე სისხლში ცეცხლი მოდიდდეს.
სამ ძლიერ მეფეს გაუმართავს ბრძოლა ფიცხელი.

მაგ თვალთა მზერას ჰმორჩილებდეს - ყველას
სწყურია.
ვინც გაიმარჯვებს, ქორწინების სიამე ელის,
ვინც დამარცხდება, ის ყველაზე უბედურია.

ამ პატარა მადრიგალს მეფის ასულის რისხვა სულაც არ გამოუწვევია, თუმცა სასახლის ზოგმა კარისკაცმა ლექსი მაინც დაიწუნა; თქვეს, წინათ, ძველ დროში ბელუსს მზეს შეადარებდნენ[13], ფორმოზანტს - მთვარეს, მის კისერს - გოდოლს, ხოლო მის მკერდს - ხორბლის საწყაოსო. იმასაც დასძენდნენ, უცნობ ჭაბუკს ფანტაზია აკლია და ჭეშმარიტი პოეზიის წესებსაც არ იცავსო. მიუხედავად ამისა, ქალებს ძალიან მოეწონათ ლექსი, აღტაცებით შეჰყურებდნენ უცნობს, რომელმაც ასე ადვილად მოზიდა მშვილდი და თან ასეთი გონებამახვილობა გამოიჩინა. ერთმა სეფექალმა ასე უთხრა მეფის ასულს:

- ქალბატონო, ძალიან დასანანია, ასეთი ნიჭი ტყუილ-უბრალოდ რომ იკარგება! აბა, რისთვის გამოადგება ამ ჭაბუკს მისი გონებამახვილობა ან ბელუსის მშვილდი?

- რისთვის? იმისთვის, რომ სულ მალე ყველას აღტაცებას მოიხვეჭს, -მიუგო ფორმოზანტმა.

- ოჰო, - ჩაილაპარაკა ქალმა, - კიდევ ერთი ასეთივე მადრიგალი დამეფის ასული უეჭველად შეიყვარებს ამ ჭაბუკს!

ამასობაში ბელუსმა რჩევა ჰკითხა მოგვებს და მალე კიდეც გამოაცხადა, რაკი სამმა მეფემ ნემბროდის მშვილდი ვერ მოზიდა, მის ქალიშვილს ის შეირთავდა ცოლად, ვინც სამხეცეში ამ დღისთვის საგანგებოდ გამოზრდილ ლომს დაამარცხებდა. ბრძენ ქვეყანაში აღზრდილმა ეგვიპტის ფარაონმა განაცხადა, მეტად სასაცილო იქნება საქორწინოდ გამზადებულმა მეფემ მხეცს დააგლეჯინოს თავიო. იგი აღიარებდა, ფორმოზანტის შერთვა მართლაც მაღალი ჯილდოა, მაგრამ თუკი ლომი ყელს გამომღადრავს, მშვენიერ ბაბილონელს როგორღა დავისაკუთრებო. ინდოეთის შაჰმაც აუბა მხარი ფარაონს. დაასკვნეს, ბაბილონის მეფე დაგვცინის და სჯობს მის დასასჯელად ჯარი გამოვიძახოთო. მათი ჯარისკაცები ბედნიერად ჩათვლიდნენ თავს სიცოცხლე შეეწირათ თავიანთი მბრძანებლისათვის და არავის მისცემდნენ ნებას, თუნდაც ერთი ღერი თმა ჩამოვარდნოდათ მათ წმინდათაწმინდა თავს. ბაბილონის მეფის ტახტიდან ჩამოგდება არ გაუჭირდებოდათ, ხოლო ამის შემდეგ კენჭს ყრიდნენ და გამარჯვებულს დარჩებოდა ფორმოზანტი.

ორი მეფე უმალ შეთანხმდა და თავიანთ ქვეყნებს აცნობეს, სამასი ათასი მეომარი შეაგროვეთ შეაგროვეთ ფორმოზანტის მოსატაცებლადო.

ამასობაში სკვითების მეფე ხმალამოწვდილი ჩამოვიდა ცირკის არენაზე. არ იფიქროთ, თითქოს ფორმოზანტის სიმშვენიერეს გაეგიჟებინოს, არა. სახელის მოხვეჭა მანამდეც გახლდათ მისი

ერთადერთი ვნება, ბაბილონშიც ამ გრძნობამ მოიყვანა; ახლა კი უნდოდა ყველას ენახა, თუ ინდოეთისა და ეგვიპტის მეფეებმა სიფრთხილე გამოიჩინეს და ლომთან შერკინებით საფრთხეში არ ჩაიგდეს თავი, სამაგიეროდ იგი იმდენად მამაცი იყო, უარს არ ამბობდა ამ ბრძოლაზე და გვირგვინის სახელსაც აღიდგენდა. სკვითიის მეფე საოცრად გულადი და თავს ნება არ მისცა მოთვინიერებული ვეფხვი მოეშველებინა: მარტო გავიდა არენაზე, იარაღიც ცოტა აესხა, თავზე მოოქრული მუზარადი ეხურა, რომელზედაც თოვლივით თეთრი სამი ცხენის კუდი ეკიდა.

უზარმაზარი ლომი მაშინვე აუშვეს; მის მსგავს ლომებს ლიბანის მთებში თუ შეხვდებით. ლომის საზარელ ბრჭყალებს სამივე მეფის ერთდროულად დაგლეჯა შეეძლო და ვეებერთელა ხახაშიც ადვილად გადაუძახებდა სამივეს. ლომის შემაზრზენმა ყმუილმა მთელი ამფითეატრი შეაზანზარა. ორი ამაყი მეტოქე ფიცხლად ეკვეთა ერთმანეთს. მამაცმა სკვითმა ლომს ხმალი ატაკა ყელში, მაგრამ ხმლის წვერი ლომის მაგარ კბილს მოხვდა და ხმალი ნამსხვრევებად იქცა. ჭრილობისგან გაცოფებულმა ნადირმა სისხლიანი ტორი ჩასცხო მკერდში მეფეს.

უცნობმა ჭაბუკმა იგრძნო, გულადი მეფისწული საფრთხეშიაო, ელვის სისწრაფით გადაევლო ცირკის მოედანს და ისე სხარტად მოკვეთა თავი ლომს, როგორც საფრანგეთში კარუსელზე ჩამოცმულ მავრის თავებს თუ ბეჭდებს აიტაცებენ ხოლმე ხელმარჯვე მხედრები. მერე პატარა კოლოფი ამოიღო და სკვითების მეფეს მიაწოდა:

- თქვენო უდიდებულესობავ, ამ პატარა კოლოფში ნამდვილ დიქტამს იპოვით; იგი მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იზრდება. თქვენი სასახელო ჭრილობა ერთ წუთში განიკურნება. მხოლოდ შემთხვევამ გიმტყუნათ გაგემარჯვათ ლომზე, თორემ თქვენი სიმამაცე მართლაც რომ განსაცვიფრებელია.

შურის ნაცვლად მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა სკვითისმეფე და მადლობა გადაუხადა თავის მხსნელს, გულთბილად გადაეხვია და ჭრილობაზე დიქტამის[14] დასადებად თავის ბანაკისაკენ გაეშურა.

უცნობმა ჭაბუკმა მსახურს გადასცა ლომის თავი; მსახურმა იქვე, ამფითეატრთან, დიდი შადრევნის ქვეშ გარეცხა, სისხლისგან დაცალა, ქისიდან რკინის მარწუხი ამოიღო, ორმოცივე კბილი ამოაძრო ლომს და მათ ადგილას კბილების სიმსხო ორმოცი ალმასი ჩასვა.

ჭაბუკი ჩვეული მოკრძალებით დაბრუნდა თავის ადგილზე; ლომის თავი ფრინველს გადასცა და უთხრა:

- მშვენიერო ფრინველო, წადი და ეს მცირე საჩუქარი ფორმოზანტს ფერხთ დაუდე!

ფრინველმა ბრჭყალებში მოიქცია საზარელი ნადავლი და გაფრინდა. პრინცესას წინ კისერი მოხარა, ლომის თავი მიართვა და გაინაბა: ორმოცი ალმასის ციმციმმა თვალი მოსჭრა ყველას; ასეთი იშვიათი გულუხვობის მომსწრე ჯერ არ ყოფილან დიდებულ ბაბილონში, სადაც ზურმუხტი, ტოპაზი, საფირონი უძვირფასეს სამკაულად

მიაჩნდათ. ბელუსი და მისი სასახლის კარი აღტაცებაში მოვიდნენ, ხოლო ამ საჩუქრის მომტანმა ფრინველმა კიდევ უფრო გააოცა ყველა. იგი არწივის ოდენა იყო, მაგრამ თუკი არწივის თვალები სასტიკი და შიშის მომგვრელია, მას ნაზი, ალერსიანი გამოხედვა ჰქონდა; მისი ვარდისფერი ნისკარტი რაღაცით წააგავდა ფორმოზანტის მშვენიერ ბაგეებს. მისი კისერი შროშანის ყოველ ელფერს გადმოსცემდა, თანაც უფრო მკვეთრად და თვალისმომჭრელად ლივლივებდა. ოქროსფერი ბუმბული ათასფრად უბრწყინავდა. ფეხები მოვერცხლისფერო მეწამულისა ჰქონდა, ხოლო მის კუდთან შედარებით იუნონას[15] ეტლში შებმული მშვენიერი ფრინველების კუდი უფერული გამოჩნდებოდა ალბათ.

სასახლის კარის ყურადღება, ცნობისმოყვარეობა, განცვიფრება, აღტაცება ამ ალმასებისა და ფრინველისკენ იყო მიპყრობილი. იგი ბელუსისა და ფორმოზანტის შორის ჩამომჯდარიყო მოაჯირზე. ქალი ეფერებოდა და კოცნიდა ფრინველს, რომელიც ამ ალერსს კმაყოფილებითა და მოწიწებით იღებდა და თვითონაც ელაციცებოდა მეფის ასულს. ფორმოზანტი ნამცხვარსა და ბუსტუღებს აწვდიდა, იგი მოვერცხლისფერო-მარჯნისფერი ბრჭყალებით იღებდა და აუწერელი მოხდენილობით მიჰქონდა ნისკარტისაკენ.

ბელუსმა ყურადღებით შეათვალიერა ალმასები და დაასკვნა, მთელი ჩემი პროვინცია ამ ძვირფასი საჩუქრის საფასურს ვერასოდეს გადაიხდისო. ბრძანა, უცნობ ჭაბუკს იმაზე ძვირფასი საჩუქარი მოუმზადეთ, ვიდრე სამი მონარქისთვისაა განკუთვნილი.

- ეს ყმაწვილი, - ფიქრობდა ბელუსი, -ალბათ ჩინეთის იმპერატორის ვაჟი ან ქვეყნის იმ ნაწილის უფლისწულია, ევროპას რომ ეძახიან და რომელზედაც ბევრი რამ მსმენია; ან იქნებ ეგვიპტის მეზობლად მდებარე აფრიკად წოდებული ქვეყნის მეფეა?!

მეჯინიბეთუხუცესი უცნობთან აფრინა: უბრძანა, მიესალმე და ჰკითხე, რომელი სახელმწიფოს მბრძანებელი ბრძანდები-თქო. ბელუსს ისიც აინტერესებდა, ასეთი საოცარი სიმდიდრის პატრონი ერთი მსახურითა და პატარა ჩანთით რატომ ჩამოვიდა ჩემთანო.

სანამ მეჯინიბეთუხუცესი მეფის დავალების შესასრულებლად ამფითეატრს მიუახლოვდა, მარტორქაზე შემჯდარი მსახური ჭაბუკთან მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

- მამათქვენი, ბატონი ორმარი კვდება. ჩამოვედი, რომ გაგაფრთხილოთ. ჭაბუკმა ზეცას

  მიაპყრო ცრემლიანი თვალები და ესღა უთხრა მაცნეს:

- წავიდეთ!

მეჯინიბეთუხუცესმა ბელუსის სალამი გადასცა ლომის დამამარცხებელ გულუხვ სტუმარს, მშვენიერი ფრინველის პატრონს. მსახურს კი ჰკითხა, რომელი სახელმწიფოს მეფეა ჭაბუკის მამაო.

- მამამისი მოხუცი მწყემსია; იგი მთელ ოლქში ძალიან უყვართ, - მიუგო უცნობის

  მსახურმა. ამასობაში ჭაბუკი უკვე შემჯდარიყო მარტორქაზე. მან

  მეჯინიბეთუხუცესს სთხოვა:

- მიიღეთ მოწყალება, ბატონო, და ჩემი სალამი გადაეცით ბელუსსა და მის ქალიშვილს. მეფის ასულს ვთხოვ გაუფრთხილდეს ჩიტს, რომელსაც საჩუქრად ვუტოვებ. მშვენიერი ფორმოზანტისა არ იყოს, ფრინველიც ერთადერთია ამ ქვეყანაზე.

თქვა და ელვის სისწრაფით გაქრა. მსახურები კვალდაკვალ მიჰყვნენ და მალე თვალს მიეფარნენ.

ფორმოზანტმა თავი ვერ შეიკავა და შეჰკივლა. ჩიტმა ამფითეატრისკენ მიიხედა, სადაც

პატრონი ეგულებოდა და რაკი ვერ დაინახა, დასევდიანდა. შემდეგ თვალი მიაშტერა მეფის ასულს და მის მშვენიერ ხელს ისე ნაზად შეახო ნისკარტი, თითქოს ჰპირდებოდა, თქვენი მსახური ამიერიდან მე ვიქნებიო.

გაოცებულ ბელუსს არ სჯეროდა, ასეთი უებრო ჭაბუკი მწყემსის შვილი თუ იყო და მდევარი დაადევნა. მალე შეატყობინეს, მარტორქებზე ამხედრებულ სამ მამაკაცს ვერასგზით ვერ დავეწიეთ, ისე სწრაფად მიაგელვებდნენ მარტორქებს, ალბათ ას ლიეს მაინც გაივლიდნენ დღეშიო.

II

ამ უცნაურ ამბებზე კამათითა და ამაო ვარაუდებით ხალხი დაიქანცა: მწყემსის შვილი როგორ გააჩუქებდა ორმოც მსხვილ ალმასს? რატომ იჯდა მარტორქაზე? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არავის შეეძლო. ფორმოზანტი კი ამასობაში ფრინველს უალერსებდა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ფორმოზანტს მისებრ მშვენიერი ბიძაშვილი ჰყავდა, პრინცესა ალდე.

- ჩემო ბიძაშვილო, - უთხრა ტანკენარმა ალდემ, - არ ვიცი ეს ნახევარღმერთი მწყემსის შვილია თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თქვენი შერთვისთვის დადგენილი ყველა პირობა სწორედ მან შეასრულა: მოზიდა ნემბროდის მშვილდი, თავი მოჭკვეთა ლომს, გამოიჩინა გონებამახვილობა - მშვენიერი მადრიგალი შეთხზა. იმის შემდეგ, რაც ორმოცი მსხვილი ალმასი საჩუქრად მოგართვათ, ვეღარ უარყოფთ, რომ მასზე გულუხვ ადამიანს ვერსად შეხვდებით; ამ ფრინველით კი დაამტკიცა, რომ ყველაზე იშვიათი ნივთიც მის ხელთაა; ჭაბუკის კეთილშობილებაც უბადლოა; მას შეეძლო თქვენთან დარჩენილიყო, მაგრამ როგორც კი მამის ავადმყოფობა შეიტყო, ისე გაეშურა, ერთი წუთით არ შეყოყმანებულა. მისნის სიტყვები ყოველმხრივ შესრულებულია: დარჩა მეტოქეების დამარცხება, მაგრამ მან ხომ ამაზე მეტი

გააკეთა: სიკვდილს გადაარჩინა ყველაზე ძლიერი მეტოქე, რაც შეეხება დანარჩენ ორ მეფესთან ბრძოლას, დარწმუნებული ვარ, ეჭვი არ გეპარებათ, რომ იგი ადვილად სძლევდა ორივეს.

- მართალს ამბობთ, - მიუგო ფორმოზანტმა, - მაგრამ მაინც, განა შესაძლებელია, ადამიანთა შორის უპირველესი და ალბათ, კეთილთა შორის კეთილი კაცი მწყემსის შვილი იყოს?!

საუბარში სეფექალი ჩაერია და თქვა, ხშირად სიტყვა „მწყემსი“ მეფეს ნიშნავს, „მწყემსებს“ იმიტომ ეძახიან, ფარას ზედმეტად კრეჭენო. მსახურის ნათქვამი ალბათ უკბილო ხუმრობა გახლდათ; ახალგაზრდა გმირმა ამალა იმიტომ არ ჩამოიყვანა, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ მისი ღირსება გაცილებით მაღლა იდგა ამ მეფეების სიმდიდრეზე და ფორმოზანტის დასასაკუთრებლად მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდაო.

ფორმოზანტს აღარაფერი უთქვამს და ალერსით აავსო ფრინველი.

ამასობაში სამი მეფისა და ზეიმზე ჩამოსული სხვა უფლისწულებისთვის დიდი ზეიმი მზადდებოდა. ნადიმს ბაბილონის მეფის ასული და ძმისწულიც უნდა დასწრებოდნენ. მეფეებს ისეთი იშვიათი საჩუქრები მიართვეს, რაც ბაბილონის ღირსებას არ შეარცხვენდა. სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, ბელუსმა საბჭო შეკრიბა, უნდოდა ფორმოზანტის ქორწინების საკითხი გადაეწყვიტათ:

- მე მოვხუცდი, აღარ ვიცი როგორ მოვიქცე, ვის მივათხოვო ჩემი ასული. ის, ვინც მისი ღირსი იყო, მდაბიო მწყემსი ყოფილა, ხოლო ინდოეთისა და ეგვიპტის მეფენი ლაჩრები აღმოჩნდნენ. სკვითების მეფე დიახაც შემეფერებოდა სიძედ, მაგრამ ვერც ერთი პირობა ვერ შეასრულა. წავალ, ერთხელ კიდევ ვკითხავ რჩევას მისანს. მანამ თქვენც მოითათბირებთდა მერე მისნის რჩევა ერთად განვსაჯოთ. მეფე ხომ მხოლოდ ისე უნდა მოიქცეს, როგორც უკვდავი ღმერთები უკარნახებენ!

ბელუსი სამლოცველოსკენ გაემართა. მისანმა მისთვის ჩვეული ლაკონურობით უთხრა:

- შენი ასული მანამ არ გათხოვდება, სანამ ქვეყნის გარშემო არ იმოგზაურებს!

გაკვირვებული ბელუსი საბჭოს დაუბრუნდა და მისნის პასუხი მოახსენა. მინისტრები ღრმა პატივისცემას გრძნობდნენ მისნებისადმი, რელიგიის ბურჯებად თვლიდნენ, ან იქნებ სულაც თვალთმაქცობდნენ, ამბობდნენ, მათ წინაშე გონება უნდა ჩაჩუმდეს, მხოლოდ მათი წყალობაა, რომ მეფეები ხალხზე მბრძანებლობენ, ხოლო მოგვები - მეფეებზეო; მისანთა გარეშე ამქვეყნად არც სათნოება იქნებოდა, არც სიმშვიდეო. საბჭოს წევრებმა ჯერ მოწიწებით ილაპარაკეს მისნებზე, თუმცა თითქმის ერთხმად აღიარეს, ბელუსის მრჩეველი მისანი თავხედი ყოფილა და ნუ დავუჯერებთ. სად გაგონილა ქალიშვილის, ისიც ბაბილონის დიდი მეფის ასულის ასე

უგზო-უკვლოდ მგზავრობა, სწორედ ასე ვერ გათხოვდება ვერასოდეს ან ჩუმად, სამარცხვინოდ, ყბადასაღებად იქორწინებს ვინმე გადამთიელზეო. ერთი სიტყვით, საბჭომ გადაწყვიტა, ეს მისანი უგუნური ყოფილაო.

ყველაზე ახალგაზრდა და ჭკვიანმა მინისტრმა ონადასმა თქვა, მისანმა ალბათ სალოცავად წასვლა იგულისხმაო და მოგზაურობაც იკისრა. საბჭომ მოიწონა ეს აზრი, მაგრამ მალე სხვა მინისტრებმაც მოისურვეს მეფის ასულის გაცილება.

ბელუსმა გადაწყვიტა, ფორმოზანტი არაბეთის გზით სამასი ფარასანგის მანძილზე აგებულ ტაძარში წავიდოდა, რომლის წმინდანსაც ქალიშვილების ბედნიერად დამქორწინებლის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ხოლო გამცილებლად უხუცესი წევრი გაჰყვებოდა. ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე სავახშმოდ დასხდნენ.

III

ბაღის შუაგულში, ორ შადრევანს შორის, სამასი ფუტის დიამეტრის მოგრძო დარბაზი გაჭიმულიყო; ოქროს ვარსკვლავებით მოჭედილი მისი ლაჟვარდოვანი კამარა ყოველგვარ თანავარსკვლავედსა და მნათობს გამოსახავდა. თაღი ისეთივე უხილავი მანქანებით ტრიალებდა, როგორი უხილავიცაა ის ძალები, ცაზე ნამდვილ ვარსკვლავებს რომ ამოძრავებენ. მთის ბროლის ცილინდრებში ჩამაგრებული ასი ათასი ჩირაღდანი სასადილო დარბაზის შიგა და გარეთა ნაწილებს ერთნაირად ანათებდა. თაროებიანი განჯინა ოცი ათას ლანგარსა თუ ოქროს თეფშს იტევდა. განჯინის პირდაპირ, ამფითეატრივით დალაგებული სკამები მემუსიკეებისათვის იყო განკუთვნილი; მეორე ასეთივე ამფითეატრი ყოველი სეზონის ხილით იყო დატვირთული, მესამე კი - ბროლის სურებით, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ღვინოები კამკამებდა.

სტუმრები პატიოსანი თვლებით შემკული, ხილისა და ყვავილების სახეებით ამოჭრეთილ მაგიდას შემოუსხდნენ. მშვენიერი ფორმოზანტი ინდოეთისა და ეგვიპტის მეფეთა შორის იჯდა, ხოლო კეკლუც ალდეს სკვითების მეფე ჰყავდა მეზობლად. ნადიმს ოცდაათამდე უფლისწული ესწრებოდა, თითოეულ მათგანს სასახლის კარის ულამაზესი ქალი უმშვენებდა მხარს. სუფრის შუაში, ფორმოზანტის პირდაპირ, მეფე იჯდა. იგი სევდიან ფიქრს მისცემოდა,

ნაღვლობდა, ერთადერთი ასული რომ ვერ გაათხოვა, თუმცა ეტყობოდა, გულში კიდეც უხაროდა, ერთხანს მაინც მეყოლებაო გვერდში.

ფორმოზანტმა მამას ნებართვა სთხოვა ფრინველი გვერდით ჰყოლოდა. მეფე სიამოვნებით დათანხმდა. გაისმა მუსიკის ხმა; უფლისწულებს საშუალება მიეცათ თავისუფლად ემუსაიფათ მეზობელ ქალებთან. ასე რომ, ბრწყინვალე ნადიმი სასიამოვნოც აღმოჩნდა. ფორმოზანტს რაგუ მიართვეს, მამამისის - მეფის საყვარელი საჭმელი. მეფის ასულმა ბრძანა კერძი მეფისთვის მიეტანათ; ჩიტმა უჩვეულო სიმარჯვით დაიჭირა თეფში და მეფეს მიართვა; ასე არაფერს გაუკვირვებია სტუმრები ვახშმის დროს. ბელუსმა ჩიტს მიუალერსა, მერე კი ქალბატონისკენ გაუშვა. ფრენისას ფრინველმა ისეთი ლამაზი ბოლო გაშალა, მის ფრთებს ისეთი ბრწყინვალე ფერები ჰქონდა, თვალი ვერ მოსწყვიტეს. მემუსიკეებმაც კი შეწყვიტეს დაკვრა და გაირინდნენ. არავინ ჭამდა, არავინ ლაპარაკობდა, აღტაცების გამომხატველი ჩურჩულიღა ისმოდა ირგვლივ. მთელი ამ ხნის განმავლობაში პრინცესა ჩიტს ეფერებოდა და აღარც ახსოვდა ამქვეყნად მეფეები თუ არსებობდნენ. ინდოეთისა და ეგვიპტის მეფენი აიმრიზნენ და ბოღმით აღივსნენ. გადაწყვიტეს, შურის საძიებლად სამასი ათასი მეომრის ლაშქრობა დაეჩქარებინათ.

რაც შეეხება სკვითების მეფეს, იგი მშვენიერ ალდესთან საუბარში გართულიყო, შურის გრძნობა არ ამოძრავებდა, მისი ამაყი ბუნება ფორმოზანტის უყურადღებობას არად დაგიდევდათ და სიბრაზის ნაცვლად მისდამი გულგრილობით განიმსჭვალა.

- მეფის ასული რომ მშვენიერია, ამას მეც ვაღიარებ, - ეუბნებოდა ალდეს - მაგრამ, ჩემი აზრით იგი ერთი იმ ქალთაგანია, საკუთარი სილამაზით რომაა გატაცებული და

მიაჩნია, თუ კეთილ ინებებს და საჯაროდ აჩვენებს პირისახეს, ყველამ ბედნიერად უნდა ჩათვალოს თავი. ჩემს ქვეყანაში პატივს არ სცემენ კერპებს. ასეთ მშვენიერ ქანდაკებას თავმდაბალიდა ყურადღებიანი, თუნდაც ულამაზო ქალი მირჩევნია.

თქვენ კი, ქალბატონო, მეფის ასულივით მომხიბვლელი რომ ბრძანდებით, უცხოელებთან საუბარს მაინც კადრულობთ. სკვითებისთვის ჩვეული გულწრფელობით ვაღიარებ, რომ პრინცესასთან შედარებით უპირატესობას მხოლოდ თქვენ განიჭებთ.

ფორმოზანტის ბუნების შეფასებაში მეფე აშკარად ცდებოდა: იგი სულაც არ იყო ისეთი უკარება, როგორც მას ეჩვენებოდა. მაგრამ ეს ქათინაური მეტად ეამა ალდეს და ქალ-ვაჟის საუბარი თანდათან უფრო საინტერესო ხდებოდა. ორივე კმაყოფილი დარჩა და სანამ სუფრიდან ადგებოდნენ, ერთმანეთის მიმართ რწმენითა და ნდობით აღივსნენ. ნავახშმევს სტუმრებმა ტყისკენ გაისეირნეს. სკვითების მეფემ და ალდემ დრო იხელთეს და განმარტოვდნენ. ბუნებით გულწრფელმა ალდემ ასე მიმართა მეფეს:

- არ იფიქროთ, თითქოს ჩემი ბიძაშვილი მეჯავრებოდეს. მართალია, იგი ჩემზე ლამაზია და ბაბილონის ტახტის მემკვიდრეც ისაა, მე იმითაც კმაყოფილი ვარ, თქვენი მოწონების ღირსი

რომ გავხდი. თქვენთან ერთად სკვითიაში ყოფნა მირჩევნია უთქვენოდ ბაბილონში გვირგვინის დადგმას. თუმცა ეს გვირგვინი კანონით, თუკი წეს-კანონი არსებობს ქვეყანაზე, მე მეკუთვნის. მე ხომ ნემბროდის მემკვიდრეების უფროს შტოს ვეკუთვნი! ფორმოზანტი უმცროსი შტოს შთამომავალია: პაპამისმა ტახტიდან გადმოაგდო პაპაჩემი და მოაკვლევინა.

- აჰა! აი თურმე როგორ აფასებენ სისხლით ნათესაობას ბაბილონში! რა ერქვა თქვენს პაპას? - ჰკითხა სკვითმა.

- ალდე. ისევე, როგორც მე. მამაჩემსაც ეს სახელი ერქვა, იგი დედაჩემთან ერთად გაასახლეს ბაბილონიდან. მათი სიკვდილის შემდეგ ბელუსს ჩემი აღარ ეშინოდა და თავის ასულთან ერთად მოისურვა ჩემი აღზრდა. ოღონდ ესაა, გადაწყვეტილი აქვს, არასოდეს გამათხოვოს.

- პაპათქვენის, მამათქვენისა და თქვენ მაგივრად მე ვიძიებ შურს. პირობას გაძლევთ, კიდეც გათხოვდებით. რაკი ხვალ ბაბილონის მეფესთან უნდა ვისადილოთ, ზეგ დილით აუცილებლად მოგიტაცებთ. შემდეგ კი სამასი ათასი მეომრით დავბრუნდები ბაბილონში თქვენი უფლებების გასამტკიცებლად.

- თანახმა ვარ! - უპასუხა მშვენიერმა ალდემ.

ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს და გაიყარნენ.

მზისდარი ფორმოზანტი დასაძინებლად წასულიყო. საწოლის ახლოს ვერცხლის პატარა ყუთში ფორთოხლის ხე დაადგმევინა ჩიტისთვის. საწოლის ფარდები ჩამოეშვათ, მაგრამ მეფის ასულს არ ეძინებოდა. გული და ფიქრები აფორიაქებული ჰქონდა, მშვენიერი უცნობი ედგა თვალწინ: ნემბროდის მშვილდი მოზიდა, ლომს თავი მოჰკვეთა, მადრიგალი შეთხზა, რომელსაც ფორმოზანტი კითხულობს და აი,

ბოლოს მარტორქაზე შეჯდა და ხალხში გაუჩინარდა. ქალს ქვითინი წასკდა და ატირებულმა წამოიძახა.

- ნუთუ ვეღარასოდეს ვნახავ? ნუთუ აღარასოდეს დამიბრუნდება?

- დაგიბრუნდებათ, ქალბატონო! - თქვა ფორთოხლის ხის ტოტზეჩამომჯდარმა ჩიტმა. - როგორ გგონიათ, იმის შემდეგ, რაც თვალი მოგკრათ, მეორედ თქვენს ნახვას არ მოისურვებს?

- ოი, ზეციერნო, უკვდავნო ძალნო! ჩემი ჩიტი სუფთა ქალდეურ ენაზე ლაპარაკობს თურმე! - წამოიძახა პრინცესამ, საწოლის ფარდები გადასწია, ჩიტისკენ მკლავები აღაპყრო და საწოლის წინ მუხლი მოიყარა. - ვინა ხართ? მიწაზე ჩამოსული ღმერთი ხომ არა? ან მშვენიერ ბუმბულში გახვეული დიდი ოროზმადი ხომ არ ბრძანდებით? ღმერთი თუ ხართ, დამიბრუნეთ ის ლამაზი ჭაბუკი!

- მე მხოლოდ ფრინველი ვარ, - მიუგო ჩიტმა, - მაგრამ იმ დროს დავიბადე, როცა ყოველი სულდგმული ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, და ფრინველები, ქვეწარმავალნი, სახედრები, ცხენები და ფასკუნჯები შინაურულად ემასლაათებოდნენ ადამიანებს. არ მინდოდა ხალხში გამოგლაპარაკებოდით, მეშინოდა, კუდიანად არ მივეღე სეფექალებს, მე მხოლოდ თქვენთან შემიძლია გულახდილი ვიყო.

ამდენი სასწაულებით დაბნეული, აღელვებული და გაოცებული ფორმოზანტი მზად იყო ათასი კითხვა ერთად მიეცა, მაგრამ ჯერ ის ჰკითხა, რამდენი წლისა ხარო.

- ოცდაშვიდი ათას ცხრაასი წლისა და ექვსი თვის, ქალბატონო! მე ზეცის პატარა ცვალებადობის ტოლი ვარ, თქვენი მოგვები „ბუნიაობის პრეცესიას“ რომ უწოდებენ და დაახლოებით ოცდარვა ათას წელიწადში ერთხელ რომ სრულდება. უფრო ხანგრძლივი ცვალებადობაც ხდება: ამიტომ ჩემზე ხანდაზმულნიც გვყავს. ოცდაორი ათასი წლის წინად, ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ქალდეური ენა შევისწავლე; ძალიან მომეწონა ეს ენა, მაგრამ სხვა სულდგმულებმა, ჩემმა თანამოძმეებმა, თქვენს ქვეყანაში ლაპარაკზე უარი თქვეს.

- რატომ, ღვთაებრივო ფრინველო?

- ეჰ, იმიტომ, რომ ადამიანებმა ნაცვლად იმისა, გვესაუბრონ და ჩვენგან ისწავლონ რამე, ჩვენი შეჭმა ჩვეულებად გაიხადეს. ბარბაროსები! ნუთუ ვერ უნდა მიხვდნენ, რაკი იგივე ორგანოები, იგივე მოთხოვნილებები და სურვილები გვაქვს, ჩვენც იმასვე ვფლობთ, რასაც ისინი „სულს“ უწოდებენ?! განა ჩვენ მათი ძმები არა ვართ? განა არ უნდა იცოდნენ, რომ მოხარშვა და ჭამა მხოლოდ ბოროტი პირუტყვებისა შეიძლება? ჩვენ ძმები ვართ თქვენი, და როცა დიდმა არსებამ, უკვდავმა შემოქმედმა არსებამ ხელშეკრულება დადო ადამიანებთან, ამ სიაში ჩვენც შეგვიტანა: მან აგიკრძალათ ჩვენი სისხლით საზრდოობა, ჩვენ კი - თქვენი სისხლის წოვა. თქვენი ძველი ლოკმანის[16] არაკები, ამდენ ენაზე რომ უთარგმნიათ, იმ სახსოვარი დროის მარადიულ ძეგლად დარჩება, როცა ჩვენ შორის ბედნიერი ურთიერთობა არსებობდა. ყველა არაკი ამ სიტყვებით იწყება: „იმ ხანებში, როს პირუტყვები მეტყველებდნენ...“ მართალია, თქვენ შორის ბევრი ქალი დღესაც ელაპარაკება თავის ძაღლს, მაგრამ ძაღლებს გადაწყვეტილი აქვთ არაფერი უპასუხონ; ეს ჯერ კიდევ იმ დროს

დაადგინეს, როცა მათრახის დარტყმით აიძულეს სანადიროდ წასულიყვნენ და ჩვენი ძველი, საერთო მეგობრების - ირმების, შვლების, კურდღლების და გნოლების მოკვლის მონაწილე გამხდარიყვნენ. თქვენ ახლაც გაქვთ ძველი პოემები, სადაც თქვენი მეეტლეები დღესაც ელაპარაკებიან მათ, მაგრამ ისე უხეშად, ისეთი ურცხვი სიტყვებით, რომ ცხენებს, რომელთაც ერთ დროს ძალიან უყვარდით, დღეს ძალიან ეჯავრებით. ქვეყანა, სადაც კაცთა შორის სრულქმნილი, მშვენიერი უცნობი ჭაბუკი ცხოვრობს, ერთადერთიქვეყანაა, სადაც თქვენი მოდგმის ხალხმაჯერ კიდევ ისიც ჩვენისთანა

ქმნილებების სიყვარული და მათთან საუბარი; ესეც არ იყოს, მხოლოდ ამ ქვეყანაში თუ ნახავთ სამართლიან ხალხს.

- სად არის ამ უცნობი ჭაბუკის ქვეყანა? ან რა ჰქვია ამ ჩემს გმირს? რა ჰქვია მის სამეფოს? მე ისევე არა მჯერა, ის რომ მწყემსია, როგორც არ მჯერა, თითქოს თქვენ ღამურა იყოთ!

- მის ქვეყანას, ქალბატონო, განგარიდი ჰქვია. კეთილშობილი და უძლიერესი ხალხის ეს მხარე განგის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ჩემი მეგობრის სახელი ამაზანი გახლავთ. ის მეფე არ არის და ვფიქრობ, მეფედ გახდომის სურვილით თავს არ მოიმდაბლებს. მას უყვარს თავისი თანამემამულეები და სხვებივით ისიც მწყემსია. მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს იქაური მწყემსები ძონძებში გახვეულ თქვენს მწყემსებს ჰგვანდნენ, მათზე უკეთ შემოსილ ცხვრებს რომ დარაჯობენ, სიდუხჭირეში ხდებათ სული და მცირე შემოსავლის ნახევარს ბეგარაში უხდიან პატრონებს.

თანაბარუფლებიანი განგარიდელი მწყემსები იმ ურიცხვი ფარის პატრონები არიან, მუდმივად აყვავილებულ მდელოს რომ სძოვენ. მწყემსები არასოდეს კლავენ ცხვრებს. მოყვასის მოკვლა და შეჭმა საშინელ ბოროტმოქმედებად ითვლება განგის სანაპიროზე. ამ ცხვრების მშვენიერ აბრეშუმზე ბრწყინვალე და ნაზი მატყლით დიდად მომგებიან ვაჭრობას ვაწარმოებთ აღმოსავლეთთან. ამას გარდა, რასაც კი ადამიანი ისურვებს, ყველაფრის წარმოება სწორედ განგარიდის ქვეყანაში ხდება: მსხვილი ალმასები, ამაზანმა რომ მოგართვათ, საკუთარ

საბადოებში მოიპოვა. მარტორქა, რომელზედაც ის იჯდა, განგარიდების ჩვეულებრივი სამგზავრო ცხოველია. იგი ულამაზესი პირუტყვი გახლავთ, ამაყი, საშიში და ამავე დროს მოსიყვარულე, ასი განგარიდელი და ასი მარტორქა საკმარისი იქნება ურიცხვი არმიის გასანადგურებლად. ორი საუკუნის წინ ინდოეთის ერთი მეფე გაბრიყვდა და ამ ერის დამორჩილება განიზრახა. იგი ათი ათასი სპილოსა და მილიონიანი ჯარის თანხლებით მობრძანდა. მარტორქებმა ისე გაგლიჯეს სპილოები, ოქროს პატარა შამფურებზე აგებული ტოროლები რომ ვნახე თქვენს სუფრაზე. ხოლო მებრძოლები ისე ცვივოდნენ განგარიდელების ხმლების დარტყმისგან, როგორც აღმოსავლეთის ხალხის მიერ მოცელილი ბრინჯი ცვივა მიწაზე. მეფე თავისი ექვსასი ათასი მეომრით ტყვედ ჩაიგდეს, განგის სამკურნალო წყლებში განბანეს და ადგილობრივ რეჟიმთან შეგუებას მიაჩვიეს: კვებავდნენ მხოლოდ მცენარეულობით, ბუნებამ ცოცხალი არსების საჭმელად რომ განაკუთვნა. ხორცსა და მაგარ სასმელებს მიჩვეულ ადამიანებს ცხელი და მგზნებარე სისხლი აქვთ, ამიტომაც გიჟდებიან

ათასნაირად. ყველაზე დიდი სიგიჟე ძმების სისხლისღვრის სურვილი და ნაყოფიერი მინდვრების გაჩანაგებაა, რათა შემდეგ ამ სასაფლაოზე თვითონ იმეფონ. ინდოეთის მეფის ამ სენისგან განკურნებას ექვსი თვე მოანდომეს. როცა ექიმებმა დაასკვნეს, ნორმალური მაჯისცემა და მშვიდი გონება აქვსო, ყოველივე განგარიდის საბჭოს მოახსენეს. საბჭომ ინდოეთის მეფე, მისი უგუნური კარისკაცები და ბრიყვი მებრძოლები თავიანთ ქვეყანაში ისე გაისტუმრა, არავითარი ვნება არ მიუყენებია. ამ გაკვეთილმა ინდოელები მოაჭკვიანა და იმ დღიდან

განგარიდელებს ისევე სცემენ პატივს, როგორც თქვენს ქვეყანაშიცოდნას მოწყურებული უვიცები ექცევიან მოწიწებით ფილოსოფოსებს, რადგან მათ ვერასგზით გაუტოლდებიან.

- ერთი ეს მითხარი, საყვარელო ფრთოსანო, - ჰკითხა მეფის ასულმა, - რელიგია თუ გაქვთ განგარიდელებს?

- რა საკითხავია ქალბატონო! სავსე მთვარის დღეებში ყველანი ღვთის სალოცავად ვიყრით თავს. ღლაბუცის თავიდან ასაშორებლად, კედრის ერთ ტაძარში მამაკაცები იკრიბებიან, მეორეში - ქალები, ფრინველები - ჭალაში, ოთხფეხა ცხოველები - ლამაზ მდელოზე. ღმერთს მადლობას ვწირავთ ყველა იმ სიკეთისათვის, რაც მან მოგვანიჭა. საუკეთესო მქადაგებლად თუთიყუშები ითვლებიან. ასეთია ჩემი საყვარელი ამაზანის სამშობლო და მეც იქ ვცხოვრობ. მე მისდამი ისეთივე სიყვარული მიღვივის გულში, როგორი სიყვარულიც თქვენ შთაგაგონათ. თუ დამიჯერებთ, შეგვიძლია ერთად წავიდეთ და ვინახულოთ.

- მართლაც ჩინებული სამსახური გქონიათ, ჩემო ჩიტო! - ღიმილით უთხრა პრინცესამ, რომელსაც გულით უნდოდა მოგზაურობა, მაგრამ თქმას ვერ ბედავდა.

- მე ჩემს მეგობარს ვემსახურები, -თქვა ფრინველმა, - თქვენდამი სიყვარულს თუ გამოვრიცხავთ, ქვეყნად უდიდესი ბედნიერება თქვენი ტრფობის სამსახური იქნება ჩემთვის.

ფორმოზანტს სიზმარში ეგონა თავი; თითქოს მაღლა ცაში დაფრინავდა; ყველაფერი, რაც იმ დღეს ნახა, რასაც ხედავდა, რასაც ისმენდა და განსაკუთრებით კი, რასაც გრძნობდა, საოცნებოდ იწვევდა. ეს ოცნება იმ სიხარულზე ძლიერი იყო, რასაც ბედნიერი მუსულმანები განიცდიან დღეს, როცა მიწიერი ბორკილებისგან თავისუფალთ, ჰურიების[17] მკლავებში გალაღებულთ, სახელითა და ციური ნეტარებით გამსჭვალულთ, მეცხრე ცაზე წარმოუდგენიათ თავი.

IV

ფორმოზანტი მთელი ღამე ამაზანზე ელაპარაკებოდა ფრინველს. ახლა უკვე თავის „მწყემსს“ უწოდებდა ამაზანს და ამ დღიდან ზოგი ერი „სატრფოს“ ნაცვლად „მწყემსს“ ხმარობს.

იგი ჩიტს ხან ეკითხებოდა, ჰყავს თუ არა ამაზანს სხვა მიჯნურიო; ამაზე ჩიტმა უპასუხა, არასოდეს არ ჰყოლიაო და პრინცესას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; ხან

იმის გაგება უნდოდა, ამაზანი რას აკეთებს, დროს როგორ ატარებსო და როცა შეიტყო, მთელ დროს კეთილ საქმეებს ანდომებს, ხელოვნების აღორძინებას უწყობს ხელს, ბუნების საიდუმლოებების გამოცნობას ლამობს და სრულყოფისკენ ისწრაფისო, სიხარულით ცას ეწია. მან ისიც იკითხა, ჩიტისა და მისი პატრონის სული ერთნაირი ბუნების თუ არისო, ან რატომ იცხოვრა ჩიტმა თითქმის ოცდარვა ათასი წელი, მაშინ როცა მისი მიჯნური მხოლოდ თვრამეტი-ცხრამეტი წლისააო. უამრავ ასეთ შეკითხვას აძლევდა ფრინველს, რომელიც ძუნწად უპასუხებდა, რაც უფრო აღიზიანებდა ქალის ცნობისმოყვარეობას. ბოლოს ძილმა დაუმძიმა ქუთუთოები და ღმერთების მიერ მოვლენილ ტკბილ სიზმრებში გაახვია. ასეთი სიზმრები ზოგჯერ სინამდვილეს აღემატება და მათი ახსნა ქალდეველთა ფილოსოფიასაც კი უჭირს.

ფორმოზანტს გვიან გაეღვიძა. კარგად გათენებულიც არ იყო, მამამისი - მეფე რომ შემოვიდა.

ჩიტმა დახვეწილი ზრდილობით მიიღო მისი უდიდებულესობა: მასთან მიფრინდა, ფრთები ერთმანეთს შემოჰკრა, კისერი წაიგრძელა და მერე ხელახლა შესკუპდა ფორთოხლის ხეზე. მეფე სიზმრებისგან კიდევ უფრო გალამაზებული ასულის საწოლზე ჩამოჯდა. მისი გრძელი წვერი ნაზად შეეხო თვალწარმტაც სახეს, ორჯერ აკოცა შვილს და უთხრა:

- ჩემო საყვარელო შვილო, გუშინ იმედი გამიცრუვდა, საქმრო ვერ შეგირჩიე. გათხოვებით კი უეჭველად უნდა გათხოვდე, ამას ჩემი სახელმწიფოს კეთილდღეობა მოითხოვს. მისანს ვკითხე რჩევა, შენც კარგად იცი, ის არასოდეს ტყუის, ჩემს ყოველ მოქმედებას ხელმძღვანელობს. მისანმა მიბრძანა, სამოგზაუროდ გაგზავნეო.

- ოჰ, ალბათ განგარიდელებთან, არა? - წამოიძახა ფორმოზანტმა და მაშინვე იგრძნო, სისულელე წამომცდაო.

მეფეს წარმოდგენა არ ჰქონდა გეოგრაფიაზე და ჰკითხა, განგარიდელებში რას გულისხმობო. ფორმოზანტმა მარჯვედ აიცდინა პირდაპირი პასუხი. მეფემ უბრძანა, სამლოცველო მოგზაურობისთვის მოემზადეო და ამალის შემადგენლობაც მოახსენა; მოძღვარი, სეფექალი, ექიმი, მეაფთიაქე, ფრინველი და მსახურნი.

სამი მეფისა და ამაზანის ჩამოსვლამდე ფორმოზანტი სასახლიდან ერთხელაც არ გასულა და თვით ბრწყინვალე, მაგრამ იძულებითი თავშექცევისას უგემურად ატარებდა დროს. ამიტომ ამ სამლოცველო მოგზაურობამ აღტაცებაში მოიყვანა. „ვინ იცის, - ფიქრობდა იგი, - იქნებ ღმერთებმა იგივე სურვილები შთააგონონ საყვარელ განგარიდელს, ისიც იმავე ტაძარში მოვიდეს და იქნებ კიდეც ვნახო ეს მლოცველი!“ მან გულითადი მადლობა მოახსენა მამას და უთხრა, ამ ტაძრის წმინდა მფარველს მუდამ დიდ პატვს ვცემდიო.

ბელუსმა საუცხოო სადილი გაუმართა სტუმრებს. სუფრას მხოლოდ მამაკაცები უსხდნენ. ვერც ერთი მათგანი გულწრფელობით ვერ დაიკვეხნიდა; უფლისწულებს, მინისტრებს, მოგვებს ერთმანეთისა შურდათ, თითოეულ სიტყვას ასჯერ მოზომავდნენ, სანამ ხმას ამოიღებდნენ, ერთმანეთს არ ენდობოდნენ. თუმცა სუფრაზე ღვინო უხვად შეისვა, სადილმა მაინც უღიმღამოდ ჩაიარა. პრინცესები თავ-თავიანთ დარბაზებში იყვნენ, იქვე ისადილეს და გამგზავრებისთვის ემზადებოდნენ.

ნასადილევს ფორმოზანტი გასასეირნებლად ჩავიდა ბაღში და ჩიტიც თან წაიყვანა. ფრინველი ძალას არ იშურებდა თავისი ქალბატონის გასართობად: ტოტიდან ტოტზე გადაფრინდებოდა, მშვენიერ ბოლოს გაშლიდა და ბრწყინვალე ბუმბულით თავს აწონებდა.

ეგვიპტის მეფე უკვე შექეიფიანებულიყო (რომ არ ვთქვათ, მთვრალი იყოო) და მსახურებს

მშვილდ-ისრები მოსთხოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ფარაონი ცუდ მსროლელად ითვლებოდა თავის ქვეყანაში და როცა ისარს ისროდა, სწორედ ის ადგილი რჩებოდა უვნებლად, რომელსაც უმიზნებდა. მაგრამ ამჯერად ჩიტს დაუმიზნა. მართალია, მშვენიერი ფრთოსანი ისრის სისწრაფით დაფრინავდა, ნატყორცნი ისარი მაინც მოხვდა და გასისხლიანებული დაეცა ფორმოზანტის მკლავებში. ეგვიპტელმა ბრიყვულად გაიცინა და იქაურობას გასცილდა. მეფის ასულის კივილი ცას სწვდებოდა, ცრემლებად იღვრებოდა, მკერდსა და თავში ხელებს იცემდა. მომაკვდავმა ჩიტმა ესღა წასჩურჩულა:

- დამწვი და ბედნიერი არაბეთისკენ წაიღე ფერფლი, ძველი ქალაქის ადენისა თუ ედემის აღმოსავლეთით და მზის გულზე, დარიჩინისა და მიხაკის პატარა კოცონს მოაბნიე.

თქვა და სულიც დალია.

ფორმოზანტი დიდხანს იყო გულწასული. როცა გონს მოვიდა, ხელახლა წასკდა ცრემლები. მის მწუხარებას მამამისიც იზიარებდა, წყევლიდა ეგვიპტის მეფეს და რაკი ეჭვი არ ეპარებოდა, ეს ამბავი ავის მომასწავებელიაო, მისანთან გაეშურა.

- აღრევა ყოველივესი; ცოცხლად სიკვდილი; ღალატი და ერთგულება; წაგება და მოგება; უბედურება და ბედნიერება.

ასეთი იყო მისნის პასუხი.

ვერც მეფემ, ვერც საბჭომ ვერაფერი გაუგეს ამ სიტყვებს, მაგრამ ბელუსი მაინც კმაყოფილი დარჩა, საღვთო მოვალეობა მოვიხადეო.

თვალზე ცრემლშეუშრობელმა ფორმოზანტმა უკანასკნელი პატივი მიაგო ჩიტს. გადაწყვიტა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, ფერფლი არაბეთში უნდა წავიღოო. ჩიტი უწვავ ტილოში გაახვიეს, ფორთოხლის ხეზე დაასვენეს და დაწვეს. ლომის ხახიდან ალმასები ამოაღებინა ფორმოზანტმა და წითელი ლალითა და ალმასებით მორთულ ოქროს თასში ფერფლი ჩაყარა. მისი ერთადერთი სურვილი იყო, ამ სამწუხარო მოვალეობის აღსრულების ნაცვლად ეგვიპტის საზიზღარი მეფე დაეწვა და ამით მოეოხებინა გული. ფარაონის გასაბრაზებლად მისი ორი ნიანგი, ორი ჰიპოპოტამი, ორი ზებრა და ორი ვირთხა მოაკვლევინა, ხოლო ორივე მუმია ევფრატში გადააგდებინა. აპისის ხარსაც არ დაინდობდა, ხელთ რომ ჰყოლოდა.

შეურაცხყოფილი ფარაონი იმწამსვე გაეშურა სამასი ათასი მეომრის გამოლაშქრების დასაჩქარებლად. ინდოეთის მეფემ მოკავშირის გამგზავრება რომ შეიტყო, ისიც იმავე დღეს წავიდა, უნდოდა სამასი ათასი მებრძოლი ეგვიპტელებისთვის შეეერთებინა.

სკვითების მეფე ღამით გაიპარა პრინცესა ალდესთან ერთად. მეფეს გადაეწყვიტა სამას ათასიან არმიას სათავეში ჩასდგომოდა, მერე დაბრუნებულიყო და ბაბილონის მემკვიდრეობა ალდესათვის დაებრუნებინა: ვითარცა უფროსი შტოს შთამომავალს, ტახტი კანონით ხომ მას ეკუთვნოდა!

მშვენიერი ფორმოზანტი დილის სამ საათზე გაუდგა გზას მლოცველებთან ერთად. იმედოვნებდა, ჩიტს უკანასკნელ სურვილს შეუსრულებდა და სამართლიანი ღმერთები ამაზანსაც დაუბრუნებდნენ, ურომლისოდაც სიცოცხლე აღარ შეეძლო.

ამგვარად, როცა დილით ბაბილონის მეფემ გაიღვიძა, სასახლეში აღარავინ დახვდა.

„რა უცნაურად მთავრდება დღესასწაულები! - გაიფიქრა მან, - და რა საოცარ სიცარიელეს ვგრძნობთ, როცა ეს ზარ-ზეიმი მიჩუმდება ხოლმე!“

მაგრამ ნამდვილი, მეფური რისხვა მაშინ უნდა გენახათ, როცა პრინცესა ალდეს მოტაცება გაიგო. ბრძანა, მინისტრები გაეღვიძებინათ და საბჭო შეეკრიბათ. მათ მოლოდინში მისანს ესაუბრა: მისგან მსოფლიოში იმ დღიდან გავრცელებული სიტყვებიღა მოისმინა:

- რაკი ქალიშვილებს არ ათხოვებენ, ისინი თვითონ თხოვდებიან.

მეფემ სასწრაფოდ ბრძანა, სამასი ათასი მეომარი გაელაშქრათ სკვითების მეფის წინააღმდეგ. ასე რომ, საშინელი ომი გაჩაღდა ყოველი მხრიდან. ზეიმს, რომლის მსგავსი არასოდეს ყოფილა ცის ქვეშეთში, ეს შედეგიღა მოჰყვა. სამას ათასიანი ოთხი არმია უბედურებას უქადდა აზიას. ცხადია, ტროას ომი, მსოფლიოში საყოველთაო განცვიფრება რომ გამოიწვია რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ბავშვური თამაში იყო მასთან შედარებით, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ტროელების ომი ორჯერ მოტაცებული, ხანდაზმული, ფეხმსუბუქი ქალის გულისთვის მოხდა[18], ხოლო ეს ომი ორი ტურფა პრინცესისა და ფრინველის გამო ატყდა.

ინდოეთის მეფე იმ დიდ, მშვენიერ გზაზე ელოდა თავის არმიას, ბაბილონს ქაშმირთან რომ აერთებდა იმ ხანებში. სკვითების ყაენიც ასეთივე ლამაზი გზით მიეშურებოდა ალდესთან ერთად იმაუსის მთისკენ. უფრო მოგვიანებით, ცუდი მმართველობის გამო ეს გზები სულაც გაქრა. ეგვიპტის ფარაონი დასავლეთისკენ მიემართებოდა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს მიჰყვებოდა, რომელსაც უვიცმა ებრაელებმა მოგვიანებით დიდი ზღვა უწოდეს.

რაც შეეხება მშვენიერ ფორმოზანტს, მან ბასორასკენ[19] აიღო გეზი; მთელი გზის გაყოლებით დარგული მაღალი პალმების წყალობით იქაურ მცხოვრებლებს მუდმივი ჩრდილი და ყოველი სეზონის ხილი არ აკლდათ. ტაძარი, სადაც ფორმოზანტი სალოცავად მიდიოდა, შიგ ბასორაში იდგა. წმინდანი, რომელსაც ეს ტაძარი აუგეს, დაახლოებით ისეთივე გახლდათ, როგორიც

უფრო გვიან ლამპსაკში[20] გაღმერთებული წმინდანი. ისარამარტო პოულობდა საქმროებს ქალიშვილებისათვის, არამედ თვითონაც სწევდა ქმრის მოვალეობას. აზიაში განსაკუთრებულ პატივსა სცემდნენ ამ წმინდანს, მაგრამ ფორმოზანტს ნაკლებად აინტერესებდა იგი, საყვარელ განგარიდელ მწყემსზე, პირმშვენიერ ამაზანზე ფიქრობდა ერთთავად. გადაეწყვიტა, ბასორაში ჩასვლისთანავე გემში

ჩამჯდარიყო, ბედნიერ არაბეთში ჩასულიყო და განსვენებული ჩიტის სურვილი აღესრულებინა.

მესამე ღამის სათევზე ის იყო მისთვის მომზადებულ სასტუმროში აპირებდა შესვლას, როცა ეგვიპტის მეფის იქ ყოფნა შეიტყო. ფარაონის ჯაშუშები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ პრინცესას და მისი ადგილსამყოფელი მეფისთვის ეცნობებინათ. მასაც მაშინვე ეცვალა გზი და ურიცხვი ამალით დასდევნებოდა მეფის ასულს. ფარაონმა მეთვალყურეები დააყენა კართან და ფორმოზანტის ოთახში შევიდა.

- ქალბატონო, სწორედ თქვენ გეძებდით. ბაბილონში ფრიად უყურადღებოდ დამტოვეთ. კადნიერი და ჭირვეული ქალიშვილები სამართლიანი დასჯის ღირსნი არიან. ამიტომ კეთილ ინებებთ და ამ საღამოს ჩემთან ივახშმებთ, ხოლო შემდეგ ჩემს სარეცელსაც გაიყოფთ და ისე მოგექცევით, როგორც მომესურვება.

ფარმოზანტი მიხვდა, ვერაფერს გახდებოდა და გადაწყვიტა, ჭკუა ეხმარა, მიამიტობა გამოეჩინა, ვითომ ხვედრს შევურიგდიო და როგორმე თავიდან მოეშორებინა ფარაონი. მან კეკლუცად გადახედა ეგვიპტის მეფეს: რამდენიმე საუკუნის შემდეგ ამ შემოხედვას „თვალებით თამაში“ უწოდეს; იგი ისე მორცხვად, ნაზად, გულუბრყვილოდ და მომხიბვლელად ელაპარაკა, კაცთაშორის ყველაზე კეთილგონიერსაც გააგიჟებდა, ხოლო ნათელმხედველს შეაცდენდა.

- გამოგიტყდებით, ბატონი, სანამ მამაჩემის სტუმარი ბრძანდებოდით, თვალს ვერ გისწორებდით. ჩემი გულისა და მიამიტობის მეშინოდა. ვცდილობდი, მამა და მეტოქეები არ მიმხვდარიყვნენ იმ უპირატესობას, თქვენ რომ განიჭებდით, რისი ღირსიც მხოლოდ თქვენ ბრძანდებით. ახლა კი თავისუფლად შემიძლია ჩემი გრძნობების გამჟღავნება. ვფიცავ აპისის ხარს, რომელსაც თქვენს შემდეგ ყველაზე მეტად ვცემ პატივს, თქვენი წინადადება გულს მითბობს. ერთხელ უკვე ვივახშმე თქვენთან ერთად, ოღონდ მამაჩემის თანდასწრებით, უიმისოდ კიდევ უკეთ ვიქნებით. ერთი სათხოვარი მექნება: თქვენი მოძღვარიც დაესწროს ვახშამს, ბაბილონში ყოფნისას მან ნამდვილი ოქროპირის შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. შირაზის[21] შესანიშნავი ღვინო მაქვს თან და მინდა ორთავემ გასინჯოთ. რაც შეეხება მეორე წინადადებას, მეტად სახარბიელოა, ოღონდ კარგად აღზრდილ ქალიშვილს ამაზე ლაპარაკი არ ეკადრება. ერთი რამ იცოდეთ: მეფეთა შორის უდიდეს მეფედ და ადამიანთა მოდგმას შორის ყველაზე თავაზიან ადამიანად თქვენ მიმაჩნიხართ. ამ სიტყვებით გაბრუებული ფარაონი მოძღვრის მოპატიჟებაზე უმალ დათანხმდა.

- ერთი თხოვნაც მაქვს თქვენთან, -უთხრა პრინცესამ, - ჩემს მეაფთიაქეს დართეთ ნება მოვიდეს ჩემთან! მოგეხსენებათ, ქალიშვილებს ხშირად აწუხებთ უმნიშვნელო უქეიფობა, როგორიცაა თავბრუსხვევა, ჭვალი, სულის ხუთვა, გულის ცემა. ამ სნეულებათა გასაქარვებლად წამლებია საჭირო. ერთი სიტყვით, მეაფთიაქე აუცილებლად უნდა ვნახო და იმედია, სიყვარულის ამ უბრალო, ნიშანზე უარს არ მეტყვით.

- თუმცა მე და მეაფთიაქესსაპირისპირო შეხედულებებიგვაქვს, ქალბატონო, თანაც მისი ხელობისათვის საჭირო იარაღები არაფრითა ჰგავს ჩემსას, მაგრამ თქვენს სამართლიან თხოვნას ვერ უგულებელვყოფ. ახლავე ვუბრძანებ ვახშმამდე მოვიდეს.

დარწმუნებული ვარ, მგზავრობა დაგღლიდათ და ალბათ მოახლე გჭირდებათ: შეგიძლიათ ნებისმიერ მსახურს მოუხმოთ, მე კი თქვენს ბრძანებას დაველოდები. როგორც კი ხელსაყრელ ჟამს შეარჩევთ ჩემთან შესაყრელად, მაშინვე გეახლებით. ფარაონი ოთახიდან გავიდა.

მეაფთიაქე და მოახლე ირლა, რომელსაც ფორმოზანტი მთელი გულით ენდობოდა, ოთახში

შემოვიდნენ. პრინცესამ ირლას უბრძანა ვახშმად ექვსი ბოთლი შირაზის ღვინო მოეტანა და ასეთივე ღვინით მცველებსაც გამასპინძლებოდა. მეაფთიაქეს დაავალა საძინებელი წამლის განსაზღვრული დოზა ჩაესხა ბოთლებში, რათა 24 საათის განმავლობაში ყველას ჩასძინებოდა. ფორმოზანტის ბრძანება უსიტყვოდ შეასრულეს. ნახევარი საათის შემდეგ ეგვიპტის მეფე და მოძღვარი მობრძანდნენ. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა; მეფემ და მოძღვარმა ექვსივე ბოთლი გამოსცალეს და ერთხმად აღიარეს, ასეთი გემრიელი ღვინო ეგვიპტეში არ დაგვილევიაო. მოახლემ იზრუნა, შირაზის ღვინო მსახურებსაც არ დაკლებოდათ. პრინცესა არ სვამდა, განაცხადა, ექიმმა მკაცრად ამიკრძალაო. მალე ყველას ჩაეძინა.

ფარაონის მოძღვარს ულამაზესი წვერი ჰქონდა. ფორმოზანტმა მარჯვედ მოაჭრა, შემდეგ პატარა ბაფთას მიაწება, ნიკაპზე აიკრა და მღვდლის ანაფორაში გაეხვია, ხოლო მოახლე ქალღმერთ იზიდას ტაძრის მნათედ გამოაწყო. მერე აიღო ურნა, განძეულობა, ჩაუარა დარაჯებს, ისევე ღრმად რომ ეძინათ, როგორც მათ მბრძანებელს და სასტუმროდან გავიდნენ. კარებთან ორი შეკაზმული ცხენი დახვდათ. პრინცესამ ვერც ერთი ოფიცერი ვერ იახლა საკუთარი ამალიდან: ქალაქის მცველები ეჭვს აიღებდნენ და ყველას დააპატიმრებდნენ.

ჯარისკაცებს გადაცმული პრინცესა მოძღვარი ეგონათ და „უწმინდეს მამას“ კურთხევა სთხოვეს. ორი ლტოლვილი ქალი ოცდაოთხი საათის შემდეგ, სანამ ფარაონს ჯერ კიდევ ეძინა,

ბასორაში ჩავიდა. ქალებმა ეჭვის აღმძვრელი საბურველი მოიხსნეს, სასწრაფოდ დაიქირავეს გემი, რომელმაც ორმუზანდის სრუტიდან ედემის მშვენიერ სანაპიროზე - ბედნიერ არაბეთში გადაიყვანა. ეს ედემი, რომელმაც ასე გაითქვა სახელი, მართალთა საცხოვრებლად აღიარეს. ეს ბაღები ნიმუშად გამოიყენეს ელისეის მინდვრების[22], ჰესპერიდების ბაღებისა[23] და ბედნიერთა კუნძულისათვის, რადგან ცხელი ქვეყნების მცხოვრებლებს ჩრდილში განსვენებასა და წყლის დუდუნზე უფრო დიდი ბედნიერება ვერ წარმოუდგენიათ. ცაში უზენაეს არსებასთან მუდმივი ცხოვრება, ან ბაღში, სამოთხეში სეირნობა ერთი და იგივეა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ლაპარაკობენ, მაგრამ ერთმანეთისა არ ესმით და რომლებსაც საკუთარი აზრების ნათლად და ზუსტად გადმოცემა ჯერ კიდევ არ შეუძლიათ.

ამ ქვეყანაში ჩასვლისთანავე პრინცესა საყვარელი ფრინველისათვის დანაპირების აღსრულებას შეუდგა. მისმა ლამაზმა ხელებმა მიხაკისა და დარიჩინის ტოტებისგან პატარა კოცონი გააჩაღეს. იგი სახტად დარჩა, როცა ჩიტის ფერფლის მიმობნევისთანავე კოცონი თავისთავად აგიზგიზდა! მერე ყველაფერი დაიწვა და ფერფლის ადგილას დიდიკვერცხი გამოჩნდა, საიდანაცგამოვიდამისი ჩიტი,

რომელსაც უწინდელზე უბრწყინვალესი ბუმბული ემოსა. პრინცესას არასოდეს განუცდია ისეთი ნეტარი წუთები და თავის სიცოცხლეში ალბათ არც არასოდეს განიცდიდა, თუ არ ჩავთვლით იმ ერთადერთი სასურველი წამის დადგომას, რისი იმედიც დაკარგული ჰქონდა.

- ვხედავ, სწორედ ის ფენიქსი[24] ხართ, რომელზედაც ბევრი მსმენია, - უთხრა მან ფრინველს, - სიხარულისა და გაოცებისაგან ლამის გული გამისკდეს. მკვდრეთით აღდგომისა აქამდე არ მჯეროდა, მაგრამ ბედმა უკვე ამაშიც დამარწმუნა.

- მკვდრეთით აღდგომა ჩვეულებრივი ამბავია ამქვეყნად, ქალბატონო. ერთხელ დაბადება უფრო დიდი საოცრებაა, ვიდრე ორჯერ გაჩენა; განა ქვეყნად ყველაფერი ხელახლა არ იბადება? მუხლუხები პეპლებად ცოცხლდებიან, მიწაში დამარხული ცხოველები - ბალახად, მცენარეებად. ისინი სხვა ცხოველებს ჰკვებავენ, რომელთა სუბსტანციის შემადგენელ ნაწილებად გადაიქცევიან ხოლმე მოგვიანებით: სხეულის შემადგენელი ყოველი ნაწილი სხვადასხვანაირ არსებად იქცევა. მართალია, მე ვარ ერთადერთი, რომლის მიმართ ყოვლისშემძლე ოროზმადმა წყალობა მოიღო და ჩემივე ბუნებით აღმადგინა.

ამაზანსა და ფენიქსთან შეხვედრის შემდეგ ფორმოზანტი თითქმის ყოველდღიურად ათასგვარი საოცრების მოწმე ხდებოდა.

- უზენაესმა რომ ფერფლიდან თქვენივე მსგავსი ფენიქსის შექმნა შეძლოს, ეს მე გასაგებად მიმაჩნია, ოღონდ იგივე არსება თუ ხართ, იგივე სული თუ გიდგათ, გამოგიტყდებით, ამას ვერ დავიჯერებ. სად იყო თქვენი სული მთელი იმ ხნის განმავლობაში, გარდაცვალების შემდეგ ჯიბით რომ გატარებდით?

- ღმერთო ჩემო! განა დიდი ოროზმადისთვის ერთნაირად ადვილი არ არის, ქალბატონო, ჩემსავე ნაწილზე განაგრძობს ზემოქმედებას, თუ ხელახლა შეუდგება ჩემს შექმნას? წინათ მან გრძნობა, მეხსიერება, აზრი მარგუნა, ახლაც იგივე თვისებები მომანიჭა. ამ წყალობას ჩემში მიმალული ცეცხლის პირველად ატომს მიაკუთვნებს თუ ჩემი ორგანოების მთლიანობას, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს! ფენიქსსა და ხალხს არასოდეს ეცოდინებათ როგორ ხდება ეს; უზენაესმა ჩემ მიმართ მაშინ მოიღო უდიდესი წყალობა, როცა თქვენთვის აღმადგინა მკვდრეთით. მომავალ მკვდრეთით აღდგომამდე შემიძლია კიდევ ვიცოცხლო ოცდარვა ათასი წელი თქვენთან და ჩემს საყვარელ ამაზანთან ერთად!

- ჩემო ფენიქსო, ბაბილონში ნათქვამი პირველი სიტყვები ხომ გახსოვთ? პირადად მე არასოდეს დამავიწყდება, რადგან ეს სიტყვები იმედს მაძლევს ხელახლა ვნახო ის ძვირფასი მწყემსი, მე რომ უკვე თაყვანსაც კი ვცემ. აუცილებლად უნდა წავიდეთ განგარიდელთა ქვეყანაში და ამაზანი ბაბილონში წამოვიყვანოთ!

- ჩემი განზრახვაც ესაა! - თქვა ფენიქსმა, - დროს ნუღარ დავკარგავთ, უმოკლესი გზა ავირჩიოთ. ე.ი. გადავფრინდეთ. ბედნიერ არაბეთში ორი ახალო მეგობარი, ორი ფასკუნჯი მყავს. აქედან ას ორმოცდაათი მილის დაშორებით ცხოვრობენ. მტრედების ფოსტით წერილს გავუგზავნი და დაღამებემდე აქ გაჩნდებიან. მანამდე კი მცირე ზომის წამოსაწოლ სავარძელს გავაკეთებინებ

თქვენთვის, მას უჯრებიანი განჯინა ექნება სურსათისათვის. ასეთ ეტლში მოხერხებულად იქნებით მოახლესთან ერთად. ფასკუნჯებს თქვენი ტარება არ გაუჭირდებათ, ღონიერნი არიან, თითოეული მათგანი ბრჭყალებით დაიჭერს სავარძლის თითო სახელურს. მაშ ასე, დროს ნუღარ დავკარგავთ!

ფენიქსი ერთ ნაცნობ მეავეჯესთან გაეშურა სავარძლის შესაკვეთად და ფორმოზანტიც თან წაიყვანა. ოთხი საათის შემდეგ სავარძელი მზად იყო. უჯრებში სამეფო პურები, ნამცხვრები ჩაალაგეს; ეს ნამცხვრები გაცილებით სჯობდა ბაბილონის ნამცხვრებს; ანანასი, ქოქოსი, ლიმონი, ბუსტუღა და ედემის ღვინით სავსე სურებიც ჩააწყვეს, ღვინო თვით შირაზისა და სიურენის[25] ღვინოს სჯობდა.

სავარძელი მსუბუქი, მოხერხებული და მაგარი გამოდგა. დანიშნულ დროს ფასკუნჯებიც ჩამოვიდნენ ედემში. ფორმოზანტი და ირლა ეტლში ჩასხდნენ, რომელიც ფასკუნჯებმა ბუმბულივით აიტაცეს. ფენიქსი ხან ეტლის უკან მიფრინავდა, ხან მის სახელურზე ჩამოჯდებოდა. ფასკუნჯებმა შურდულივით გააპეს ჰაერი და განგისკენ გაიშხუილეს.

მგზავრები მხოლოდ ღამით ისვენებდნენ ისიც რამდენიმე წუთით: სანამ თვითონ საუზმობდნენ ფრთოსანი მეეტლეები წყურვილს იკლავდნენ.

ბოლოს განგარიდელთა ქვეყანასაც მიაღწიეს. იმედით, სიყვარულითა და სიხარულით უთრთოდა გული პრინცესას. ფენიქსმა ამაზანის სახლთან შეაჩერა ფასკუნჯები. სამწუხაროდ, ამაზანი შინ არ დახვდათ, სამი საათის წინ სადღაც წასულიყო, არავინ იცოდა საით.

ფორმოზანტის სასოწარკვეთილების გამოხატვა თვით განგარიდელთა ენასაც არ ძალუძდა.

- სწორედ ამის მეშინოდა! -უთხრა ფენიქსმა, -ვინ იცის, დრომ, ბასორის გზაზე რომ დავკარგეთ იმ წყეულ ფარაონთან, სასტუმროში, იქნებ სამუდამოდ წარგტაცათ ბედნიერება!

ფენიქსმა მსახურებს ჰკითხა, ამაზანის დედის ნახვა თუ შეიძლებაო. მსახურებმა მოახსენეს, გუშინწინ მეუღლე გარდაეცვალა და არავის ღებულობსო. ფენიქსმა ყური არ ათხოვა მათ სიტყვებს და რაკი ამ ოჯახში შინაურულად გრძნობდა თავს, პრინცესა დარბაზში შეიპატიჟა; ოთახის კედლები ფორთოხლის ხითა და სპილოს ძვლით მოეპირკეთებინათ. გარიჟრაჟისფერი სირმებით გაწყობილ თეთრ, გრძელ ტანსაცმელში ჩაცმულმა ორთავე სქესის მწყემსებმა ფაიფურის ას კალათში ჩალაგებული ასი თავი გემრიელი საჭმელი მიართვეს მეფის ასულს; ამ კერძებში არც ერთი შენიღბული ლეში არ ყოფილა. ბრინჯი, საგო, მანანის ბურღული, ვერმიშელი, მაკარონი, ერბო-კვერცხი, რძეში მოხარშული კვერცხები, ნამცხვარი, ყველი, მწვანილი და ისეთი სურნელებისა და გემოს ხილი შეადგენდა მთელ საკვებს, რასაც სხვა

ქვეყანაში ვერ იპოვიდით. ხოლო გამაგრილებელი სასმელები ყოველგვარ უმაღლესი ხარისხის ღვინოსა სჯობდა.

სანამ ვარდების სარეცელზე წამოწოლილი პრინცესა საუზმობდა, ოთხი, საბედნიეროდ მუნჯი ფარშევანგი მშვენიერი ფრთებით უნიავებდა. ორასი ჩიტის, ასი

მწყემსისა და ასი მწყემსი ქალის ორმა გუნდმა კონცერტი გაუმართეს. ბულბულები, ჟივჟივები, კიოტები, იადონები და მწყემსი ქალები მაღალ ნოტებზეგალობდნენ; ხოლო მწყემსი ვაჟები ალტისა და და ბანის ხმაზე; ერთი სიტყვით, თვით ბუნება, უბრალო და ლამაზი ბუნება წარსდგა პრინცესის წინაშე. მან აღიარა, მართალია ბაბილონში ბევრ იშვიათობას შეხვდება ადამიანი, მაგრამ ბუნება გაცილებით ლამაზია განგარიდშიო. სანამ ეს სასიამოვნო, დამამშვიდებელი კონცერტი გრძელდებოდა, თვალცრემლიანი პრინცესა მოახლე ირლას ეუბნებოდა:

- ეს მწყემსები, ბულბულები და იადონები თავიანთ გულის რჩეულთ ესიყვარულებიან, მე კი განგარიდელი გმირის ნახვაც არ შემიძლია. ის ხომ ჩემი ნაზი, მხურვალე სიყვარულის ღირსია! ამასობაში ფენიქსი ამაზანის დედას ელაპარაკებოდა:

- ქალბატონო, ბაბილონის მეფის ასულთან შეხვედრაზე უარს ნუ, მეტყვით: თქვენც ხომ იცით...

- მე ყველაფერი ვიცი, - შეაწყვეტინა ქალმა, - ბასორას გზაზე, სასტუმროში მომხდარი ამბავიც ცნობილია ჩემთვის. ერთმა შაშვმა ყოველივე წვრილად მიამბო. სწორედ ის წყეული შაშვი გახდა იმის მიზეზი, სასოწარკვეთილ ჩემს შვილს გონება რომ აერია.

- სამაგიეროდ ის აღარ იცით, რომ პრინცესამ მე გამაცოცხლა.

- არა, შვილო, ეს არ ვიცოდი. შაშვმა მითხრა მოკვდაო და საშინლად შევწუხდი, ვეღარაფერმა დამამშვიდა. თქვენი დაკარგვით, ქმრის სიკვდილით და შვილის უეცარი გამგზავრებით ისეთი თავზარდაცემული ვიყავი, ყველას ავუკრძალე ჩემთან შემოსვლა. მაგრამ რაკი ბაბილონის მეფის ასულმა პატივი დამდო და ჩემს სანახავად მობრძანდა, წამიყვანეთ მასთან. მინდა თქვენი თანდასწრებით შევატყობინო უკანასკნელი ამბავი.

ამაზანის დედა მეზობელ დარბაზში შევიდა. იგი მძიმე ნაბიჯებით მიდიოდა: ქალი დაახლოებით სამასი წლისა იქნებოდა, მაგრამ სილამაზის კვალი კვლავაც ეტყობოდა და ჩანდა, ორას ოცდაათი-ორმოცი წლის ასაკში ჯერ კიდევ მომხიბვლელი იქნებოდა. მან პატივითა და ღირსეულად მიიღო ფორმოზანტი, რომელზედაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ქალის მწუხარე, თანაგრძნობით სავსე იერმა. პრინცესამ ქმრის გარდაცვალება მიუსამძიმრა.

- ვაგლახ. - უთხრა ამაზანის დედამ, - თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ რა სავალალოა მისი დაკარგვა თვით თქვენთვისაც!

- რა თქმა უნდა, მისმა სიკვდილმა ძალიან შემაწუხა, ის ხომ მამა იყო... -ფორმოზანტს ტირილი წასკდა. - მისი გულისთვის მრავალი საფრთხე გამოვიარე, - განაგრძო მან, - მამა და მსოფლიოში ულამაზესი სამეფო სასახლე დავტოვე, ხელიდან დავუსხლტი ვერაგ, საშინელ მეფეს ეგვიპტისას, რომელმაც ჩემი დამორჩილება განიზრახა; მიჯნურის სანახავად ჰაერი გავაპე, ჩამოვედი ის კი გამირბის! ცრემლები და ქვითინი ლაპარაკს უშლიდა.

- ქალბატონო, - წამოიწყო ამაზანის დედამ, - როცა ეგვიპტის მეფესთან სასტუმროში ვახშმობდით და ლამაზი ხელებით ღვინოს უსხამდით, გაიხსენეთ, იმ ოთახში შაშვი ხომ არ დაფრინავდა?

- როგორ არა, დიახ... მახსოვს! მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა კი მაგონდება... სწორედ იმ დროს, ეგვიპტის მეფე საკოცნელად რომ წამოდგა, შაშვი ჩხავილით გაფრინდა ფანჯრიდან და გაუჩინარდა.

- ვაი რომ, სწორედ ეს გახდა ჩემი უბედურების მიზეზი, - წამოიძახა ამაზანის დედამ, - ჩემმა ვაჟმა შაშვი გამოგზავნა, უნდოდა გაეგო, როგორა ხართ და საერთოდ, რა ხდებოდა ბაბილონში. მას განზრახული ჰქონდა ახლო მომავალში თქვენთან ჩამოსულიყო, ფერხთ ჩაგვარდნოდათ და სიცოცხლე შეეწირა თქვენთვის. თქვენ ხომ არ იცით, როგორ გაღმერთებთ ჩემი შვილი! საერთოდ, განგარიდელებმა ღრმა სიყვარული იციან, ერთგულნი არიან, მაგრამ ჩემი შვილი განსაკუთრებული, მტკიცე გრძნობით გამოირჩევა. შაშვმა სასტუმროში გნახათ. თურმე ფარაონთან და ვიღაც საძაგელ ქურუმთან ერთად მხიარულად შეექცეოდით ღვინოს. შემდეგ ნაზი ამბორიც გაგიმეტებიათ მეფისთვის, რომელმაც ფენიქსი მოგიკლათ. სწორედ ამიტომ ეზიზღებოდა ჩემს შვილს ეგვიპტის მეფე. შაშვი სამართლიანად აღშფოთებულა თქვენი საქციელით, დაუწყევლია თქვენი შემაზრზენი სიყვარული, მოფრინდა ჩვენთან და ყოველივე გვიამბო. ოი, ღმერთო! ისიც რა ჟამს! როცა ჩემი შვილი ჩემთან ერთად დასტიროდა მამასა და ფენიქსს. ამას გარდა, სწორედ იმ წუთებში გავუმხილე მას, რომ თქვენ მისი ბიძაშვილი იყავით.

- ღმერთო დიდებულო! ქალბატონო, ნუთუ მართალია, რასაც მეუბნებით? როგორ? რას ბრძანებთ? რა ბედნიერი ვყოფილვარ! თუმცა რას ვროშავ, რაკი მე იგი შეურაცხყავი, უბედური ქალი ვყოფილვარ და მეტი არაფერი!

- გიმეორებთ, ჩემი შვილი თქვენი ბიძაშვილია. ახლავე დაგიმტკიცებთ: მართალია, ჩემი

ნათესავი გახდით, მაგრამ შვილი კი დამიკარგეთ. ეგვიპტის მეფის ამბორით გამოწვეულ მწუხარებას ის ვერ გადაიტანს.

- ო, ბიცოლაჩემო! -წამოიყვირა მშვენიერმა ფორმოზანტმა! - ვფიცავ მის სახელსა და ყოვლისშემძლე ოროზმადს, ეს საბედისწერო კოცნა დანაშაულად არ ჩამეთვლება. პირიქით, უძლიერესი საბუთია იმ ღრმა სიყვარულისა, თქვენი ვაჟის მიმართ რომ ვგრძნობ. მისი გულისთვის მამის ურჩობა გავბედე, ევფრატი გადავლახე და განგის სანაპიროზე მოვედი, მაგრამ იქ ეგვიპტის საზიზღარმა მეფემ ხაფანგი დამიგო და აი, მოტყუებით დავუსხლტი ხელიდან. ამის მოწმედ ფენიქსის სული და ფერფლი მყავს, ჯიბეში რომ მედო იმ წუთში. დარწმუნებული ვარ, ის მაინც გამამართლებს. მაგრამ როგორ მოხდა, რომ განგის ნაპირზე დაბადებული თქვენი შვილი ჩემი ბიძაშვილია? ჩემი ოჯახი ხომ მრავალი საუკუნეა, რაც ევფრატის სანაპიროზე მეფობს?!

- ალბათ იცით, -უთხრა დარბაისელმა განგარიდელმა, - რომ თქვენი პაპის ძმა, ალდე ბაბილონის მეფე იყო და იგი მამათქვენის, ბელუსის მამამ ტახტიდან გადმოაგდო.

- დიახ, ქალბატონო.

- ალბათ ისიც იცით, რომ მის ვაჟს, ალდეს ქალიშვილი ჰყავდა, სახელად ალდე, თქვენს კარზე რომ იზრდებოდა. მამათქვენის მიერ განდევნილმა უფლისწულმა კი მოგონილი სახელით შეაფარა თავი ჩვენს ბედნიერ ქვეყანას და ცოლად შემირთო; მასთან შემეძინა უფლისწული ალდე-ამაზანი, მშვენიერი, მამაცი, გულადი და კეთილშობილი ჭაბუკი, ამჟამად გონებადაკარგული რომაა. ჭაბუკი თქვენი სილამაზით დაინტერესდა და ზეიმზე წამოვიდა დასასწრებად. იმდღიდან გაღმერთებთ. ვაი რომ, მე უბედური მის ნახვას ვეღარ მოვესწრები!

ქალმა ალდეთა მოდგმის დამამტკიცებელი საბუთები გადაუშალა, მაგრამ პრინცესამ ზედაც არ შეხედა.

- რა საჭიროა საბუთები? მე ისედაც გენდობით, - წამოიძახა მან, - ნეტა სად არის ახლა ალდე-ამაზანი? სად არის ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი მიჯნური, ჩემი მეფე? სად არის ჩემი სიცოცხლე? საით წავიდა? ახლავე უნდა გავემგზავრო მის საძებნელად. მარადიული ღმერთის მიერ შექმნილ ყოველ სფეროს შემოვივლი, რომლის ულამაზესი სამკაულიც ამაზანია; მე გეზს ავიღებ კანოპის ვარსკვლავისაკენ, შეატისაკენ, ალდებარანისკენ და მას ჩემს სიყვარულსა და უდანაშაულობაში დავარწმუნებ.

შაშვის მიერ პრინცესისადმი წაყენებული დანაშაული, თითქოს მას სიყვარულით ეკოცნა

ფარაონისათვის, ფენიქსმა გააქარწყლა. მაგრამ მთავარი მაინც ამაზანის გადარწმუნება და დაბრუნება იყო. ფენიქსმა ჯერ ჩიტები გააგზავნა ყოველ მხარეს, შემდეგ მარტორქები ჩააბა ძებნაში. მათ მალე მოიტანეს ამბავი: ამაზანი ჩინეთის გზაზე უნახავთო.

- კეთილი! ჩინეთში წავიდეთ! - წამოიძახა პრინცესამ, - არც ისე შორი გზაა, ორი კვირის თავზე იმედია შვილს დაგიბრუნებთ!

რამდენი ცრემლი დაღვარეს განგარიდელის დედამ და ბაბილონის მეფის ასულმა! რა გულმხურვალედ გამოეთხოვნენ ერთმანეთს!

ფენიქსმა ექვსი მარტორქა შეაბმევინა ეტლში. დედამ ორასი მხედარი გააყოლა ნათესავს და რამდენიმე ათასი უმშვენიერესი ალმასი აჩუქა.

ფენიქსი ისე დაამწუხრა შაშვის დაუფიქრებელი საქციელით გამოწვეულმა უბედურებამ, ბრძანა, შაშვები განგარიდელთა ქვეყნიდან გაედევნათ; მართლაც, მას შემდეგ შაშვს ვერსად იპოვით განგის ნაპირზე.

V

მარტორქებმა ერთ კვირაში მიიყვანეს ფორმოზანტი, ირლა და ფენიქსი ჩინეთის დედაქალაქში, კამბალუში. ეს ქალაქი ბაბილონზე უფრო დიდი იყო და სულ სხვანაირი საოცრებებით გახლდათ ცნობილი. ამაზანზე ფიქრი რომ არა, ფორმოზანტს უეჭველად გაართობდა ეს ახალი გარემო, ახალი ზნე-ჩვეულებები. ჩინეთის

იმპერატორმა როგორც კი გაიგო, ბაბილონის პრინცესა ჩინეთის კარიბჭესთან არისო, საზეიმოდ გამოწყობილი ოთხი ათასი მანდარინი მყისვე გაგზავნა მის შესახვედრად. თითოეულმა მათგანმა მუხლი მოიყარა ფორმოზანტის წინ და მეწამული ფერის აბრეშუმის ფურცელზე ოქროს ასოებით დაწერილი მისალმება მიართვა.

- ოთხი ათასი ენა რომ მქონოდა, -უთხრა მათ პრინცესამ, - თითოეულ თქვენგანს ცალცალკე ვუპასუხებდი; რაკი ერთადერთი ენა მაქვს, ნება მომეცით საერთო მადლობა გადაგიხადოთ ყველას.

მეფის ასული დიდის პატივით მიაცილეს იმპერატორთან. მასზე სამართლიანი, ზრდილობიანი და ბრძენი ხელმწიფე არავის ეგულებოდა დედამიწის ზურგზე. სწორედ მან თავისი იმპერატორული ხელებით პირველმა დაამუშავა პატარა მინდორი, რათა ხალხისათვის მიწათმოქმედების სიყვარული შთაეგონებინა. პირველმა მან შემოიღო ჯილდო

კეთილშობილური საქციელისათვის, მაშინ როცა ყველა დანარჩენ სახელმწიფოში მხოლოდ ბოროტმოქმედების დასჯას ითვალისწინებდა კანონი. მან სახელმწიფოდან გააძევა უცხოელი ბონზების რაზმები[26]; დასავლეთიდან მოსულ ამ უგუნურებს იმედი ჰქონდათ, მთელ ჩინეთს ვაიძულებთ ჩვენებრ იაზროვნონო. ჭეშმარიტების ახსნის საბაბით მათ მოასწრეს და სიმდიდრესთან ერთად საპატიო თანამდებობებიც შეიძინეს.

სახელმწიფოს მატეანეში ჩაწერილია იმპერატორის სიტყვები, რომლითაც ამ ხალხს გაძევების წინ მიმართა:

„თქვენ აქაც ისეთივე უბედურებას მოახდენდით, რაც სხვაგან დაგითესიათ: მოსულხართ, რომ შეუწყნარებლობის დოგმები უქადაგოთ ისეთ ერს, თავისი შემწყნარებლობით მთელ ქვეყანაზე რომაა ცნობილი. ნუ მაიძულებთ, საკადრისი სასჯელი მოგიზღოთ! ამიტომაც გადავწყვიტე, გაგაძევოთ. ჩემი ხალხი პატივისცემით მიგაცილებთ სახელმწიფოს საზღვრამდე, მოგამარაგებთ ყველაფრით, რაც კი საჭიროა იმ ნახევარსფეროში დასაბრუნებლად, საიდანაც მოსულხართ. მშვიდობით იარეთ, თუკი მშვიდად ცხოვრება შეგიძლიათ და აქ აღარასოდეს დაბრუნდეთ!“

ხელმწიფის ეს განაჩენი და სიტყვები ბაბილონის პრინცესამ სიხარულით მოისმინა. მით უმეტეს, დარწმუნებული იყო, სასახლეში კარგად მიიღებდნენ, რადგან ყოველგვარი

შეუწყნარებლობის დოგმა შორს იყო მისგან. ჩინეთის იმპერატორმა ფორმოზანტთან ერთად ისადილა და ამით უხერხული ეტიკეტებიც აარიდა; ფორმოზანტმა ფენიქსი წარუდგინა. იმპერატორმა ისე გულთბილად მიუალერსა ფრინველს, იგი მაშინვე ჩამოჯდა მისი სავარძლის ზურგზე. ნასადილევს ფორმოზანტმა გულწრფელად გაანდო მისი მგზავრობის მიზეზი და სთხოვა, დამეხმარეთ, იქნებ კამბალუში მოვძებნო პირმშვენიერი ამაზანიო. ქალმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი და არც ის ბედუკუღმართი სიყვარული დაუმალა, ამ ახალგაზრდა გმირისადმი რომ ჩასახოდა გულში.

- ასე დაწვრილებით რატომ მელაპარაკებით მასზე? - უთხრა ჩინეთის იმპერატორმა, - პატივი მქონდა, ჩემს სასახლეში მიმეღო იგი. თავაზიანმა ამაზანმა მომხიბლა. მართალია, ძალიან დანაღვლიანებულია, მაგრამ ეს კიდევ უფრო აძლიერებს მის მიმზიდველობას. იგი ისეთი ჭკვიანია, ვერც ერთი ჩემი კარისკაცი ვერ შეედრება; არც ერთ ჩემს მანდარინს არ გააჩნია ისეთი ღრმა ცოდნა, როგორც მას აქვს, ვერც ერთი ჩემი სამხედრო მანდარინი ვერ შეედრება სიმამაცესა და გმირობაში; მისი ახალგაზრდული შემართება კიდევ უფრო მეტად ავლენს მის ბრწყინვალე ნიჭს. მე რომ ისეთი უბედური ვყოფილიყავ, ტიენისა და ჩანგტიდს[27] მფარველობა მომკლებოდა და დამპყრობლის ჟინი მომრეოდა, უეჭველად ვთხოვდი ამაზანს სათავეში ჩასდგომოდა ჩემს ლაშქარს და დარწმუნებული ვარ, მთელ ქვეყანასაც დავიმორჩილებდი. სწორედ ამიტომაა სავალალო, ხანდახან მწუხარება გონებას რომ ურევს.

- სადილად რატომ არ მოიპატიჟეთ? - საყვედურით მიმართა ფორმოზანტმა, რომელსაც სახეზე ალმური მოსდებოდა და გაოგნებული უგდებდა ყურს. - როგორ მომიკალით გული! თუ ხათრი გაქვთ, ახლა მაინც შეუთვალეთ, მობრძანდეს.

- იგი ამ დილით გაემგზავრა, ქალბატონო, ოღონდ არ უთქვამს რომელ ქვეყანაში მიდიოდა.

- ფენიქსო, - მიმართა ფორმოზანტმა, - სადმე თუ გინახავთ ჩემზე უბედური

ქალი? შემდეგ ისევ იმპერატორს მიუბრუნდა:

- კი მაგრამ, ასე უცებ როგორ გადაწყვიტა მიეტოვებინა ეს თქვენი დიდებული სასახლე? ჩემი აზრით, აქ სიამოვნებით გაატარებდა ადამიანი მთელ სიცოცხლეს!

- აი რა მოხდა, ქალბატონო: ერთ მშვენიერ პრინცესას შეუყვარდა ამაზანი და შუადღისას პაემანიც დაუნიშნა თავის სასახლეში. ამაზანმა გარიჟრაჟზე უკვე დატოვა სასახლე; წასვლის წინ ბარათი დაუტოვა ჩემს ნათესავს, რომელმაც ბევრი ცრემლი ღვარა. აი, რას წერდა ქალს: „ჩინეთის კეთილშობილო, მშვენიერო პრინცესავ! თქვენ ღირსი ხართ უყვარდეთ ისეთ ადამიანს, რომლის გული მხოლოდ თქვენთვის ძგერს. მე კი უკვდავ ღმერთებს შევფიცე,

ბაბილონის მეფის ასულის, ფორმოზანტის გარდა არავინ შევიყვარო. ამას გარდა, მას უნდა ვასწავლო როგორ უნდა დაიმორჩილო კაცმა თავისი გრძნობები მოგზაურობის დროს. საუბედუროდ, მან ეგვიპტის უღირს მეფესთან მიღალატა. ჩემზე უბედურ კაცს ვერ იპოვით დედამიწის ზურგზე. დავკარგე მამა, ფენიქსი და ფორმოზანტის სიყვარული. დამწუხრებული დედა და სამშობლოც იმიტომ მივატოვე, რომ არ შემიძლია იმ ადგილას ვიცხოვრო, სადაც ფორმოზანტის ღალატის ამბავი შევიტყვე. დავიფიცე, მთელი მსოფლიო შემოვიარო და ჩემი სიყვარულის ერთგული დავრჩე. ეს ფიცი რომ გამეტეხა, დარწმუნებული ვარ, თქვენც შემიზიზღებდით და ღმერთებიც დამსჯიდნენ. სხვა ვინმე შეიყვარეთ, ქალბატონო, და დარჩით ისეთივე ერთგული როგორიც მე ვარ!“

- მომეცით ეს საოცარი წერილი, - წამოიძახა მშვენიერმა ფორმოზანტმა, - ამიერიდან ეს იქნება ჩემი ნუგეში. ეს მაინც მომანიჭებს ბედნიერებას მე უბედურს!

ამაზანს ვუყვარვარ, ამაზანმა ჩემი გულისთვის უარი უთხრა ჩინეთის პრინცესას. მხოლოდ მას შეუძლია დასძლიოს თავისი გრძნობები, გაიმარჯვოს, მაგალითი მომცეს, თუმცა ფენიქსია მოწმე, ასეთი მაგალითი მე არ მჭირდება. განა არსებობს ამაზე მეტი სისასტიკე, დაკარგო სატრფო ერთი უბიწო კოცნის გამო, რაც მხოლოდ ერთგულებით იყო ნაკარნახევი?! ნეტა სად წავიდა? რა გზას დაადგა? იქნებ მირჩიოთ, საით წავიდე და წავალ!

იმპერატორმა უპასუხა, თუ იმ ცნობებს დავეყრდნობით, რაც მე მომცეს, ამაზანი სკვითიაში[28] უნდა წასულიყოო.

მარტორქები მყისვე შეაბეს ეტლში; პრინცესა გულთბილად გამოემშვიდობა იმპერატორს და ფენიქსის, ირლასა და მთელი ამალის თანხლებით გზას გაუდგა.

სკვითიაში ჩასვლისთანავე პრინცესა მიხვდა, რა განსხვავება იყო ხალხთა შორის, რითი განსხვავდებოდა სხვადასხვა ქვეყნის მმართველობა. სანამ რომელიმე ყველაზე განათლებული ერი ათასი საუკუნის შემდეგ ცივილიზაციას არ გაავრცელებს ყველგან, სანამ ბარბაროსულ მიწაზე, ენერგიული, ძლიერი გმირული სულები არ გამოჩნდებიან და ველურებს ადამიანებად არ გადააქცევენ, ეს განსხვავება მუდამ იარსებებს. სკვითიაში ქალაქები არ იყო. ამიტომ, ბუნებრივია, არავითარი ხელოვნება არ არსებობდა. მხოლოდ ვრცელი ტრამალები მოჩანდა ირგვლივ; ხალხი კარვებში ან ფორანზე ცხოვრობდა. შიშის მომგვრელი სანახაობა გახლდათ.

ფორმოზანტმა იკითხა, რომელ კარავში ან ფორანზე ცხოვრობს მეფეო. უპასუხეს, ერთი კვირის წინ მეფე სათავეში ჩაუდგა სამას ათასიან არმიას და ბაბილონის მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელსაც ძმისშვილი ალდე მოსტაცაო.

- რაო? ჩემი ბიძაშვილი მოიტაცა? - გაუკვირდა ფორმოზანტს, - პრინცესა ალდე? რა მოულოდნელი ამბავია! როგორ? ჩემი ბიძაშვილი, რომელიც იმითაც ბედნიერად თვლიდა თავს, მე რომ მართობდა, უკვე დედოფალი გახდა, მე კი გათხოვილიც არ ვარ?!

ბრძანა, დაუყოვნებლივ წამიყვანეთ დედოფლის კარვისკენო. შორეულ ქვეყანაში მოულოდნელად შეხვედრამ, თავიანთი თავგადასავლების გაზიარებამ ბიძაშვილების საუბარი სასიამოვნო გახადა და კიდეც გადაავიწყდათ, ერთმანეთი რომ არ უყვარდათ. ვერც ერთი ვერ ფარავდა სიხარულის ცრემლებს, ნამდვილი სიყვარული ტკბილმა ილუზიამ შეცვალა და რაკი ეს შეხვედრა სასახლეში არ ხდებოდა, მათ საქციელში გულთბილობა და გულწრფელობაც კი იგრძნობოდა. ალდემ მაშინვე იცნო ფენიქსი და ირლა. სიასამურის ბეწვეული მიართვა პრინცესას, რომელმაც სამაგიეროდ ალმასებით დაასაჩუქრა. ისინი საუბრობდნენ ორი ხელმწიფის მიერ წამოწყებულ ომზე, ეცოდებოდათ მეფეების მიერ სასაკლაოზე გაგზავნილი სპა, მსგავს უთანხმოებას ჭკვიანი ხალხი ალბათ ერთ საათში მოაგვარებდაო. განსაკუთრებით დიდხანს ისაუბრეს მშვენიერ უცნობზე, რომელმაც ლომი მოკლა, მსოფლიოში უმსხვილესი ალმასები გააჩუქა, მადრიგალი შეთხზა, ფენიქსის მფლობელი იყო და ისეთი უბედური კი გახდა შაშვის წყალობით.

- იცით, ის ჩემი ძმაა! - ამაყად თქვა ალდემ.

- სამაგიეროდ, ჩემი მიჯნურია! - წამოიძახა ფორმოზანტმა, - ნახეთ ხომ იგი? რაკი იცით, რომ თქვენი ძმაა, ისევ აქ იქნება! შეუძლებელია, თქვენც ისევე ერთბაშად მიეტოვებინეთ, როგორც ჩინეთის იმპერატორი მიატოვა!

- ნახეთო? - შეჰყვირა ალდემ, - ღმერთო დიდებულო! მან მთელი ოთხი დღე დაჰყო ჩემთან. რომ იცოდეთ, რა საცოდავია! იმ ყალბმა ცნობამ ჩემი ძმა სულ გააგიჟა. ისე ხეტიალობს ამ ქვეყნებში, ხეირიანად არც კი იცის, საით მიდის. წარმოიდგინეთ, იმდენად აერია გონება, სკვითების ულამაზეს ქალს უარი უთხრა სიყვარულზე. გუშინ კიმერიელების ქვეყანაში წავიდა. წასვლის წინ ისეთი ბარათი მისწერა საცოდავ ქალს, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

- დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი! - შესძახა ფორმოზანტმა, - ჩემი გულისთვის კიდევ ერთ ქალს უთხრა უარი! ჩემი ბედნიერება ისევე აღემატება ჩემს იმედებს, როგორც უბედურება აღემატებოდა ჩემს ყოველგვარ შიშს! უბრძანეთ, ახლავე მომცენ ის ბართი, მინდა ამაზანის მსხვერპლებით ხელებდამშვენებული მივყვე მის კვალს. მშვიდობით, ბიძაშვილო. რაკი ამაზანი კიმერიელებთანაა, მე იქ მივფრინავ...

ალდემ იფიქრა, ჩემს ძმაზე მეტად ჩემი ბიძაშვილი ყოფილა შეშლილიო. მაგარამ რაკი ასეთივე გადამდები სენი თვითონაც გადაეტანა და ბაბილონის სიმშვენიერე და ბრწყინვალება

სკვითების მეფის გულისთვის დაეთმო, რაკი ქალები სამიჯნურო გახელებას მუდამ თანაუგრძნობენ, ალდესაც გულწრფელად შეებრალა ფორმოზანტი, ბედნიერი მგზავრობა უსურვა და შეჰპირდა, თუკი ოდესმე მექნა ბედნიერება და კვლავაც შევხვდი ძმას, შენი სიყვარულის ამბავს გადავცემო.

VI

ბაბილონის მეფის ასული და ფენიქსი მალე ჩავიდნენ კიმერიელთა სამფლობელოში. ეს მხარე მართალია ორჯერ ნაკლებ დასახლებული იყო, ვიდრე ჩინეთი, სამაგიეროდ ორჯერ უფრო ვრცელი გახლდათ. ოდესღაც იგი სკვითიას ჰგავდა, მაგრამ ბოლო ხანებში იმ სამეფოების მსგავსად აყვავებულიყო, რომლებიც ერთთავად ტრაბახობდნენ, ცივილიზაცია ჩვენ შევიტანეთ სახელმწიფოებშიო.

რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ პრინცესა ერთ ძალიან დიდი ქალაქში შევიდა[29], რომლის გამშვენიერებას იქაურ დედოფალს უმადლოდნენ. დედოფალი ქალაქში არ დახვდათ: ევროპისა და აზიის საზღვრებზე მოგზაურობდა, უნდოდა საკუთარი თვალით ენახა თავისი სამფლობელოები, გაეგო რა უჭირდათ, დახმარებოდა, დოვლათიანობა გაეზარდა და ხალხში განათლება შეეტანა.

როცა ამ ძველი დედაქალაქის ერთ-ერთმა წარჩინებულმა პირმა ბაბილონელი მეფის ასულისა და ფენიქსის ჩამოსვლა შეიტყო, არ დააყოვნა და პრინცესა დიდი პატივით მიიღო; ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი მბრძანებელი, თავაზიანი და სტუმართმოყვარე დედოფალი ამ საქციელს მოუწონებდა და ასევე ღირსეულად მიიღებდა საპატიო სტუმარს.

ფორმოზანტი სასახლეში დააბინავეს და მოსაბეზრებელი ხალხის ნახვაც აარიდეს. პრინცესის საპატივცემულოდ ზეიმი მოაწყვეს. კიმერიელი წარჩინებული პირი დიდად განათლებული ბუნებისმეტყველი აღმოჩნდა და სანამ პრინცესა მისთვის განკუთვნილ ოთახში ისვენებდა, დიდხანს ესაუბრა ფენიქსს. ფრინველი გამოუტყდა, კიმერიაში ადრეც მიმოგზაურიაო, მაგრამ ახლა ვეღარ ვცნობო.

- საკვირველია, - უთხრა მან - ამ ხანმოკლე დროში ასეთი სასწაულებრივი ცვლილება როგორ მოხდა თქვენში, სამასი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც აქ საშინელი ველური ბუნება ვნახე. ახლა კი ხელოვნებას, დიდებას, თავაზიანობას მთელი ბრწყინვალებით გაუდგამს ფესვი.

- ეს უდიდესი საქმე ერთმა კაცმა წამოიწყო[30], - უპასუხა კიმერიელმა, -ხოლო ქალმა სრულქმნა მისი ნამოღვაწარი. ეს მანდილოსანი ეგვიპტელ იზიდაზე და ბერძენ ცერერაზე[31] უკეთესი კანონმდებელი აღმოჩნდა. კანონმდებლობის უმრავლესობას ვიწრო და დესპოტური აზრები ჰქონდა: თითოეული მათგანის თვალსაზრისი იმ ქვეყნით შემოიფარგლებოდა, თვითონ რომ მართავდა. ფიქრობდა, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ჩემი ხალხი არსებობსო და სხვა ერებს მტრულად უყურებდა. მათ მხოლოდ თავიანთი ხალხისთვის შექმნეს სხვადასხვა დაწესებულება, მხოლოდ თავიანთი ხალხისთვის შემოიტანეს ახალი ჩვეულებები, მხოლოდ თავიანთი ხალხისთვის დააწესეს რელიგია, ამის შედეგად ეგვიპტელები, რომელთა ქვების

გროვას შორს ჰქონდა გავარდნილი სახელი, სულ გამოყეყეჩდნენ და ბარბაროსული ცრურწმენით თავიც შეირცხვინეს. სხვა ერები უვიცებად მიაჩნიათ, არავითარი კავშირი არა აქვთ მათთან და სასახლის კარის გარდა, ზოგჯერ საერთო ცრურწმენაზე მაღლა რომ დგას, ვერსად იპოვით თუნდაც ერთ ეგვიპტელს, უცხოელთან ლუკმა რომ გატეხოს. მათი ქურუმები სასტიკნი და ბრიყვნი არიან. სჯობს სულ არ გვქონდეს კანონები და ყური მივუგდოთ ბუნებას, სამართლიანობისა და უსამართლობის ცნებები ასე ღრმად რომ შთაგვინერგა გულში, ვიდრე ამ უჟმურ კანონებს დავუმორჩილოთ საზოგადოება.

ჩვენს დედოფალს სულ სხვა, საპირისპირო ზრახვები ამოძრავებს: მიაჩნია, მისი თვალუწვდენელი სახელმწიფო, ყველა დანარჩენ მერიდიანებს რომ აერთიანებს, ამ სხვადასხვა მიწაზე დასახლებულ ხალხთა შესატყვისი უნდა იყოს. მისი პირველი კანონი ყოველგვარი რელიგიის თავისუფლება და ყოველი ცდომილის თანაგრძნობა გახლდათ. ეს ფრიად გონიერი მანდილოსანი მიხვდა, რომ შესაძლებელია რელიგიური კულტები სხვადასხვანაირი იყოს, სულ ერთია, მორალი მაინც ერთია ყველგან. ამ პრინციპის მოშველიებით თავისი ერი ყველა ერს დაუკავშირა და კიმერიელები[32] ახლა ძმასავით ექცევიან სკანდინაველებსა და ჩინელებს. მეტსაც გეტყვით: დედოფალი[33] შეეცადა ხალხთა შორის უპირველესი კავშირი, ეს დიდებული შემწყნარებლობა, მეზობლებთანაც დაემკვიდრებინა[34]. ამიტომაც დაიმსახურა სამშობლოს დედის სახელი და თუ ასე განაგრძო, მალე კაცობრიობის კეთილმყოფელის სახელსაც მოიხვეჭს.

მის გამეფებამდე ყოვლისშემძლე ადამიანები მკვლელთა არმიას აგზავნიდნენ უცნობი მოსახლეობის ასაკლებად, რათა მერე მათი სისხლით მამათა მიერ დატოვებული მემკვიდრეობა მოერწყოთ; ამ მკვლელებს ისინი გმირებს უწოდებდნენ;

ძარცვაგლეჯვას დიდებად უთვლიდნენ; ჩვენს მბრძანებელს სულ სხვა დიდება მოსავს: იგი მშვიდობის დასამყარებლად აგზავნის არმიას, ხელს უშლის ადამიანებს ზიანი მიაყენონ ერთმანეთს, აიძულებს ლმობიერად მოექცნენ მოყვასს; მისი ალამი საყოველთაო თანხმობის მატარებელია. ფენიქსი აღტაცებული დარჩა ამ წარჩინებულის[35] ნაამბობით.

- ოცდაშვიდი ათას ცხრაასი წელი და შვიდი თვეა, ბატონო, რაც ქვეყანაზე ვცხოვრობ, მაგრამ იმის მსგავსი, რაც ახლა მიამბეთ, არსად მინახავს.

მერე თავისი მეგობრის, ამაზანის ამბავი ჰკითხა. კიმერიელმაც იგივე უამბო, რაც პრინცესამ ჩინეთსა და სკვითიაში შეიტყო. ამაზანი მყისვე გარბოდა ქალაქიდან, როგორც კი რომელიმე ქალი პაემანს დაუნიშნავდა. ჩანდა, ცდუნებისა ეშინოდა ჭაბუკს. ფენიქსმა მაშინვე აცნობა ფორმოზანტს მიჯნურის ერთგულების კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთი. ეს ერთგულება მით უფრო იყო საოცარი, რომ ამაზანი ვერც კი წარმოიდგენდა, პრინცესა მის შესახებ თუ შეიტყობდა რასმე.

ამაზანი სკანდინავიაში წასულიყო. ბევრი ახალი და საკვირველი რამ ენახა ამ ქვეყანაში: მეფის უფლებები და თავისუფლება თანხმობით იყვნენ, რაც სხვა ქვეყნებში შეუძლებლად მიაჩნდათ. სამეფოს დიდებულებთან ერთად კანონმდებლობაში მიწათმოქმედნიც იღებდნენ მონაწილეობას; ყრმა უფლისწული[36] იმედს იძლეოდა, რომ თავისუფალი ხალხის ღირსეული მმართველი გახდებოდა. სწორედ აქ ხდებოდა ყველაზე უცნაური რამ: მეფე, თავის ხალხთან ფორმალური ხელშეკრულებით მიღებულ ქვეყანას დესპოტურად რომ მართავდა, მეტად ახალგაზრდა და წარმოიდგინეთ, მეტად სამართლიანი გახლდათ[37].

სარმატების ქვეყანაში[38] ამაზანს ფილოსოფოსი დახვდა ტახტზე[39]. მისთვის „ანარქიის მეფე“ შეიძლებოდა დაერქვათ, რადგან ასი ათას პატარა მეფეს მეთაურობდა, თითოეულ მათგანს კი ერთი სიტყვით შეეძლო გაებათილებინა ყველა დანარჩენი მეფის გადაწყვეტილება[40]. ქარების ღმერთს, ეოლოსს, ალბათ ისე არ გაუჭირდებოდა მუდამ ბობოქარი გრიგალის შეკავება, როგორც ამ მონარქს უჭირდა სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ხალხის დამშვიდება: იგი განუწყვეტელ ქარიშხალში მოხვედრილ მესაჭეს წააგავდა. მაგრამ უფლისწულს საჭე ისე მტკიცედ ეპყრა ხელთ, მისი ხომალდი ერთხელაც არ ჩაძირულა.

ამაზანმა შემოიარა თავისი სამშობლოსგან განსხვავებული ქვეყნები და ყველგან უარს ამბობდა იმ სიკეთეზე, რასაც სთავაზობდნენ, ვერ დაევიწყნა ის საბედისწერო კოცნა, ეგვიპტის მეფეს რომ

ერგო ფორმოზანტისაგან; იგი მტკიცედ ასრულებდა თავის გადაწყვეტილებას, ურყევი და არნახული სიყვარულის მაგალითი მიეცა პრინცესასათვის.

ბაბილონის მეფის ასული და ფენიქსი კვლავ კვალდაკვალ მისდევდნენ ამაზანს, მაგრამ მუდამ ერთი-ორი დღით იგვიანებდნენ. თანაც ამაზანი ჯერაც არ დაღლილიყო მოგზაურობით, ხოლო ფორმოზანტი ფეხჩაუხრელად მისდევდა კვალში.

ასე მოიარეს მთელი გერმანიაც. ორივე გააოცა აზროვნებისა და ფილოსოფიის წარმატებამ ჩრდილოეთში. ამ ქვეყანაში ყველა უფლისწული განათლებული და

აზრის თავისუფლების მომხრე იყო; პრინცების აღზრდა ისეთ პირთ ჰქონდათ მინდობილი, რომლებიც არც მათი მოტყუებით იყვნენ დაიტერესებულნი და არც თვითონ იტყუებდნენ თავს: საყოველთაო კანონებისადმი და ცრუმორწმუნეობისადმი ზიზღს შთაუნერგავდნენ აღსაზრდელებს. სახელმწიფოებიდან უკვე გაედევნათ ერთი სულელური ჩვეულება[41], სამხრეთის ბევრ ქვეყანას რომ ასუსტებდა და აუბედურებდა. სახელდობრ, ორივე სქესის ადამიანის ცოცხლად დამარხვა[42] საპყრობილეში; ამ ადამიანებს აკრძალული ჰქონდათ ერთმანეთთან კავშირი, ფიცი უნდა დაედოთ, რომ არავითარი ურთიერთობა არ ექნებოდათ. ეს უგუნური ჩვეულება, რამდენიმე საუკუნის მანძილზე რომ გრძელდებოდა, სასტიკი ომებივით აუკაცურებდა ქვეყნებს.

ჩრდილოეთის პრინცები, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ თუკი ცხენთსაშენი სჭირდებოდათ, ულაყი არ უნდა დაეშორებინათ ფაშატისაგან. ასევე მოსპეს ბევრი სხვა უცნაური და მავნებელი ჩვეულება. და აი, ბოლოს ამ თვალუწვდენელი ქვეყნების ხალხმა გაბედა და გონს მოეგო მაშინ, როცა სხვაგან ჯერ კიდევ მტკიცედ სწამდათ, ხალხის მართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი უგუნური იქნებაო.

VII

ამაზანი ბატავიელებთან[43] მივიდა და იგრძნო, რომ მწუხარება ოდნავ შეუმსუბუქდა, რადგან აქ ბევრი რამ აგონებდა ბედნიერი განგარიდელების ქვეყანას: თავისუფლება, თანასწორობა, სისუფთავე, დოვლათიანობა და შემწყნარებლობა. სამაგიეროდ ქალები ისეთი გულცივები იყვნენ, არც ერთს არ შეუხედავს მისთვის მოწყალე თვალით, როგორც ამას სხვა ქვეყნებში სჩადიოდნენ. ამიტომ არც თავშეკავება დასჭირვებია, თუმცა საკმარისი იყო თვითონ მიეტანა იერიში, მიუხედავად გულგრილი ხასიათისა, სათითაოდ დაიმორჩილებდა თითოეულს. ამაზანი კი შორს იყო ასეთი დამპყრობელი აზრებისაგან.

ფორმოზანტს რომ რამდენიმე წუთით არ დაეგვიანა, ნამდვილად შეხვდებოდა ამაზანს ამ უნიათო ერის ქვეყანაში.

ბატავიაში ყოფნისას ამაზანს ძალიან უქეს კუნძული ალბიონი[44] და ისიც მის დასათვალიერებლად გამგზავრებულიყო მარტორქებით. აღმოსავლეთის ზურგქარის წყალობით ხომალდი ოთხ საათში მიადგა კუნძულს, ტიროსისა[45] და ატლანტიდის კუნძულებზე უფრო სახელგანთქმული რომ იყო.

მშვენიერი ფორმოზანტი დვინის, ვისლის, ელბის, ვეზერის[46] სანაპიროებს მიჰყვებოდა და როგორც იქნა, რეინის ყურესაც მიაღწია, რომლის ჩქარი წყლებიც იმხანად გერმანიის ზღვას უერთდებოდა. აქ შეიტყო, რომ მისი მიჯნური ალბიონის კუნძულზე გადასულიყო; ამაზანის ხომალდს თითქოს თვალიც მოჰკრა და სიხარულით შეჰკივლა, რამაც ძალიან გააკვირვა ბატავიელი ქალები, ვერასგზით ვერ წარმოედგინათ ახალგაზრდა კაცის დანახვას ქალის ასეთი სიხარული როგორ უნდა გამოეწვია! რაც შეეხება ფენიქსს, ქალებმა ყურადღებაც არ მიაქციეს, რადგან იფიქრეს, მისი ბუმბული ჩვენებური ჭაობის იხვებისა და ბატების ბუმბულზე ძვირად მაინც არ გაიყიდებაო.

ბაბილონის პრინცესამ ორი ხომალდი დაიქირავა, უნდოდა მთელი ამალით გადასულიყო იმ ნეტარ კუნძულზე, სადაც თავისი სასურველი მიჯნური, სიცოცხლის წყარო, თავისი ღმერთი ეგულებოდა.

უეცრად, სწორედ იმ დროს, როცა ერთგული და გულმოკლული ამაზანი მიწაზე ადგამდა ფეხს, დასავლეთის ქარი ამოვარდა. ბაბილონის პრინცესის ხომალდებმა ზღვაში გასვლა ვერ გაბედეს. ფორმოზანტს გული შეეკუმშა და მწარე ნაღველმა, ღრმა მელანქოლიამ მოიცვა; მწუხარებამ ლოგინად ჩააგდო და ქარის მიმართულების შეცვლას მოუთმენლად ელოდა. ერთი კვირის განმავლობაში მძვინვარებდა ქარიშხალი. ამ შვიდ დღეში, შვიდ საუკუნედ რომ ეჩვენებოდა,

ირლა ხმამაღლა უკითხავდა რომანებს. ეს არ იყო ბატავიელების დაწერილი წიგნები, მაგრამ რაკი მთელი მსოფლიოს შუამავლებად ითვლებოდნენ, სხვა ერის ნააზრევს ისევე ყიდდნენ, როგორც ამ ხალხის ათასგვარ საქონელს. პრინცესამ მარკ-მიშელ რეისთან[47] აყიდვინა ავზონიელებისა და ველხების[48] ქვეყანაში დაწერილი ზღაპრები. ამ ქვეყნებში არაკების გაყიდვა აკრძალული ჰქონდათ და ამ ბრძნული გადაწყვეტილების წყალობით ბატავიელები მდიდრდებოდნენ. პრინცესა იმედოვნებდა, ამ არაკებში ისეთ თავგადასავლებს წაიკითხავდა, მის ამბავს რომ წააგავდა და მწუხარებასაც გაუქარვებდა. ირლა კითხულობდა, ფენიქსი აზრს გამოთქვამდა, ხოლო პრინცესა თავის თავგადასავალს ვერაფრით ამსგავსებდა ვერც „მეტიჩარა გლეხის გოგოში“, ვერც: „სოფაში“ და ვერც: „ოთხ ფაკარდიელში“[49] მოთხრობილ ამბებს. იგი წამდაუწუმ აწყვეტინებდა კითხვას მხევალს და ეკითხებოდა, ქარი რომელი მხრიდან ქრისო.

VIII

ამასობაში ამაზანი ალბიონის დედაქალაქისკენ მიეშურებოდა. იგი იჯდა ექვსი მარტორქით შებმულ ეტლში და ბაბილონის მეფის ასულზე ფიქრობდა. უეცრად თხრილში გადაყირავებული ეტლი შეამჩნია. მსახურები გაფანტულიყვნენ და დახმარებას ეძებდნენ. ეკიპაჟის პატრონი მშვიდად იჯდა, მოუთმენლობის ნატამალიც არ ეტყობოდა და თამბაქოს ეწეოდა. იმ ხანებში თამბაქოს უკვე ეწეოდნენ. სახელად მილორდი What-then ერქვა, რაც იმ ენაზე, რომელზედაც ამ ამბებს ვთარგმნი, დაახლოებით ნიშნავს: „რა უშავს მერე!“

ამაზანმა გადაწყვიტა, დავეხმარებიო და მილორდისკენ გაეშურა. იგი ისეთი ღონიერი იყო, მარტოკამ ასწია ეტლი.

- რა ლომკაცი ყოფილა, - ესღა თქვა მილორდმა „რა უშავს მერე!“

საშველად მოსული გლეხები გაბრაზდნენ, ტყუილად მოგვიხდა მოსვლაო, უცხოელს მისცვივდნენ, ემუქრებოდნენ, უცხო გადამთიელს უწოდებდნენ და ცემაც კი დაუპირეს.

ამაზანმა ორ-ორ კაცს წაავლო ხელი და შორს გადაისროლა. სხვებმა მოწიწებით შეხედეს,

მიესალმნენ და ფეხის ქირა მოსთხოვეს. ამაზანმა იმდენი ფული მისცა გლეხებს, მთელ სიცოცხლეში რომ არ ენახათ.

- პატივსაცემი კაცი ყოფილხართ, - მიმართა ამაზანს მილორდმა „რა უშავს მერე“, - ჩემთან წამობრძანდით, ერთად ვისადილოთ. ჩემი აგარაკი აქედან სამი მილის დაშორებითაა. მილორდი ამაზანის ეტლში ჩაჯდა, რადგან მისი ეტლი დანჯღრეულიყო. თხუთმეტი წუთის დუმილის შემდეგ მილორდმა გადახედა და უთხრა:

- How do you do?

რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს: „როგორ აკეთებთ კეთებას?“, მთარგმნელის ენაზე: „როგორ ბრძანდებით?“, ხოლო საერთოდ არც ერთ ენაზე დიდი არაფრის მთქმელია.

- ექვსი ლამაზი მარტორქა გყოლიათ! - დასძინა მან და თამბაქოს წევა განაგრძო.

ამაზანმა უპასუხა, მარტორქები მე მემსახურებიან და განგარიდელთა ქვეყნიდან ერთად მოვდივართო. მან დრო იხელთა და მაშინვე ბაბილონის მეფის ასულზე ჩამოუგდო სიტყვა;

ეგვიპტის მეფეც ახსენა და იმ საბედისწერო კოცნის ამბავიც. მილორდმა არაფერი უთხრა, თავს არ იწუხებდა იმის ფიქრით, არსებობდა თუ არა ქვეყანაზე ეგვიპტის მეფე ან ბაბილონის პრინცესა. ერთხანს ხმას არ იღებდა, მერე ისევ ჰკითხა „როგორ აკეთებთ კეთებასო?“ დაინტერესდა, ჭამდნენ თუ არა როსტბიფს განგარიდელების ქვეყანაში. მოგზაურმა ჩვეული ზრდილობით მიუგო, განგის ნაპირზე ძმების შეჭმა მიღებული არ არისო და ის სისტემა აუხსნა, რამდენიმე საუკუნის შემდეგ პითაგორის,

პორფირის და იამბლიხის[50] სისტემად რომ აღიარეს. ამასობაში მილორდს ჩაეძინა და შინ მისვლამდე არც გამოღვიძებია.

მილორდს ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი ჰყავდა; რამდენადაც ქმარი გულგრილი გახლდათ, იმდენად მისი მეუღლე მკვირცხლი, მგრძნობიარე სულით დაეჯილდოებინა ბუნებას, იმ საღამოს ბევრი ალბიონელი სენიორი ესტუმრა ქალს სადილად. ყოველ მათგანს განსხვავებული ხასიათი ჰქონდა, რადგან ამ ქვეყანას თითქმის ყოველთვის უცხოელები მართავდნენ, ხოლო უცხო უფლისწულებთან ერთად ჩამოსულ ოჯახებს განსხვავებული ზნე-ჩვეულებები მოჰქონდათ თან, იმდღევანდელ თავყრილობაში ზოგი ძალიან თავაზიანი იყო, ზოგი მაღალგონიერი, ზოგიც ღრმა მეცნიერი.

დიასახლისს ვერ შეამჩნევდით ნაძალადევ, უგერგილო, ქედმაღლურ იერს ან ყალბ მორცხვობას, რასაც ალბიონის იმდროინდელ ახალგაზრდა ქალებს უსაყვედურებდნენ. იგი მედიდური

თავდაჭერით და მოჩვენებითი დუმილით არ ფარავდა გონებრივ სიღატაკეს და არც უხერხულობას გრძნობდა, საკუთარი აზრის გამოთქმა თუ არ შეეძლო. ამ მანდილოსანზე უფრო მიმზიდველ ქალს იშვიათად შეხვდებოდით. ამაზანი მისთვის ჩვეული თავაზიანობითა და მოხდენილობით მიიღო. ახალგაზრდა უცხოელის არნახულმა სილამაზემ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ქალზე, მით უმეტეს იმის შემდეგ, როცა საკუთარ ქმარს შეადარა.

სუფრას მიუსხდნენ. ქალი ამაზანის გვერდით დაჯდა. ყოველნაირი პუდინგებით უმასპინძლდებოდა, რადგან მისგან შეიტყო, თურმე განგარიდელები არაფრით ისეთით არ იკვებებოდნენ, რასაც ღმერთებმა სიცოცხლის ცისიერი უნარი მიამადლეს. ამაზანის სილამაზე, ღონე, განგარიდელთა ზნე-ჩვეულებანი, ხელოვნების აღორძინება, რელიგია და მმართველობა საერთო საუბრის თემა გახდა. სასიამოვნო და ფრიად ღონიერმა მუსაიფმა შუაღამემდე გასტანა. მილორდმა „რა უშავს მერე“ ბევრი ღვინო დალია და ხმა კრინტიც არ დაუძრავს.

ნასადილევს, სანამ მილედი ჩაის ასხამდა და თან თვალს არ აშორებდა ახლგაზრდა უცხოელს, ამაზანი პარლამენტის ერთ-ერთ წევრს ემუსაიფებოდა; ყველამ იცის, რომ იმ ხანებში პარლამენტი უკვე არსებობდა და მას „ვიტენაგემოტს“ უწოდებდნენ, რაც „ჭკვიანი ხალხის შეკრებულობას“ ნიშნავს. ამაზანი დაინტერესდა კონსტიტუციის, ადათ-წესების, კანონების, ხელოვნების საკითხებით, რაც ამ ქვეყანას ღირსსაცნობად ხდიდა.

- დიდხანს შიშვლები დავდიოდით, - უთხრა პარლამენტის წევრმა, - თუმცა აქ არც ისეთი ცხელი ჰავაა. ტიბრის წყლით მორწყული სატურნის ძველი ქვეყნიდან მოსული ხალხი[51] მრავალი წლის მანძილზე მონებივით გვეპყრობოდა. მაგრამ გაცილებით მეტი ზიანი ჩვენვე მივაყენეთ ჩვენს ქვეყანას, ვიდრე პირველმა დამპყრობლებმა. ერთერთი ჩვენი მეფე[52] იმდენად სულმდაბალი გამოდგა, ტიბრის სანაპიროს მკვიდრი ხუცესის ქვეშევრდომად გამოაცხადა თავი. ამ მღვდელს „შვიდი მთის მოხუცს“[53] ეძახდნენ. მერედა რამდენ ხანს ბატონობდა ეს „შვიდი მთა“ ევროპის იმ ნაწილში, სადაც იმ ხანად პირუტყვები ცხოვრობდნენ! მონობის პერიოდის

სისასტიკისა და ანარქიის საუკუნეები მოჰყვა. ქვეყნის შინა ბრძოლებმა გააჩანაგა და სისხლით მორწყო ჩვენი მხარე, რომელიც მის გარემომცველ ზღვებზე უფრო ბობოქარია. ჯალათის ნაჯახმა ბევრი გვირგვინოსანი იმსხვერპლა. ასზე მეტმა უფლისწულმა ეშაფოტზე დაასრულა სიცოცხლე. მათ მომხრეებს გულს ჰგლეჯდნენ და მერე ამ ამოგლეჯილ გულს შიგ სახეში ურტყამდნენ. ჩვენი კუნძულის ისტორიის დაწერა ჯალათსღა თუ შეეძლო, რადგან ყოველ დიდ საქმეს ის ამთავრებდა.

დიდი ხანი არ არის, რაც ეს საშინელებები იმით დასრულდა, რომ ცოფიანი ძაღლებისაგან დაკბენილმა შავმანტიანმა და თეთრპერანგიანმა ხალხმა[54] ეს ცოფი მთელ ერს გადასდეს. ღმერთისა და მაცხოვრის სახელს ამოფარებული ყოველი მოქალაქე ან მკვლელი იყო, ან ყელგამოღადრული მსხვერპლი, ან ჯალათი, ან წამებული, ან მბრძანებელი, ან მონა.[55] ვინ

დაიჯერებს, რომ ამ საზარელი უფსკრულიდან, უთანხმოების, სისასტიკის, უვიცობის და ფანატიზმის ქაოსიდან შეიქმნებოდა ერთი მთლიანი მმართველობა, რომლის ბადალი იქნებ მსოფლიოში არც იყოს. თავისუფალ, მეომარ, ვაჭრობის ნიჭით დაჯილდოებულ, განათლებულ ერს სათავეში უდგას დარბაისელი და მდიდარი მეფე, რომელიც ყოვლისშემძლეა კეთილი საქმის გასაკეთებლად, ხოლო უძლური - ბოროტების ჩასადენად. მეფესთან ერთად საკანონმდებლო უფლება ერთის მხრივ წარჩინებულთ აქვთ, მეორეს მხრივ - ქალაქების წარმომადგენლებს. სანამ მეფეები თვითნებურ ძალაუფლებას ამჟღავნებდნენ, ბედის უცნაურმა ახირებამ არეულობითა და სამოქალაქო ომებით, ანარქიითა და სიდუხჭირით ქვეყანა გაანადგურა, სამაგიეროდ, იმ დღიდან რაც, მეფეებმა აღიარეს, აბსოლუტური გამგებლები არა ვართო, სიმშვიდე, სიუხვე და საერთო კეთილდღეობა სუფევს ჩვენში. სანამ რაიმე გაუგებარ საკითხებზე კამათობდნენ, ყველა ყოყმანობდა. შეწყდა ეს უაზრო კამათი და წესრიგიც დამკვიდრდა.

ჩვენს სასიქადულო ომს ზღვიდან ზღვამდე გადააქვს ჩვენი დიდება, ხოლო კანონები ჩვენი სიმდიდრის უშიშროების დამცველებია. მოსამართლეებს უფლება არა აქვთ თვითნებურად განმარტონ ეს კანონები. დასაბუთების გარეშე ისინი ვერც ერთ განაჩენს ვერ გამოიტანენ. თუკი მოსამართლე გაბედავს და დანაშაულის დამტკიცებისა ან კანონის მოშველიების გარეშე სიკვდილს მიუსჯის მოქალაქეს, მას ისევე დასჯიან, როგორც მკვლელს.

მართალია, ჩვენში მუდამ არსებობს ორი პარტია,[56] კალმითა და ინტრიგით რომ ებრძვის ერთმანეთს, მაგრამ თუკი სამშობლოსა და თავისუფლების დასაცავად იარაღის ასხმაა საჭირო, ეს ორი პარტია მუდამ ერთადაა. ორივე პარტია ერთმანეთს უთვალთვალებს, კანონის დარღვევაში ხელს უშლიან ურთიერთს, ერთმანეთი ეჯავრებათ, მაგრამ სამშობლო ორივეს უყვარს. ისინი წააგავენ ორ ეჭვიან შეყვარებულს, საერთო მიჯნურის სურვილებს რომ ემსახურებიან. ჩვენი მუდმივი საყრდენი გონებაა, რომელმაც ადამიანის ბუნებრივი უფლებები გაგვაცნო და ამით განმტკიცება შთაგვაგონა. სწორედ გონებრივ საყრდენს ვუმადლით მეცნიერებაში მიღწეულ წარმატებებს. თქვენი ეგვიპტელები, უდიდესი მექანიკოსების სახელი რომ აქვთ გავარდნილი, თქვენი ინდოელები, ფილოსოფოსებად რომ მოაქვთ თავი, თქვენი ბაბილონელები, რომლებიც ამაყობენ, მნათობებს ოთხას ოცდაათი ათასი წლის

განმავლობაში ვუკვირდებითო, ბერძნები, უამრავი ფრაზა რომ დაწერეს და საქმიანი არაფერი გაუკეთებიათ, ყველანი ნამდვილი უვიცები გახლავან ჩვენს საშუალო მოწაფეებთან შედარებით, რომელთაც შესწავლილი აქვთ ჩვენი ოსტატების აღმოჩენები. ასი წლის მანძილზე ჩვენ უფრო მეტი საიდუმლოება გამოვგლიჯეთ ხელიდან ბუნებას, ვიდრე კაცობრიობამ მრავალი საუკუნის განმავლობაში.

აი, ასეთ მდგომარეობაში გახლავართ ამჟამად. მე თქვენთვის არც კარგი დამიფარავს, არც ავი, არც დიდება, არც ღირსების შელახვა, და არც არაფერი გადამიჭარბებია.

ამაზანი უსმენდა და თანდათან გადაულახავი სურვილი ეუფლებოდა - შეესწავლა ყველა ის მეცნიერება, რაც კი პარლამენტის წევრმა უხსენა. ბაბილონის მეფის ასულის ტრფობა, მიტოვებული დედისადმი მოწიწება, სამშობლოს სიყვარული ღრმად რომ არ ჰქონოდა გამჯდარი ამ ამ დაფლეთილ გულში, ალბათ სიამოვნებით დარჩებოდა ალბიონის კუნძულზე და მთელ სიცოცხლეს იქ გაატარებდა. მაგრამ ეგვიპტის მეფის კოცნა რომ გაახსენდებოდა, გონება უბინდდებოდა და მეცნიერების დაუფლებაში ხელს უშლიდა.

- გამოგიტყდებით, - თქვა ბოლოს ამაზანმა, - რაკი მიზნად დავისახე, მთელი ქვეყანა შემოვიარო და ამით საკუთარ თავს გავექცე, სიამოვნებით ვნახავდი სატურნის ძველ მიწას, ტიბრის სანაპიროს მცხოვრებლებს და „შვიდი მთის“ ხალხს, თქვენ რომ ოდესღაც ემორჩილებოდით. ჩანს, სწორედ ისინი ყოფილან დედამიწის უპირველესი ხალხი.

- მუსიკა და მხატვრობა თუ გიყვართ, მეც გირჩევთ ამ ქვეყანაში აუცილებლად იმოგზაუროთ, - უპასუხა ალბიონელმა, - სევდის გასაქარვებლად ჩვენც ხშირად მივდივართ : „შვიდი მთის“ ქვეყანაში. როცა ჩვენი დამპყრობლების შთამომავლებს იხილავთ, უეჭველად გაოცებული დარჩებით.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. მიუხედავად არეული გონებისა, პირმშვენიერი ამაზანი ისე

სასიამოვნოდ ლაპარაკობდა, ისეთი ამაღელვებელი ხმა, ისეთი კეთილშობილური, მომხიბვლელი მანერები ჰქონდა, დიასახლისმა თავი ვერ შეიკავა და განმარტოებით მოისურვა მასთან მასლაათი. ქალი ნაზად უჭერდა ხელს ამაზანს და აელვარებული, წყლიანი თვალებით შეჰყურებდა, სადაც ყოველნაირ სურვილს ამოიკითხავდით. მან ჭაბუკი ვახშმად დატოვა და ღამის გათევაც შესთავაზა. ამაზანის ყოველი სიტყვა, ყოველი გამოხედვა ვნების ცეცხლს უნთებდა გულში. როგორც კი სტუმრები წავიდნენ, ქალმა ამაზანს პატარა ბარათი გაუგზავნა. დარწმუნებული იყო, სარეცლის გაზიარებაზე უარს არ მეტყვისო, მით უმეტეს, რომ მილორდს „რა უშავს მერე“ უკვე ეძინა თავის საწოლში. ამაზანმა ერთხელ კიდევ გაუძლო შემოტევას: სიგიჟის უმცირეს მარცვალს ესოდენ სასწაულებრივი შედეგი მოეხდინა ძლიერსა და ღრმად დაკოდილ სულზე.

ამაზანმა მისთვის ჩვეული ზრდილობით აუწყა ქალს, რაოდენ წმინდად იცავდა თავის ფიცს, ისიც უთხრა, ვივალდებულე გრძნობების დაოკება ვასწავლო ბაბილონის პრინცესასო. მერე სასწრაფოდ შეაბმევინა მარტორქები და ბატავიისაკენ გაემგზავრა.

ხალხი აღტაცებული დარჩა ამაზანით, ხოლო დიასახლისის სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა. მწუხარებით გაოგნებულ ქალს ამაზანის წერილის გადანახვა დავიწყნოდა და მეორე დილით მილორდმა „რა უშავს მერე“ წაიკითხა:

- რა სისულელეა! - თქვა მან, მხრები აიჩეჩადა რამდენიმე ლოთ მეზობელთან ერთად მელიებზე სანადიროდ წავიდა.

ამაზანს კი ზღვის ტალღები მიაცურებდა უკვე; მას ხელთ ჰქონდა გეოგრაფიული რუკა, ალბიონელმა მეცნიერმა რომ აჩუქა მილორდის - „რა უშავს მერე“ -ს სახლში. ამაზანი გაოცებული დაჰყურებდა ქაღალდის ფურცელზე აღბეჭდილ უზარმაზარ ქვეყნებს, მისი თვალები და გუმანი ამ პატარა სივრცეს დასტრიალებდა, უყურებდა რეინს, დუნაის, ალპებს, ტიროლს, რომელთაც მაშინ სულ სხვა სახელები ერქვათ და ყველა იმ ქვეყანას, „შვიდი მთის“ ქალაქში მისვლამდე რომ უნდა გაევლო. განსაკუთრებით განგარიდელების ქვეყანასა და ბაბილონს დასცქეროდა დიდხანს, სადაც საყვარელი პრინცესა იხილა პირველად, დაჰყურებდა ბასორას, სადაც პრინცესამ ეგვიპტის მეფეს აკოცა. იგი ოხრავდა და ცრემლებსა ღვრიდა. მაგრამ დარწმუნდა, ალბიონელმა, რომელმაც ეს ხელისგულისტოლა მსოფლიო აჩუქა, მართალი უთხრა, ტემზის სანაპიროს მცხოვრებლები გაცილებით განათლებულნი არიან, ვიდრე ნილოსის, ევფრატისა და განგის სანაპიროს ხალხიო.

სწორედ იმ დროს, როცა ამაზანი ბატავიაში ბრუნდებოდა, ფორმოზანტი ალბიონისაკენ მიცურავდა ორი ხომალდით. მათი ხომალდები შეხვდნენ, თითქმის შეეხნენ კიდეც ერთმანეთს... ორ მიჯნურს წარმოდგენაც არ ჰქონდა, ასე ახლოს თუ იყვნენ ერთმანეთთან. ოო, ეს რომ სცოდნოდათ! მაგრამ ყოვლისმბრძანებელმა ბედისწერამ ასე როდი ინება!

IX

ბატავიის ჭაობიან ვაკეზე გადასვლისთანავე ამაზანი ელვის სისწრაფით გაეშურა „შვიდი მთის“ ქალაქისკენ. გერმანიის სამხრეთი ნაწილი დარჩა გასავლელი. ყოველ ოთხ მილზე ახალი უფლისწულები და მეფის ასულები, სეფექალები და მათხოვრები ხვდებოდნენ. ამაზანს უკვირდა, ეს მანდილოსნები და სეფექალები ნამდვილი გერმანული გულუბრყვილობით რომ ეკეკლუცებოდნენ და თვითონ მოკრძალებული უარით უპასუხებდა.

ამაზანმა ალპები გადასერა და დალმაციის ზღვით იმ ქალაქში მივიდა[57], აქამდე ნახულ ქალაქებს არაფრით რომ არ წააგავდა. ქუჩების მაგივრობას ზღვა სწევდა და სახლებიც წყალზე აეშენებინათ. მცირეოდენი საჯარო მოედნები, ამ ქალაქს რომ ამშვენებდა, ორსახა ქალებითა და კაცებით[58] დახვდა სავსე: ერთი ბუნებრივი სახე იყო, ხოლო მეორეს - ცუდად დახატულ, მუყაოს სახეს ბუნებრივ სახეზე იფარებდნენ; იტყოდით, ეს ერი მოჩვენებებს წააგავსო.

ამ მხარეში ჩამოსვლისთანავე უცხოელები ისევე ყიდულობდნენ ამ სახეებს, როგორც სხვაგან ქუდებსა და ფეხსაცმლებს იძენენ ხოლმე. ამაზანს არ მოეწონა ეს არაბუნებრივი მოდა და პირშიშველი დადიოდა.

ქალაქში თორმეტი ათასი ქალიშვილი იყო ჩაწერილი რესპუბლიკის დიდ წიგნში; მათ სარგებლობა მოჰქონდათ სახელმწიფოსთვის, მომგებიან და სასიამოვნო კომერციით ამდიდრებდნენ ერს. თუ ჩვეულებრივი ვაჭრები დიდი ხარჯებისა და რისკის გაწევით აგზავნიდნენ საქონელს აღმოსავლეთში, ეს ლამაზი სოვდაგრები ყოველგვარი რისკის გარეშე აწარმოებდნენ ვაჭრობას. ქალიშვილები ამაზანს ეახლნენ და შესთავაზეს, არჩევანი თვითონ გააკეთეო. ამაზანმა გაქცევით უშველა თავს; შეუდარებელი ბაბილონელი პრინცესის სახელს განუწყვეტლივ იმეორებდა და თან უკვდავი ღმერთის სახელს იფიცებდა, პრინცესა უფრო მშვენიერია ვიდრე თორმეტი ათასი ვენეციელი ქალი ერთად აღებულიო.

- მშვენიერო თვალთმაქცო, - წამოიძახა აღელვებულმა, - მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ერთგულება!

ბოლოს ტიბრის ყვითელმა ტალღებმა, მოწამლულმა ჭაობებმა, ქანცგამოლეულმა, ჩამომხმარმა მცხოვრებლებმა, ჩამოგლეჯილი, გაძვალტყავებული, მზისგან გარუჯული კანი რომ უჩანდათ, ამაზანს მიახვედრეს, რომ „შვიდი მთის“ კართან მიეღწია; გმირებისა და კანონმდებლების იმ ქალაქში მისულიყო, რომელმაც მსოფლიოს დიდი ნაწილი დაიპყრო და ცივილიზაცია შეიტანა. ამაზანი დარწმუნებული იყო ქალაქის კარიბჭესთან ხუთასი ბატალიონი დახვდებოდა, რომელსაც სათავეში გმირები ეყოლებოდა, სენატში კი დედამიწისთვის კანონების შედგენით

გართულ ნახევარღმერთების თავყრილობას ნახავდა; მაგრამ არმიის ნაცვლად ოცდაათიოდე უსაქმური დახვდა; ისინი სადარაჯოზე იდგნენ და მზისგან თავის დასაცავად ქოლგებს ამოფარებოდნენ. ამაზანი ტაძარში შევიდა[59], მოეწონა, თუმცა

ბაბილონის ტაძარი გაცილებით ამჯობინა; მამაკაცების სიმღერამ გააკვირვა: ყველას ქალის ხმა ჰქონდა.

- მართლაც რომ უცნაური ქვეყანა ყოფილასატურნის ეს ძველი მიწა! - გაიფიქრა მან, - მე უკვე ვნახე ქალაქი, სადაც ადამიანს საკუთარი სახე არ ჰქონდა, ხოლო ამ ქალაქში მამაკაცს არც საკუთარი ხმა გააჩნია და არც წვერი.

მას აუხსნეს, ეს მომღერლები მამაკაცები აღარ არიან, ვაჟკაცური თვისებები წართმეული აქვთ, რათა უფრო ტკბილად უგალობონ დიდებულთა ღირსეულ წრესო. ამაზანმა ვერაფერი გაუგო მათ ნაამბობს. შემდეგ მასაც სთხოვეს, იმღერეთო. ამაზანი დათანხმდა და ჩვეული მოხდენილობით შეასრულა განგარიდული სიმღერა. ამაზანს მშვენიერი ტენორი ჰქონდა.

- ოჰ, სენიორ, - უთხრა მას, - შესანიშნავი სოპრანო გექნებოდათ, თქვენ რომ...

- რა გინდათ თქვათ? რას ნიშნავს თქვენ რომ?

- ოჰ, სენიორ!

- თქვით!

- თქვენ რომ წვერი არ გქონდეთ!

და ძალიან თავაზიანად, თანაც სასაცილო მიმიკებით მიახვედრეს რისი თქმაც სურდათ. ამაზანი დაიბნა.

- ბევრი მიმოგზაურია, - თქვა მან ბოლოს, - მაგრამ ასეთი უცნაური რამ არსად მომისმენია.

გალობის დამთავრებისთანავე „შვიდი მთის“ მოხუცი სათავეში ჩაუდგა მრავალრიცხოვან პროცესიას და ტაძრის კარიბჭისკენ გაემართა. მან მაღლა აწეული ცერით, მოკეცილი ორი თითით ჰაერი ოთხად გაკვეთა და იმ ენაზე, რომელზედაც დიდი ხანია აღარ ლაპარაკობენ, ეს სიტყვები წარმოთქვა:

- ქალაქსა და სამყაროს![60] განგარიდელს ვერასგზით ვერ აეხსნა, ორი თითი ისე შორს

  როგორ მიწვდებოდა.

მსოფლიოს მბრძანებლის სასახლის კარმა წინ ჩაუარა. ამ დიდებულთაგან ზოგს წითელი მანტია მოესხა, ზოგსაც - იისფერი[61]; თითქმის ყველანი თვალებს უჟუჟუნებდნენ ამაზანს, რევერანსით ესალმებოდნენ და ერთმანეთს უჩურჩულებდნენ: „San Martino, che bel ragazzo! San Penratio, che bel fanciullo!“[62]

„გულმოდგინეებმა“,[63]უცხოელთათვის ქალაქის ღირსშესანიშნაობის დათვალიერება რომ ევალებოდათ, არ დააყოვნეს და ამაზანს ქოხმახები აჩვენეს, ოდესღაც მბრძანებელი ხალხის ღირსეულ ძეგლებს რომ წარმოდგენდნენ, მაგრამ ახლა მეჯორეც რომ არ მოისურვებდა ღამის იქ გათევას. ამაზანმა ნახა ორასი წლის წინანდელი სურათები, ოცი საუკუნის ხნის ქანდაკებები, მართლაც რომ შედევრები ჰქონიათო.

- ახლა თუ ქმნით ასეთ ნაწარმოებებს? - იკითხა მან.

- არა, თქვენო აღმატებულებავ, - უპასუხა „გულმოდგინემ," - მაგრამ თუკი ამ შედევრებს ვინახავთ, ეს იმიტომ, რომ ქვეყნის დანარჩენ ნაწილს ათვალწუნებით ვექცევით. ჩვენ ვგავართ მეძონძეებს, საკუჭნაოში შენახული ძველი ტანსაცმლით რომ ამაყობენ.

ამაზანმა მეფის სასახლის დათვალიერება მოისურვა; მაშინვე წაიყვანეს. იისფერ ტანსაცმელში

გამოწყობილი მამაკაცები სახელმწიფოს შემოსავალს ითვლიდნენ: დუნაიზე მდებარე ქვეყნებიდან ამდენი თანხა შემოვიდა, ლუარაზე მდებარე ქვეყნებიდან - ამდენი, გვალდაკივირის სანაპიროდან თუ ვისლის მიდამოებიდან - ამდენიო.

- ოჰო, - წამოიძახა ამაზანმა, როცა გეოგრაფიულ რუკას დახედა, - „შვიდი მთის" ძველისძველი გმირებისა არ იყოს, თქვენს მეუფეს მთელი ევროპა ხელში ჰყოლია!

- ღვთიური უფლების ძალით, იგი მთელ მსოფლიოს უნდა ფლობდეს, - მიუგო ერთერთმა იისფერტანსაცმლიანმა, - იყო დრო, როცა მისი წინაპრები არც ისე შორს იყვნენ მსოფლიოს მბრძანებლობიდან, მაგრამ მათი მემკვიდრეები სიკეთეს იჩენენ და იმით კმაყოფილდებიან, რასაც ქვეშევრდომი მეფეები ბეგარის სახით უგზავნიან.

- თქვენი მონარქი მართლა მეფეთა მეფეა? - იკითხა ამაზანმა, - ნუთუ ასეთია მისი ტიტული?

- არა, თქვენო აღმატებულებავ! მისი ტიტული „მსახურთ მსახური" გახლავთ. წარმოშობით მებადური და კარის მცეველია[64]. ამიტომ მისი ღირსების ემბლემაც გასაღებები და ბადეებია. მიუხედავად ამისა, იგი მეფეთა მბრძანებელია. ამასწინათ მან კელტების მეფეს ას ერთი ბრძანება გაუგზავნა[65] და ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა.

- ამ ას ერთი ბრძანების შესასრულებლად თქვენმა მებადურმა ალბათ ხუთასი-ექვსასი კაცი გაგზავნა, არა?

- ოჰ, არა, თქვენო ბრწყინვალებავ! წმინდათაწმინდა მამა არც ისეთი მდიდარია, ათი ათასი ჯარისკაცი რომ იყოლიოს ჯამაგირზე! ოღონდ ოთხასი თუ ხუთასი ათასი ღვთიური წინასწარმეტყველი ჰყავს წარგზავნილი სხვადასხვა ქვეყნებში. ყოველი ჯურის ეს წინასწარმეტყველნი, ცხადია, ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ. ღმერთის სახელით ისინი ხალხს აუწყებენ, რომ წმინდა მამას ძალუძს გასაღებებით გახსნას და დაკეტოს ყოველგვარი ბოქლომი, განსაკუთრებით კი უწვავი სალაროები. ერთი ნორმანდიელი მღვდელი[66] იმ მეფის მესაიდუმლედ ითვლებოდა, რომელზედაც ახლახან გელაპარაკებოდით, და მას არწმუნებდა წმინდა მეფის ას ერთი ბრძანებას უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოთო, რადგან ერთი რამ უნდა იცოდეთ: „შვიდი მთის" მოხუცის ერთ-ერთი უპირატესობა სწორედ ის გახლავთ, რომ იტყვის თუ დაწერს რამეს, იგი მუდამ მართალია.

- დალახვროს ღმერთმა! რა უცნაური კაცი ყოფილა! - წამოიძახა ამაზანმა, - დიდი სიამოვნებით ვისადილებდი მასთან.

- თქვენო აღმატებულებავ, მეფეც რომ ბრძანდებოდეთ, მასთან ერთად სუფრასთან დაჯდომას

მაინც ვერ შეძლებდით. დიდი-დიდი, იმასგამორჩეთ, რომ უბრძანოს თქვენთვის უფრო მომცრო და უფრო დაბალი მაგიდა დადგან მის სიახლოვეს. სამაგიეროდ, თუ მასთან საუბარს მოისურვებთ, შევეცდები აუდიენცია მოგიწყოთ. ოღონდ თუ ინებებთ და buona mancia-ს[67] მომცემთ! - სიამოვნებით! - უთხრა განგარიდელმა. იისფერტანსაცმლიანმა მდაბლად დაუკრა თავი და მოახსენა:

- ხვალვე შეგიყვანთ მასთან! „შვიდი მთის“ მოხუცის წინ სამჯერ ჩაიმუხლეთ და ფეხზე ეამბორეთ!

ამ სიტყვების გაგონებაზე ამაზანს ისეთი ხარხარი აუტყდა, კინაღამ სუნთქვა შეეკრა. ფერდებზე ხელმოჭერილი გავიდა ოთახიდან და სანამ სასტუმროში მივიდოდა, მთელი გზა ხარხარებდა, სიცილისგან ცრემლებს ვერ იკავებდა და სასტუმროში დიდხანს ვერ დამშვიდდა.

სადილობისას ოცი უწვერო მამაკაცი და ოცი ვიოლინოზე დამკვრელი ეახლა კონცერტის გასამართავად. ნასადილევს ქალაქის წარჩინებულნი არ მოშორებიან და ართობდნენ. მერე

ისეთი უცნაური რამ შესთავაზეს, „შვიდი მთის“ მოხუცის ფეხზე ამბორი აღარაფრად ჩათვალა. ამაზანი ისეთი ზრდილი იყო, ჯერ ცუდი ვერაფერი წარმოიდგინა, იფიქრა, ალბათ მანდილოსანი ვგონივარო და მორიდებით განუცხადა, ცდებითო. მაგრამ, როცა სამი იისფერტანსაცმლიანი მეტისმეტად ჩააცივდა, ვეღარ მოითმინა და ფანჯრიდან ისე გადაისროლა, არც კი უფიქრია, თუ ამ საქციელითაც მსხვერპლს სწირავდა მშვენიერ ფორმოზანტს.

ამაზანმა სწრაფად დატოვა მსოფლიოს მბრძანებელთა ეს ქალაქი, სადაც ბებრისთვის ფეხები უნდა დაეკოცნა, თითქოს მას ფეხებზე ჰქონდა ლოყა, და სადაც კიდევ უფრო უცნაურად ექცეოდნენ ახალგაზრდა მამაკაცებს.

X

ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლისას ამაზანი თავიდან იშორებდა ყოველგვარ ცდუნებას, ერთგული რჩებოდა მშვენიერი ბაბილონელისა, ხოლო ეგვიპტის მეფის მიმართ სიბრაზე არ უცხრებოდა. ბოლოს, ეს მტკიცე ბუნების ახალგაზრდა კაცი გალების ახალ დედაქალაქში ჩავიდა. სხვა ქალაქების მსგავსად, ამ ქალაქსაც გაევლო ბარბაროსობის, უვიცობის, სისულელისა და სიღატაკის საფეხურები; მისი ადრინდელი სახელი „ტალახი“ და „ნეხვი“[68] გახლდათ, შემდეგ იზიდას სახელი მიიღო[69], რადგან ამ ქალღმერთის თაყვანისცემას ამ ქალაქამდეც მოეღწია.

აქაური პირველი სენატი მენავეებისაგან შედგებოდა. იგი დიდხანს ემონებოდა „შვიდი მთის“ მძარცველ გმირებს[70]; რამდენიმე საუკუნის მერე კი სხვა

ყაჩაღიგმირები[71] მობრძანებულან რეინის იქითა სანაპიროდან და ამ პატარა მიწა-წყალზე გაბატონებულან.

დროს, ყველაფერს რომ ცვლის, ეს ადგილი ქალაქად გადაუქცევია. ერთი ნაწილი დიდებული და საამო სანახავი გახლდათ, მეორე - ოდნავ უხეში და სასაცილო: მცხოვრებლებიც ორად იყოფოდა. ქალაქის ზღუდეებში დაახლოებით ასი ათასი კაცი თამაშსა და გართობას უნდებოდა. ეს უსაქმურები მხოლოდ სხვის ნამოქმედარსა და შექმნილს აკრიტიკებდნენ. წარმოდგენა არ

ჰქონდათ, რა ხდებოდა სასახლეში, თითქოს ქალაქის ამ ნაწილიდან ოთხი მილით კი არა, ექვსასი მილით ყოფილიყვნენ დაშორებულნი. საზოგადოების ერთადერთი და მთავარი საქმიანობა დროსტარება, მხიარულება და ფუქსავატობა იყო. ამიტომ ექცეოდნენ იმ ბალღებივით, სათამაშოებს რომ აძლევენ, ოღონდაც არ იტირონ. ზოგჯერ სიტყვასაც ჩამოუგდებდნენ უბედურებებზე, ორი საუკუნით ადრე მათ სამშობლოს რომ დაატყდა თავს, იხსენებდნენ შემზარავ დროს, როცა ერთმა ნაწილმა სოფიზმის გულისთვის მეორე ნაწილი აიკლო[72], მაგრამ ეს თავქარიანები ამასღა უპასუხებდნენ, მართლაც საშინელი საქმეები მოხდაო, და ხუმრობასა და მხიარულ კუპლეტების მღერას განაგრძობდნენ.

რაც უფრო მხიარული, ზრდილობიანი და თავაზიანი იყვნენ ეს უსაქმურები, მით უფრო აშკარა ხდებოდა ის სავალალო კონტრასტი, მათსა და საქმიან ხალხს შორის რომ იგრძნობოდა.

საქმიან თუ მოჩვენებით საქმიან ხალხში პირქუში ფანატიკოსების ერთ ჯგუფს[73] გამოარჩევდით, ნახევრად გაქნილ ადამიანებს, რომელთა დანახვაზე მაშინვე წაგიხდებოდათ გუნება-განწყობილება. გავლენის მოსაპოვებლად მზად იყვნენ მთელი სამყარო ყირაზე დაეყენებინათ. მაგრამ უსაქმურთა კასტა ცეკვა-სიმღერით აიძულებდა ისევე დამალულიყვნენ სოროებში, როგორც პატარა ჩიტები აიძულებენ ბუებს ნანგრევებში მონახონ თავშესაფარი.

საქმიანი ხალხის მეორე, მცირერიცხოვანი ჯგუფი[74] ძველ, ბარბაროსულ ჩვეულებებს იცავდა, რის გამოც შეძრწუნებული ბუნება ხმას იმაღლებდა მათ წინააღმდეგ. ისინი ხელმძღვანელობდნენ მატლებისგან დაღრღნილი არქივის ჩანაწერებით; თუკი იქ რაიმე კანონს აღმოაჩენდნენ, როგორი უაზრო და საშინელიც არ უნდა ყოფილიყო ეს ჩვეულება, მაინც წმინდა კანონად აცხადებდნენ. ამ ლაჩრების წყალობით, დამოუკიდებლად აზროვნებას რომ ვერ ბედავდნენ და იმ დროის ნამსხვრევებში ეძებდნენ აზრის მარცვალს, როცა ადამიანსგანსჯის უნარი არ გააჩნდა, ამ მხიარულ ქალაქს ჯერ კიდევ შერჩენოდა სასტიკი ზნე-ჩვეულებები. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ დანაშაულსა და სასჯელს შორის არავითარი შესაბამისობა არ არსებობდა: ხშირად უდანაშაულოს საშინლად აწამებდნენ, უნდოდათ იმ დანაშაულში გამოტეხილიყო, რაც ამ ბედშავს არ ჩაედინა. თავქარიან ახალგაზრდას ისევე სჯიდნენ უბრალო, ქარაფშუტული საქციელისათვის, როგორც მამის მკვლელს ან ადამიანის მომწამვლელს. მართალია, უსაქმურთა ჯგუფი ხმას იმაღლებდა ამ უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ მეორე დღეს აღარაფერი ახსოვდა და ახალ მოდაზე ლაპარაკით ირთობდა თავს.

ასე გაიარა ერთმა საუკუნემ. ამასობაში ხელოვნებამ ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომელზედაც ოცნებაც კი არავის ძალუძდა. უცხოელები ისევე მოდიოდნენ ამ ქვეყანაში, როგორც ბაბილონში; ათვალიერებდნენ არქიტექტურის დიდებულ ძეგლებს, შესანიშნავ ბაღებს, ქანდაკებებისა და მხატვრობის საუცხოო ნიმუშებს, აღტაცებულნი რჩებოდნენ სულში ჩამწვდომი მუსიკის მოსმენით, ყურს რომ საამოდ ელამუნებოდა.

ერებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს რა იყო ნამდვილი პოეზია, ჰარმონიული და ბუნებრივი პოეზია, გულსა და გონებას ერთნაირი სიმძაფრით რომ სწვდებოდა. მჭერმეტყველება ახალი, მშვენიერი ფორმებით გამდიდრდა. განსაკუთრებით კი თეატრი აოცებდა ყველას: ვერც ერთ ერს ვერ შეექმნა ისეთი ნაწარმოები, რაც ამ თეატრებში იდგმებოდა. დაბოლოს, დახვეწილი გემოვნება ისე გავრცელდა ყოველი პროფესიის ხალხში, დრუიდებსაც[75] კი გაუჩნდათ კარგი მწერლები.

მაგრამ ეს ურიცხვი დაფნის გვირგვინი, რისი წყალობითაც ერის დიდება ღრუბლებს სწვდებოდა, ჩქარა დაჭკნა ამ გამოფიტულ ნიადაგზე. გადარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი, ისიც გახუნებული და ფერდაკარგული ფოთლებით. დაუდევრობამ, უგულოდ ნაკეთებმა საქმემ, სიზარმაცემ, დახვეწილი საგნებით მოყირჭებამ და უცნაური გემოვნებით გატაცებამ საყოველთაო დაქვეითება გამოიწვია. პატივმოყვარეობამ ხელი დარია და ბარბაროსულ ეპოქისკენ შემოაბრუნა ხელოვანნი. პატივმოყვარეობა დევნიდა ნამდვილ ტალანტებს და აიძულებდა სამშობლო დაეტოვებინათ: კრაზანებმა განდევნეს ფუტკრები!

სადღა იყო ჭეშმარიტი ხელოვნება! სადღა იყვნენ გენიოსები! გასული საუკუნის ღირსების მცდარად და უკუღმა განსჯაღა ითვლებოდა დიდ დამსახურებად. ტრაქტირების მთხუპნელები დიდი მხატვრების სურათებს აკრიტიკებდნენ, მჯღაბნელები ამახინჯებდნენ გენიალურ თხზულებების აზრებს. უვიცობა და დაბალი გემოვნება ცუდ ნაწარმოებებს შობდა; სხვადასხვა

სათაურით ბეჭდავდნენ ათას ტომს, სადაც ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. ყოველი წიგნი ან ლექსიკონს წააგავდა, ან ბროშურას. რომელიღაც დრუიდი ჟურნალისტი[76] კვირაში ორჯერ ბეჭდავდა უაზრო შენიშვნას უბადრუკ ბუნაგებში მათხოვრების მიერ შექმნილ სასწაულებზე, რის შესახებ ერმა არაფერი იცოდა; ზოგი შავანაფორიანი, შიმშილისა და ბოღმისგან მომაკვდავი დრუიდყოფილი, ჩივილით იკლებდა იქაურობას, ხალხის მოტყუების საშუალებას აღარ გვაძლევენ, ამის უფლება მხოლოდ რუხი ტანსაცმლით მოსილ თხებს[77] მისცესო. ზოგი არქიდრუიდი კი სამარცხვინო პასკვილებისა და ცილისწამებების ბეჭდვას არ ეშვებოდა.[78]

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ამაზანისათვის უცნობი იყო. თუმცა კიდეც რომ სცოდნოდა, ალბათ არ დაინტერესდებოდა. მთელი გულისყური ბაბილონის პრინცესის, ეგვიპტის მეფისა და იმ ფიცისკენ ჰქონდა მიპყრობილი, რომელიც ერთთავად უკარნახებდა, ქალების კეკლუცობას არ წამოგებოდა არსად, სადაც კი მისი ბედნავსი ფეხი მიიყვანდა. ქარაფშუტებისა და უმეცრების ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა და დღენიადაგ გარს ეხვიენ ამაზანის მარტორქებს. ქალები მეტ გონიერებას იჩენდნენ და ამაზანის სანახავად მის სასტუმროს არ შორდებოდნენ.

ერთ დღეს ამაზანმა სასტუმროს პატრონს გაუმჟღავნა, სურვილი მაქვს სასახლის კარი ვნახოო. შემთხვევით იქვე იდგნენ მაღალი საზოგადოების უსაქმურები. მათ მოახსენეს, ეს უკვე აღარაა მოდაში, დრო შეიცვალა და ნამდვილი გართობა მხოლოდ სახალხო ადგილებში ხდებაო.

იმავე საღამოს ამაზანი ვახშმად მიიწვიეს ერთ მანდილოსანთან[79], რომლის ჭკუა და ნიჭი სამშობლოს საზღვრებს სცილდებოდა. ამ ქალს იმ ქვეყნებში ემოგზაურა,[80] ამაზანმა რომ მოინახულა. ამაზანს ძალიან მოეწონა დიასახლისიცა და მისი სტუმრებიც. იგრძნობოდა, რომ თავისუფლებას არავინ ბოჭავდა, დროსაც მშვიდად ატარებდნენ, მეცნიერული მსჯელობაც სასიამოვნო იყო და ზომიერი ენამახვილობაც ისმოდა ირგვლივ. ამაზანი დარწმუნდა, „კარგი საზოგადოება“ ლიტონი სიტყვა როდია, თუმცა მას ხშირად ბოროტად იყენებენო.

მეორე დღესაც სასიამოვნო საზოგადოებასთან ისადილა, თუმცა უფრო მეტად განცხრომის მოყვარულებს მოეყარათ თავი. ამაზანიც და მისი თანამოსაუბრენიც ერთმანეთის კმაყოფილნი დარჩნენ. ამაზანი გრძნობდა, გული ისევ ლბებოდა, როგორც მისი ქვეყნის არომატული სანელებელი დნებოდა ზომიერ ცეცხლზე და სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდა ირგვლივ. ნასადილევს ამაზანი თეატრში წაიყვანეს, სადაც შესანიშნავი სანახაობა იხილა. სხვათა შორის, დრუიდები ამ სპექტაკლებს აკრიტიკებდნენ, ისინი ხომ შურის თვალით უყურებდნენ ყველაფერს, ცდილობდნენ ამით მაყურებელთა რიცხვი შეემცირებინათ. სპექტაკლი ლექსებისა და სიმღერებისგან შედგებოდა, ხოლო ადამიანთა სულის მოძრაობას ცეკვებით გამოხატავდნენ. მდიდარი ფანტაზიის წყალობით დეკორაციები თვალს ხიბლავდა. სანახაობა ხელოვნების რამდენიმე ჟანრს აერთიანებდა და „ოპერად“ იწოდებოდა, თუმცა ეს სიტყვა სხვათა ენას ეკუთვნოდა. იგი ოდესღაც „შვიდი მთის“ ენაზე შრომას, ზრუნვას, საქმიანობას, ხელობას,

წარმოებას, საქმეს აღნიშნავდა. ამ „საქმემ“ ამაზანი აღტაცებაში მოიყვანა. განსაკუთრებით ერთი ქალი მოეწონა: მელოდიური ხმა და გრაციოზული მიხრამოხრა ჰქონდა. სპექტაკლის შემდეგ კიდეც გააცნეს „საქმეში“ მონაწილე ეს ქალი, რომელსაც ამაზანმა ერთი მუჭა ალმასი აჩუქა. მადლიერი ქალი მთელი საღამო არ მოსცილებია, ერთად ივახშმეს. ვახშმობისას ამაზანს თავშეკავებამ უღალატა, ხოლო ნავახშმევს ფიციც დაივიწყა: გულგრილი ყოფილიყო ქალების მომხიბვლელობისადმი. აი, ეს გახლდათ ადამიანის სისუსტის ჭეშმარიტი მაგალითი!

სწორედ ამ დროს ჩამოვიდა ბაბილონელი პრინცესა ამ ქალაქში; თან ჩამოჰყვა ფენიქსი, ირლა და მარტორქებზე ამხედრებული ორასი განგარიდელი მეომარი. მან დიდხანს იცადა, სანამ ქალაქის კარიბჭეს გაუღებდნენ. მერე იკითხა, თქვენთან ხომარ ჩამოსულა ულამაზესი, უმამაცესი, უჭკვიანესი და უერთგულესი მამაკაციო.

ქალაქის მაგისტრატები მიხვდნენ, ამაზანსგულისხმობსო. ფორმოზანტმა ბრძანა სასტუმროში წაეყვანათ, სადაც ამაზანი ჩამომხდარიყო. ენით გამოუთქმელ სიხარულს გრძნობდა: როგორც იქნა ნახავდა მიჯნურს, ერთგულების ამ უტყუარ და უბადლო მაგალითს. სასტუმრომდე ისე მივიდა, არავის შეუჩერებია. ოთახში შევიდა, ფარდები ჩამოშვებული არ იყო და პრინცესამ მაშინვე შეამჩნია ტურფა, შავგვრემანი ქალის

მკერდზე მიძინებული ამაზანი. ორივე განცხრომით ისვენებდა. პრინცესას ისეთი ყვირილი აღმოხდა მწუხარებისგან, მთელ სახლში

გაიგონეს. მიუხედავად ამისა, ყვირილზე არც მის ბიძაშვილს გამოღვიძებია და არც „საქმის“ ქალს.

პრინცესა გულწასული მიესვენა ირლას მკლავებზე. როგორც კი გონს მოიყვანეს, გაუბედურებულმა და გააფთრებულმა სასწრაფოდ დატოვა საბედისწერო ოთახი.

ირლამ ქალის ვინაობა გამოიკითხა. მოახსენეს, მანდილოსანი, ამაზანთან ესოდენ ტკბილ წუთებს რომ ატარებდა „საქმის“ ქალი გახლავთ, ძალიან გულმოწყალე და დიდებული მომღერალიაო.

- ღმერთო სამართლიანო! ძლიერო ოროზმადო! - წამოიძახა თვალცრემლიანმა ფორმოზანტმა, - ვინ მიღალატა? ვისზე გამცვალა? მან ხომ ჩემი გულისთვის უარი უთხრა უამრავ პრინცესას და აი, ახლა ვიღაც გალელი მსახიობი ქალის გამო დამივიწყა! არა, ამ შეურაცხყოფას ნამდვილად ვერ გადავიტან!

- ქალბატონო, - შეჰბედა ირლამ, - ახალგაზრდა მამაკაცები ყველგან ერთნაირნი არიან. როგორც არ უნდა უყვარდეთ სილამაზის ქალღმერთი, ღალატზე თუ მიდგა საქმე, ტრაქტირის მსახურსაც არ ითაკილებენ.

- კმარა! - იყვირა პრინცესამ, - არასოდეს, არასოდეს ჩემს სიცოცხლეში აღარ ვნახავ... ახლავე წავიდეთ აქედან!... უბრძანე, შეაბან მარტორქები.

ფენიქსი ემუდარებოდა, დაიცდეთ, სანამ ამაზანი გაიღვიძებდეს და მომელაპარაკებოდესო.

- ამის ღირსი არ არის, - მიუგო პრინცესამ, - მას თუ დაელაპარაკებით, ამით საშინელ შეურაცხყოფას მომაყენებთ. იფიქრებს, ჩემი თხოვნით უსაყვედურებთ, ან იქნებ ეგონოს, შერიგება მსურს მასთან! თუ ჩემი ხათრი გაქვთ, მის მიერ მოყენებულ შეურაცხყოფას ამ წყენას ნუღარ დაუმატებთ.

ფენიქსმა, ბაბილონის მეფის ასულის წყალობით რომ ცოცხლობდა, ურჩობა ვეღარ გაბედა. პრინცესა და მისი თანმხლები პირნი ქალაქიდან გაემგზავრნენ.

- საით მივდივართ, ქალბატონო? - იკითხა ირლამ.

- თვითონაც არ ვიცი, - უპასუხა პრინცესამ, - ოღონდ ამაზანს გავშორდე სამუდამოდ და სხვა სურვილი არა მაქვს. სულ ერთია, საით წავალთ!

ფენიქსი უფრო გონივრულად აზროვნებდა. ფორმოზანტის მსგავსად გრძნობებს არ იყო აყოლილი. ცდილობდა ბაბილონელი პრინცესა დაემშვიდებინა, ალერსით არწმუნებდა, არ ღირს საკუთარი თავის დასჯა სხვისი დანაშაულის გამოო. ამაზანმა ერთგულების იმდენი ბრწყინვალე საბუთი მოგცათ, ეს წუთიერი შეცდომა უნდა აპატიოთო. ამაზანი ხომ ალალმართალი კაცია, მას მხოლოდ შემთხვევით დააკლო წყალობა ოროზმადმა, ისიც ერთი წუთით, ამიერიდან კიდევ უფრო ერთგული იქნება სიყვარულშიც და სათნოებაშიც. მრავალმა პრინცესამ აპატია მსგავსი შეცდომა თავის სატრფოს და ამით არაფერი წაუგიათო.

ფენიქსმა უხვად მოუყვანა მაგალითები; ისეთი უბადლო მთხრობელი გახლდათ, ნაყოფიც მალე გამოიღო და ფორმოზანტი ნელ-ნელა დამშვიდდა. მალე კიდეც ინანა, რატომ ავჩქარდიო. ახლა უკვე ეჩვენებოდა, მარტორქები მეტისმეტი სისწრაფით მიქრიანო. მაგრამ დაბრუნებაც ვერ გაებედა. ისე დიდხანს ყოყმანობდა ეპატიებინა თუ სიბრაზეს აჰყოლოდა, სიყვარულს დამორჩილებოდა თუ სიამაყეს, რომ მარტორქების შეჩერება გვიანღა იყო. ამიტომაც მიჰყვა მამის მისნის სიტყვებს და მგზავრობა განაგრძო.

ამასობაში ამაზანს გამოეღვიძა. მაშინვე მოახსენეს პრინცესისა და ფენიქსის ჩამობრძანება და უეცარი გამგზავრების ამბავიც. ისიც შეატყობინეს, სასოწარკვეთილი პრინცესა განრისხდა და დაიფიცა, ამაზანს აღარასოდეს ვნახავო.

- ისღა დამრჩენია, დავეწიო და მის წინაშე მოვიკლა თავი! - წამოიძახა ამაზანმა.

მეგობრებმა უსაქმურთა საზოგადოებიდან მყისვე მოირბინეს, უმტკიცებდნენ, სჯობს ჩვენთან დარჩეთ, რა შეედრება ხელოვნების წიაღსა და უდარდელად გატარებულ დღეებს, ბევრი უცხოელი, თვით მეფეებიც კი თმობენ სამშობლოსა და ტახტს და ამგვარ სიმშვიდესა და უსაქმურობას ეძლევიანო, თანაც დაუმატეს, რაკი თქვენი ეტლი დამტვრეულია, ერთი ხელოსანი ახალი მოდის ეტლს გიმზადებთო; ქალაქის საუკეთესო თერძმა თორმეტიოდე ტანსაცმელი გამოგიჭრათ და უკანასკნელ მოდაზე გიკერავენო; ქალაქის ჭკვიანმა და თავაზიანმა მანდილოსნებმა, საკუთარ სახლებში რომ აწყობენ დიდებულ სპექტაკლებს, სათითაოდ გადაწყვიტეს ზეიმი მოგიწყოთ პატივსაცემადო.

ამასობაში „საქმის“ ქალი ტანთ იცვამდა, თან შოკოლადს მიირთმევდა, იცინოდა, მღეროდა და ამით აღიზიანებდა ამაზანს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, ეს ქალი ბატის ჭუკივით სულელიაო.

გულწრფელმა, პირდაპირობის მოყვარულმა, კეთილშობილმა ამაზანმა მეგობრებს უამბო თავისი უიღბლობა და მოგზაურობის მიზეზი. შეატყობინა იმ საბედისწერო კოცნის ამბავიც და ისიც, რომ იგი პრინცესას ბიძაშვილი იყო.

- მერედა რა უშავს! - უთხრეს მეგობრებმა, - ნათესავებმა ერთმანეთს თუ არ აპატიეს პატარ-პატარა შეცოდებანი, მთელ სიცოცხლეს უსიამოვნებაში გაატარებენ!

მაგრამ ამაზანს ვერაფერმა შეურყია განზრახვა. მტკიცედ გადაწყვიტა, ფეხდაფეხ მისდევნოდა ფორმოზანტს. მიუხედავად ამისა, რაკი ეტლი მზად არ იყო, იძულებული გახდა სამი დღე ამ უსაქმურებთან გაეტარებინა ზეიმსა და მხიარულებაში. ბოლოს ყველას გადაეხვია, გამოეთხოვა, სათითაოდ ჩამოურიგა ალმასები, უსურვა მუდამ ასეთი უდარდელნი და მხიარულნი დარჩით, რადგან მხოლოდ ამის წყალობით ხართ ბედნიერი და თავაზიანებიო.

- გერმანელები, - ამბობდა ამაზანი, - უფროსი თაობაა მთელ ევროპაში; ალბიონელები - მოწიფული ასაკის ხალხია, ხოლო გალეთის მცხოვრებნი - ბავშვები არიან... მე მომწონს მათთან თამაში!

XI

ამაზანის მეგზურებს არ დასჭირვებიათ პრინცესის კვალის მიგნება: მისი და ფენიქსის სახელი ყველას პირზე ეკერა. სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრნი ვერ მალავდნენ მისი ნახვით გამოწვეულ აღტაცებას და გაკვირვებას. წარმოიდგინეთ, დალმაციის და მარკ დ'ანკონის[81] ხალხს ესოდენი გაოცება მაშინაც არ გამოუხატავთ, როცა მრავალი წლის წინ მფრინავი სახლი[82] დაინახეს. ლუარის, დორდონის, გარონისა და ჟირონდის სანაპიროებზე ჯერ კიდევ ისმოდა განცვიფრების წამოძახილები.

პირენეის მთების ძირში მაგისტრატებმა და დრუიდებმა უკანასკნელად მოუწყეს ამაზანს ცეკვა-თამაში; მაგრამ როგორც კი მთები გადალახა, არსად არც სიმხიარულე და არც არავითარი გართობა არ დახვედრია. ხანდახან სიმღერის ხმა თუ შემოესმოდა, თუმცა ჰანგი სევდიანი და მწუხარე იყო. იქაურ მცხოვრებლებს ქამრებში გაერჭოთ ხანჯალი და კრიალოსანი და დინჯად მაიბიჯებდნენ ქუჩებში. თალხ ტანსაცმელში ჩაცმულ ხალხზე იტყოდით, მგლოვიარედ არისო; ამაზანის მსახურების შეკითხვაზე გამვლელები უსიტყვოდ ანიშნებდნენ რაღაცას; სასტუმროს პატრონები ძუნწად პასუხობდნენ, საჭმელი არა გვაქვს და თუ აუცილებლად გჭირდებათ, რამდენიმე მილი უნდა გაიაროთო. სამაგიეროდ, თუკი ამ მდუმარე ხალხს ჰკითხავდნენ, ბაბილონის მშვენიერი პრინცესა ხომ არ გინახავთო, მაშინვე ენად გაიკრიფებოდნენ:

- პრინცესა კი ვნახეთ, მაგრამ ის რა ლამაზია? ლამაზი შავგვრემან ხალხზე ითქმის, მას კი ისეთი ალებასტრის კისერი ჰქონდა, უსიამოვნო გრძნობა დაგვეუფლა. ასეთ სილამაზეს ჩვენში არ ცნობენ!

ამაზანი ბეტისის[83] ნაპირას მდებარე პროვინციას მიუახლოვდა. თორმეტი ათასი წელი არც კი გასულიყო მას შემდეგ, რაც ტიროსის მცხოვრებლებმა[84] ეს მხარე აღმოაჩინეს. ეს მოხდა თითქმის იმავე პერიოდში, როცა მათ იპოვეს ატლანტიდის ვეებერთელა კუნძული[85], რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ოკეანემ შთანთქა.

ტიროსელებმა ხელი მიჰყვეს ბეტიკის მიწის დამუშავებას, რადგან ადგილობრივი მკვიდრნი ყამირ მიწებს ხელს არ ახლებდნენ; ამბობდნენ, რა ჩვენი საქმეა, რატომ უნდა ჩავერიოთ, მოვიდნენ ჩვენი მეზობლები, გალები და იმათ დაამუშაონო. სწორედ ტიროსელებმა ჩაიყვანეს იქ პალესტინელები, რომლებიც იმ დროიდან მოყოლებული ყველგან სახლდებიან, სადაც კი ფულის შოვნა შეიძლება. ისინი ორმოცდაათი პროცენტით ასესხებდნენ ფულს და ამ ქვეყნის სიმდიდრეც იგდეს ხელთ. ამან ბეტიკის მცხოვრებლებს აფიქრებინა, პალესტინელები ჯადოქრები არიანო; ჯადოქრობაში შენიშნულ ადამიანს დრუიდთა საზოგადოება ცოცხლად წვავდა კოცონზე. ამ დრუიდებს „მძებნელებს"[86] ან „ანტროპოკებს"[87] უწოდებდნენ. ქურუმები ნიღბიან სამოსში[88] ახვევდნენ მსხვერპლს, იჩემებდნენ მათ ქონებას და სანამ ისინი

por l'amor de Dios[89] ნელ ცეცხლზე იწვოდნენ, პალესტინელთა ლოცვებს ღვთისმოსაურად კითხულობდნენ.

ბაბილონელმა პრინცესამ ფეხი დადგა ამ მიწაზე, მოგვიანებით სევილია რომ დაარქვეს. განზრახული ჰქონდა ბეტისისა და ტიროსის გზით ბაბილონში

დაბრუნებულიყო, მამა ენახა და თუ მოახერხებდა, მოღალატე სატრფო დაევიწყებინა, ან არა და, ცოლად გაჰყოლოდა. პრინცესამ ორი ისეთი პალესტინელი მოიხმო, ყოველგვარი საქმეების მოგვარება რომ შეეძლო სასახლის კარზე. სამიხომალდის შოვნა დაავალა. მოლაპარაკებას ფენიქსი აწარმოებდა და ცოტა ხნის ვაჭრობის შემდეგ ფასზედაც მორიგდნენ.

სასტუმროს დიასახლისი ღვთისმოსავი ქალი გამოდგა, მისი ქმარიც ასეთივე მორწმუნე, „შინაური კაცი“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დრუიდების ჯაშუში გახლდათ. მან მყისვე შეატყობინა ქურუმებს, ჩემს სახლში ჯადოქარი ქალია და ორი პალესტინელი რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებს ოქროსფერი ფრინველის სახით გამოცხადებულ ეშმაკთანო. ქურუმებმა ისიც გაიგეს, მოგზაურს უამრავი ალმასი ჰქონიაო და დაასკვნეს, ნამდვილი ჯადოქარი იქნებაო. რაკი ყველა „მძებნელი“ ლაჩარია, დაღამებას დაუცადეს და მხოლოდ ღამით ჩაკეტეს უზარმაზარი საჯინიბოს კარი, სადაც ორას მხედარს და მარტორქებს ეძინათ. გაამაგრეს ყოველი გასასვლელი, პრინცესა და ირლა დააპატიმრეს, ხოლო ფენიქსის დაჭერა

ვერასგზით ვერ მოახერხეს, ჩიტი ხელიდან გაუსხლტათ და გაფრინდა, იმედი ჰქონდა გალეთიდან სევილიაში მიმავალ გზაზე ამაზანს შეხვდებოდა.

მართლაც, ბეტიკის საზღვართან შეხვდა ამაზანს და პრინცესის თავგადასავალი უამბო. თავზარდაცემულმა, გააფთრებულმა ამაზანმა ხმის ამოღება ვერ მოახერხა, სწრაფად გადაიცვა ფოლადის აბჯარი, შუბით, სათხედით და ბასრი მახვილით შეიარაღდა. ამ მახვილს, „ელვისებურს“ რომ უწოდებდა, ერთი დარტყმით შეეძლო გაეჩეხა ხე, კლდე და დრუიდები. მშვენიერ თავზე სირაქლემისა და ყანჩის ბუმბულით მორთული ოქროს მუზარადი დაიხურა. მაგოგის[90] ეს ძველებური აღკაზმულობა მისმა დამ, ალდემ აჩუქა სკვითიაში ყოფნისას. მარტორქაზე ამხედრებული მცირე ამალა უკან გაჰყვა. ამაზანი გადაეხვია ფენიქსს და სევდიანად უთხრა:

- ყველაფერი ჩემი ბრალია. მე რომ უსაქმურების ქვეყანაში „საქმის“ ქალთან არ მენებივრა, პრინცესა ამ საშინელ დღეში არ ჩავარდებოდა. გავეშუროთ ანტროპოკებისაკენ!

სევილიაში მალე მოვიდნენ. ათას ხუთასი ალგვაზილი[91] დარაჯობდა შენობას, სადაც ორასი განგარიდელი და მარტორქები ჩაემწყვდიათ. პრინცესას, ირლას და ორი პალესტინელის მსხვერპლად გაღებისათვის ყველაფერი მზად იყო.

უხუცესი ანტროპოკე მოსამართლის სავარძელში იჯდა, გვერდით ორი უმცროსი ანტროპოკე ჰყავდა. გულზეხელდაკრეფილ სევილიელებს ქამარზე კრიალოსნები ჩამოეკიდათ და უსიტყვოდ იდგნენ. ნიღბიან სამოსში გახვეული, ხელებგაკრული პრინცესა, ირლა და ორი პალესტინელი დარბაზში შემოიყვანეს.

ფენიქსი სარკმლიდან შეიპარა განგარიდელთა საპყრობილეში. პატიმრებმა შიგნიდან იწყეს კარის შემტვრევა, ხოლო მამაცმა ამაზნმა - გარედან. მარტორქებზე შემსხდარი, შეიარაღებული განგარიდელები ელვის სისწრაფით გამოცვივდნენ საჯინიბოდან. სათავეში ამაზანი ჩაუდგა. დრუიდების, ალგვაზილებისა და ჯაშუშების გაჟლეტა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა: თითო მარტორქა თორმეტ ქურუმს კლავდა ერთი

შეტევით. ამაზანის „ელვისებური“ ორად ჩეხდა მტერს. შავმანტიანები, ჭუჭყიანსაყელოებიანები ერთბაშად გაიფანტნენ, თუმცა por l’amor de Dios ნაკურთხი კრიალოსნებისთვის ხელი არ გაუშვიათ. ამაზანმა უხუცეს „მძებნელს“ ხელი სტაცა და ორმოციოდე ნაბიჯზე მომზადებულ კოცონში ჩააგდო. დანარჩენებიცმას მიაყოლა. როცა საქმეს მორჩა, ფორმოზანტთან მიიჭრა და ფეხებში ჩაუვარდა.

- რა სიკეთე მიყავით! - უთხრა მეფის ასულმა. - „საქმის“ ქალთან რომ არ გეღალატათ, ალბათ გაგაღმერთებდით!

სწორედ იმ დროს, ამაზანი და პრინცესა რომ შერიგდნენ, განგარიდელები კოცონში რომ აგადებდნენ ანტროპოკების გვამებს, ხოლო კოცონის ალი ღრუბლებს სწვდებოდა, ამაზანმა მათკენ მომავალ ჯარს მოჰკრა თვალი.

რვა ჯორით შებმულ ეტლში გვირგვინოსანი მოხუცი მეფე[92] იჯდა. ასი ეტლი უკან მოსდევდა. გვერდით დიდებულ ცხენებზე ამხედრებული მეომრები მოჰყვებოდნენ; შავ მანტიებზე ნაოჭიანი საყელოები ეფინათ, ხოლო თმაგადაგლესილი ხალხის ბრბო უსიტყვოდ მოსდევდა ქვეითად.

ამაზანმა შუბს სტაცა ხელი, განგარიდელების ლაშქარს სათავეში ჩაუდგა და წინ გაეშურა. ამაზანის დანახვისთანავე მეფე ეტლიდან ჩამობრძანდა, გვირგვინი მოიხადა და ამაზანის უზანგს ემთხვია.

- ღვთისგან მოვლენილო ადამიანო, - მიმართა მან, - ჭეშმარიტად ადამის მოდგმის მხსნელი და ჩემი მფარველი ბრძანებულხართ! თქვენ შური იძიეთ, მიწიდან აღგავეთ ეს ურჩხულები, „შვიდი მთის მოხუცის“ სახელით რომ დამიმონეს. მე იძულებული ვიყავი ამეტანა ამ ბოროტმოქმედთა მბრძანებლობა. მათ საშინელ სისასტიკეს წინ რომ აღვდგომოდი, ჩემივე ხალხი მიმატოვებდა. ამიერიდან შვებით ამოვისუნთქავ და თავისუფლად ვიმეფებ. ყოველივეს თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

შემდეგ მოწიწებით ემთხვია ხელზე ფორმოზანტს და სთხოვა, პატივი დამდეთ და ამაზანთან, ფენიქსთან და მოახლე ირლასთან ერთად ჩემს ეტლში ჩაბრძანდითო.

შიშითა და მადლიერების გრძნობით აქამდე მიწაზე გართხმული ორი პალესტინელი წამოდგა და მარტორქების ჯოგის თანხლებით ბეტიკის მეფეს სასახლეში გაჰყვა.

დარბაისელი ხალხის მეფის ღირსება ეტლის ნელ სვლას მოითხოვდა. ამიტომაც ამაზანსა და ფორმოზანტს საშუალება მიეცათ თავიანთი თავგადასავლები მეფისათვის ეამბნათ. მეფე ფენიქსსაც გამოელაპარაკა, აღტაცებული დარჩა და წამდაუწუმ ეფერებოდა. მეფე მიხვდა, რაოდენ უხეში და უმეცარნი გახდნენ დასავლეთის ერები, ცხოველთა ენა რომ დაივიწყეს და მათი შეჭმა დაიჩემეს. მისთვის ისიც ნათელი იყო, მხოლოდ განგარიდელებმა რომ შეინარჩუნეს პირველყოფილი ადამიანის ბუნება და ღირსება. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ბარბაროსები - ანტროპოკები ამაზანმა ახლახან აღგავა მიწიდან. მეფე ერთთავად ლოცავდა და მადლობას უხდიდა ამაზანს. მშვენიერ ფორმოზანტს უკვე დაევიწყნა „საქმის“ ქალი და ახლა მხოლოდ აღტაცებით შეჰყურებდა თავის მხსნელ გმირს. ამაზანმა ეგვიპტის მეფის კოცნის ნამდვილი ამბავიც შეიტყო, ფენიქსის მკვდრეთით აღდგომაც და სიხარულსა და სიყვარულს ვეღარ იოკებდა.

სასახლეში ისადილეს, მაგრამ რაკი ბეტიკის მზარეულები მთელ ევროპაში ცნობილი იყვნენ როგორც ყველაზე უხეირო მზარეულები, ამიტომ უგემურად ისადილეს. ამაზანმა მეფეს ურჩია, გალეთიდან მოიწვიეთ მზარეულებიო. სამეფო ორკესტრმა შესანიშნავი ჰანგები შეასრულა, უფრო მოგვიანებით „ესპანური სიგიჟის“[93] სახელით რომ გახდა ცნობილი. ნასადილევს საქმიანი საუბარი გამართეს. მეფემგამოჰკითხა ამაზანს, ფორმოზანტსა და ფენიქსს, ახლა რას აპირებთო.

- პირადად მე, - წამოიწყო ამაზანმა, - გადაწყვეტილი მაქვს ბაბილონში დავბრუნდე და ბიძაჩემს, ბელუსს მშვენიერი ფორმოზანტის ხელი ვთხოვო და თუკი ჩემი ბიძაშვილი არ ისურვებს ჩემთან ერთად განგარიდში დასახლებას, მინდა ბაბილონში დავრჩე, რომლის მემკვიდრეც გახლავართ.

- მე ჩემს საყვარელ ბიძაშვილს აღარასოდეს დავშორდები, - თქვა ფორმოზანტმა, - მაგრამ ჯერ მამას, მეფებატონს უნდა ვეახლო, მით უმეტეს, მან ხომ მხოლოდ ბასორაში წასვლის ნება მომცა სალოცავად, მე კი მთელი ქვეყანა შემოვიარე.

- მე გადავწყვიტე ყველგან გავყვე ამ ორ ნაზსა და დიდბუნებოვან შეყვარებულებს, - დასძინა ფენიქსმა.

- მართალი ხართ, - დაასკვნა მეფემ, - მაგრამ ბაბილონში დაბრუნება არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც თქვენა გგონიათ. ჩემი ტიროსული ხომალდებისა და პალესტინელი ბანკირების წყალობით კარგად ვიცი, რაც ამ ქვეყანაში ხდება. პალესტინელები მსოფლიოს ყველა ხალხთან აწარმოებენ მიწერ-მოწერას. ევფრატისა და ნილოსის სანაპიროებზე ხალხს იარაღი აუსხამს, სკვითიის მეფე სათავეში ჩასდგომია სამასი ათას მეომარს და თავისი მეუღლის მემკვიდრეობის დაბრუნებას მოითხოვს. ეგვიპტისა და ინდოეთის მეფეები ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებს იკლებენ თურმე. თითოეულს სამასი ათასი მებრძოლი შეუკრებია და ბაბილონის სამეფო კარზე მიღებული შეურაცხყოფისათვის შურისძიება განუზრახავს. ეთიოპიის მეფეს უსარგებლია ეგვიპტის მეფის გამგზავრებით და სამასი ათასი მეომრის დახმარებით ეგვიპტეს იკლებს. ბაბილონის მეფეს ექვსასი ათასი მეომარიღა დარჩენია თავდასაცავად. გამოგიტყდებით, როცა აღმოსავლეთის ამ საშინელი ლაშქრის ამბავს მიყვებიან, როცა მათ ბრწყინვალებას აღმიწერენ, უნებურად ჩვენი უბადრუკი ლაშქარი წარმომიდგება თვალწინ: ჩვენ ხომ ოცი-ოცდაათი ჯარისკაცისგან შემდგარი ლაშქრის გამოკვება და ჩაცმაც კი გვიჭირს! ამიტომ ვფიქრობ, აღმოსავლეთი გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე დასავლეთი-მეთქი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს გუშინწინ გამოვედით ქაოსიდან და მხოლოდ გუშინ გამოვეთხოვეთ ბარბაროსებს.

- ხელმწიფეო, - მიმართა ამაზანმა, - ზოგჯერ ბოლოს მოსულები სჯობნიან ადრე მოსულებს.

ჩემს სამშობლოში გამეფებულია აზრი, თითქოს კაცობრიობა ინდოეთიდან იწყებს თავის დასაბამს; პირადად მე ამაში ჯერჯერობით არა ვარ დარწმუნებული.

- თქვენ რას იტყოდით? - ჰკითხა მეფემ ფენიქსს.

- მე ჯერ იმდენად ახალგაზრდა ვარ, ანტიკურობაზე მსჯელობას ვერ გავბედავ, - უპასუხა ჩიტმა. - მე ხომ ოცდაშვიდი ათასი წლისა ვარ მხოლოდ. მაგრამ ხუთჯერ მეტად ხნიერი მამაჩემი მეუბნებოდა, მამისგან მომისმენია აღმოსავლეთის ქვეყნები ყოველთვის სხვაზე მეტად მრავალრიცხოვანი და მდიდრები იყვნენო. პაპას თავის წინაპრებისგან შეუტყვია, ყოველი პირუტყვი დასაბამს განგის სანაპიროდან ღებულობსო. მე არა ვარ იმდენად პატივმოყვარე, ეს აზრი რომ დავიჩემო. ვერ ვიფიქრებ, თითქოს ალბიონის მელიები, ალპების ზაზუნები, გალური მგლები წარმოშობით ჩემი ქვეყნიდანიყვნენ. ასევე არა მგონია, თითქოსთქვენი მუხები და ნაძვები ინდოეთის პალმებიდან და ქოქოსიდან იღებდეს დასაბამს.

- მაშ საიდანა ვართ წარმოშობით? - იკითხა მეფემ.

- ამისა არა ვუწყი რა, - მიუგო ფენიქსმა, - მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, საით გაემგზავრებიან მშვენიერი პრინცესა და მშვენიერი ამაზანი!

- ვეჭვობ, ორასი მარტორქით შეძლოთ ამ გზის გადალახვა, - თქვა მეფემ, - სადაც სამასი ათასიანი ჯარი დგას.

- რატომაც არა? - შეესიტყვა ამაზანი.

ბეტიკის მეფე მიხვდა ამ „რატომაც არას“ ღრმა მნიშვნელობას, თუმცა სწამდა, სულის სიდიადე, სულაც არ კმაროდა ურიცხვ ლაშქართან შერკინებისთვის.

- გირჩევთ, - წამოიწყო მან, - ეთიოპიის მეფეს შეუერთდეთ! ჩემი პალესტინელების შემწეობით კავშირი მაქვს ამ შავ მეფესთან. იგი ეგვიპტის ფარაონს ეომება და მოკავშირეების პოვნა ძალიან გაუხარდება. მასთან ბარათს გაგატანთ; ამას გარდა ორი ათას ფხიზელ, მამაც მებრძოლსაც გაგაყოლებთ ჩემი ჯარიდან. თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ ამდენივე ჯარისკაცი დაიქირაოთ, პირინეის მთების ძირას რომ ცხოვრობენ, ან უკეთ ცალ ფეხზე რომ ხტუნავენ და „ვასკებს“ ანუ „ვასკონებს“[94] ეძახიან. ერთ-ერთი თქვენი მეომარი მარტორქით გააგზავნეთ მათთან და ცოტაოდენი ალმასებიც გაატანეთ. არ არსებობს ისეთი ვასკონი, მამისეულ კოშკს, ე. ი. ქოხს არ მიატოვებდეს და თქვენთან სამსახურზე უარს იტყოდეს. მოუღლელი, გულადი და მხიარული ხალხია; ძალიან კმაყოფილი დარჩებით. მათ ჩამოსვლამდე ლხინს არ მოგაკლებთ და ხომალდებსაც მოგიმზადებთ. სულ ერთია, თქვენი სამსახურის სამაგიეროს მაინც ვერაფრით აგინაზღაურებთ.

ამაზანი ბედნიერი იყო ფორმოზანტის ხელახლა ნახვით და მასთან საუბრით; აღდგენილი სიყვარული არაფრით ჩამოუვარდებოდა ახლად გაჩენილ გრძნობებს.

მალე ვასკონთა ამაყი და მხიარული ჯარი დაფდაფის ხმაზე ცეკვით შემოვიდა ქალაქში. ასეთივე ამაყი, მაგრამ დინჯი ბეტიკელებისგან შემდგარი მეორე ჯგუფიც მზად იყო. მოხუცი მეფე გულაჩუყებით გადაეხვია ბედნიერ, ახალგაზრდა წყვილს. მისი ბრძანებით ხომალდები იარაღით, საწოლებით, ჭადრაკის ფიგურებით, შავი ტანსაცმლით, ესპანური საყელოებით, ხახვით, ცხვრებით, ქათმებით ფქვილითა და ნივრის დიდი მარაგით დატვირთეს. მეფემ ბედნიერი მგზავრობა, მტკიცე სიყვარული და საქმეში წარმატება უსურვა ახალგაზრდებს.

ფლოტი სანაპიროს მიადგა, სადაც რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით პიგმალეონის დამ[95] და ვინმე სიქევსის მეუღლემ, ფენისიელმა დიდონამ, ქალაქ ტიროსის დატოვების შემდეგ ხარის ტყავი თასმებად დაჭრა და შესანიშნავი ქალაქი, კართაგენი ააშენებინა. ყოველ შემთხვევაში, ასე მოგვითხრობენ ანტიკური მწერლები[96], რომლებიც არასოდეს არ იგონებდნენ ზღაპრებს; ამასვე იმეორებდნენ საბავშვო მოთხრობების დამწერი პროფესორებიც. მაგრამ ტიროსში არასოდეს უცხოვრია არც პიგმალეონს, არც დიდონას, არც სიქევსს, ეს გახლავთ წმინდა ბერძნული სახელები. იმ ხანებში მეფეებიც კი არ იყვნენ ტიროსში. ამაზანის დროს კართაგენი ნავსადგური არ ყოფილა; რამდენიმე ნუმიდიელს თუ შეხვდებოდით იქ, მზეზე თევზებს რომ ახმობდნენ. ფლოტმა ბიზაცენასა[97] და სირტების[98] ნაყოფიერსანაპიროებს ჩაუარა, სადაც შემდეგ კირინეა[99] და დიდებული ხერსონესი[100] აღიმართა.

მგზავრებმა წმინდა მდინარის, ნილოსის პირველ შესართავს მიაღწიეს. ამ ნაყოფიერი მიწის ბოლოს კანოპის ნავსადგური ჯერ კიდევ მაშინ აძლევდა თავშესაფარს ყოველი ერის სავაჭრო ხომალდებს, თუმცაღა არავინ უწყოდა, კანოპმა დაარსა ეს ნავსადგური, თუ კანოპის მცხოვრებლებმა გამოიგონეს ეს ღმერთი; არც ის იცოდა ვინმემ, ქალაქმა ვარსკვლავიდან მიიღო ეს სახელი თუ პირიქით, ვარსკვლავს დაარქვეს მისი სახელი. იცოდნენ მხოლოდ, რომ ქალაქი და ვარსკვლავი უძველესი წარმოშობისა იყო. საერთოდ ბუნების საგნების წარმოშობის შესახებ ამის მეტი არავინ არაფერი უწყის.

სწორედ ამ ადგილას შეხვდა ეთიოპიის მეფე უძლეველ ამაზანსა და მშვენიერ ფორმოზანტს. ეთიოპიის მეფეს უკვე მოესწრო ეგვიპტის ფარაონის აწიოკება. მეფემ ამაზანი ომის ღმერთად მიიღო, ხოლო ფორმოზანტი - სილამაზის ქალღმერთად. ამაზანმა ესპანეთის მეფის ბარათი გადასცა. გმირული დროის ჩვეულების თანახმად, ეთიოპიის მეფემ ჯერ ზეიმი გამართა; შემდეგ ითათბირეს, როგორ დაემარცხებინათ ეგვიპტის ფარაონის, ინდოეთის იმპერატორისა და სკვითიის დიდი ყაენის სამას-სამას ათასიანი ლაშქრები, რომელთაც ალყა შემოერტყათ უზარმაზარი, ამაყი და გართობის მოყვარული ქალაქისათვის, ბაბილონისათვის.

ორი ათასი ესპანელი ამაზანს თან რომ ახლდა, ირწმუნებოდა, ბაბილონის დასახსნელად ეთიოპელები არ გვჭირდება, ჩვენმა მეფემ გვიბრძანა ამ ქალაქის გათავისუფლება და მისი ბრძანების შესრულებას ჩვენ თვითონ შევძლებთო. ვასკონებმა განაცხადეს, არავის დახმარება არ გვჭირდება, ჩვენ თვითონ გავანადგურებთ ეგვიპტელებსაც, ინდოელებსაც და სკვითებსაცო. ხოლო ესპანელებთან ერთად მხოლოდ იმ პირობით წავალთ, თუ არიერგარდში გამოგვყვებიანო. ორასი განგარიდელი კი ესპანელებსაც დასცინოდა და ვასკონებსაც. ასე ამბობდნენ, მთელი ქვეყნის მეფეების უკუსაგდებად ასი მარტორქაც საკმარისიაო.

მშვენიერი ფორმოზანტი ფრთხილად და მომხიბვლელად ესაუბრა მათ და ყველა დააშოშმინა. ამაზანმა განგარიდელები, მარტორქები, ესპანელები, და ვასკონები და დიდებული ფენიქსი წარუდგინა შავ მონარქს. მზადების დამთავრების შემდეგ ლაშქარი მემფისის, ჰელიოპოლისის[101], არსინოეს[102], პეტრას[103], არტემიდეს[104],სორას[105], აპამეს[106] გზით დაიძრა და სამი მეფის წინააღმდეგ კიდეც დაიწყო მარად სახსოვარი ომი; ამ ომთან შედარებით მომდევნო ომები მამლების ან მწყერების ძიძგილს წააგავდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთიოპიის მეფეს შეუყვარდა მშვენიერი ფორმოზანტი და იმ დროს მიუახლოვდა მის საწოლს, როცა ქალიშვილის გრძელ წამწამებს ძილი დასწოლოდა. ისიც ცნობილია, რომ ამის დანახვაზე ამაზანმა წამით გაიფიქრა, დღე და ღამე ერთად შეყრილანო,

აღშფოთდა, „ელვისებური“ მახვილი იშიშვლა, თავხედ ზანგს თავი მოჭკვეთა და ეთიოპელები ეგვიპტიდან განდევნა. ნუთუ ეს სასწაულები ეგვიპტის მატიანეში არაა ჩაწერილი? !

ესპანელების, ვასკონებისა და მარტორქების დახმარებით ამაზანის დიდებული გამარჯვება სამ მეფეზე მთელ მსოფლიოს მოედო.

ამაზანმა ფორმოზანტი მამასმოჰგვარა და მისი ამალა ეგვიპტისტყვეობიდან დაიხსნა. სკვითიის დიდმა ყაენმა ბაბილონის ვასალად გამოაცხადა თავი და ალდესთან მისი ქორწინება კანონიერად აღიარეს. უძლეველი და დიდსულოვანი ამაზანი ბაბილონის მემკვიდრედ გამოაცხადეს და ისიც ფენიქსისა და ასი მოხარკე მეფის თანხლებით ტრიუმფით შევიდა ქალაქში.

მისმა საქორწინო ზეიმმა ბრწყინვალებით გადააჭარბა ყველა ზეიმს, რომელიც კი ოდესმე ბელუსს გაუმართავს. სადილად შემწვარი აპისის ხარი მოიტანეს, ეგვიპტისა და ინდოეთის მეფეები მერიქიფეობას უწევდნენ ახლადდაქორწინებულთ; ბაბილონის ხუთასმა უდიდესმა პოეტმა ლექსები შეთხზა ამ ქორწინების სადიდებლად.

www.lit.ge
იკითხე ყველგან
იკითხე კომფორტულად

XI

ამაზანის მეგზურებს არ დასჭირვებიათ პრინცესის კვალის მიგნება: მისი და ფენიქსის სახელი ყველას პირზე ეკერა. სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრნი ვერ მალავდნენ მისი ნახვით გამოწვეულ აღტაცებას და გაკვირვებას. წარმოიდგინეთ, დალმაციის და მარკ დ’ანკონის[81] ხალხს ესოდენი გაოცება მაშინაც არ გამოუხატავთ, როცა მრავალი წლის წინ მფრინავი სახლი[82] დაინახეს. ლუარის, დორდონის, გარონისა და ჟირონდის სანაპიროებზე ჯერ კიდევ ისმოდა განცვიფრების წამოძახილები.

პირენეის მთების ძირში მაგისტრატებმა და დრუიდებმა უკანასკნელად მოუწყეს ამაზანს ცეკვა-თამაში; მაგრამ როგორც კი მთები გადალახა, არსად არც სიმხიარულე და არც არავითარი გართობა არ დახვედრია. ხანდახან სიმღერის ხმა თუ შემოესმოდა,

თუმცა ჰანგი სევდიანი და მწუხარე იყო. იქაურ მცხოვრებლებს ქამრებში გაერჭოთ ხანჯალი და კრიალოსანი და დინჯად მაიბიჯებდნენ ქუჩებში. თალხ ტანსაცმელში ჩაცმულ ხალხზე იტყოდით, მგლოვიარედ არისო; ამაზანის მსახურების შეკითხვაზე გამვლელები უსიტყვოდ ანიშნებდნენ რაღაცას; სასტუმროს პატრონები ძუნწად პასუხობდნენ, საჭმელი არა გვაქვს და თუ აუცილებლად გჭირდებათ, რამდენიმე მილი უნდა გაიაროთო. სამაგიეროდ, თუკი ამ მდუმარე ხალხს ჰკითხავდნენ, ბაბილონის მშვენიერი პრინცესა ხომ არ გინახავთო, მაშინვე ენად გაიკრიფებოდნენ:

- პრინცესა კი ვნახეთ, მაგრამ ის რა ლამაზია? ლამაზი შავგვრემან ხალხზე ითქმის, მას კი ისეთი ალებასტრის კისერი ჰქონდა, უსიამოვნო გრძნობა დაგვეუფლა. ასეთ სილამაზეს ჩვენში არ ცნობენ!

ამაზანიბეტისის[83] ნაპირას მდებარე პროვინციას მიუახლოვდა. თორმეტი ათასი წელი არც კი გასულიყო მას შემდეგ, რაც ტიროსის მცხოვრებლებმა[84] ეს მხარე აღმოაჩინეს. ეს მოხდა თითქმის იმავე პერიოდში, როცა მათ იპოვეს ატლანტიდის ვეებერთელა კუნძული[85], რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ოკეანემ შთანთქა.

ტიროსელებმა ხელი მიჰყვეს ბეტიკის მიწის დამუშავებას, რადგან ადგილობრივი მკვიდრნი ყამირ მიწებს ხელს არ ახლებდნენ; ამბობდნენ, რა ჩვენი საქმეა, რატომ უნდა ჩავერიოთ, მოვიდნენ ჩვენი მეზობლები, გალები და იმათ დაამუშაონო. სწორედ ტიროსელებმა ჩაიყვანეს იქ პალესტინელები, რომლებიც იმ დროიდან მოყოლებული ყველგან სახლდებიან, სადაც კი ფულის შოვნა შეიძლება. ისინი ორმოცდაათი პროცენტით ასესხებდნენ ფულს და ამ ქვეყნის სიმდიდრეც იგდეს ხელთ. ამან ბეტიკის მცხოვრებლებს აფიქრებინა, პალესტინელები ჯადოქრები არიანო; ჯადოქრობაში შენიშნულ ადამიანს დრუიდთა საზოგადოება ცოცხლად წვავდა კოცონზე. ამ დრუიდებს „მძებნელებს“[86] ან „ანტროპოკებს“[87] უწოდებდნენ. ქურუმები ნიღბიან სამოსში[88] ახვევდნენ მსხვერპლს, იჩემებდნენ მათ ქონებას და სანამ ისინი por l’amor de Dios[89] ნელ ცეცხლზე იწვოდნენ, პალესტინელთა ლოცვებს ღვთისმოსაურად კითხულობდნენ.

ბაბილონელმა პრინცესამ ფეხი დადგა ამ მიწაზე, მოგვიანებით სევილია რომ დაარქვეს. განზრახული ჰქონდა ბეტისისა და ტიროსის გზით ბაბილონში დაბრუნებულიყო, მამა ენახა და თუ მოახერხებდა, მოღალატე სატრფო დაევიწყებინა, ან არა და, ცოლად გაჰყოლოდა. პრინცესამ ორი ისეთი პალესტინელი მოიხმო, ყოველგვარი საქმეების მოგვარება რომ შეეძლო სასახლის კარზე. სამი ხომალდის შოვნა დაავალა. მოლაპარაკებას ფენიქსი აწარმოებდა და ცოტა ხნის ვაჭრობის შემდეგ ფასზედაც მორიგდნენ.

სასტუმროს დიასახლისი ღვთისმოსავი ქალი გამოდგა, მისი ქმარიც ასეთივე მორწმუნე, „შინაური კაცი“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დრუიდების ჯაშუში გახლდათ. მან მყისვე შეატყობინა ქურუმებს, ჩემს სახლში ჯადოქარი ქალია და ორი პალესტინელი რაღაც მოლაპარაკებას აწარმოებს ოქროსფერი ფრინველის სახით გამოცხადებულ ეშმაკთანო. ქურუმებმა ისიც გაიგეს, მოგზაურს უამრავი ალმასი ჰქონიაო და დაასკვნეს, ნამდვილი ჯადოქარი იქნებაო. რაკი ყველა „მძებნელი“ ლაჩარია, დაღამებას დაუცადეს და მხოლოდ ღამით ჩაკეტეს უზარმაზარი საჯინიბოს კარი, სადაც ორას მხედარს და მარტორქებს ეძინათ. გაამაგრეს ყოველი გასასვლელი,

პრინცესა და ირლა დააპატიმრეს, ხოლო ფენიქსის დაჭერა ვერასგზით ვერ მოახერხეს, ჩიტი ხელიდან გაუსხლტათ და გაფრინდა, იმედი ჰქონდა გალეთიდან სევილიაში მიმავალ გზაზე ამაზანს შეხვდებოდა.

მართლაც, ბეტიკის საზღვართან შეხვდა ამაზანს და პრინცესის თავგადასავალი უამბო. თავზარდაცემულმა, გააფთრებულმა ამაზანმა ხმის ამოღება ვერ მოახერხა, სწრაფად გადაიცვა ფოლადის აბჯარი, შუბით, სათხედით და ბასრი მახვილით შეიარაღდა. ამ მახვილს, „ელვისებურს“ რომ უწოდებდა, ერთი დარტყმით შეეძლო გაეჩეხა ხე, კლდე და დრუიდები. მშვენიერ თავზე სირაქლემისა და ყანჩის ბუმბულით მორთული ოქროს მუზარადი დაიხურა. მაგოგის[90] ეს ძველებური აღკაზმულობა მისმა დამ, ალდემ აჩუქა სკვითიაში ყოფნისას. მარტორქაზე ამხედრებული მცირე ამალა უკან გაჰყვა. ამაზანი გადაეხვია ფენიქსს და სევდიანად უთხრა:

- ყველაფერი ჩემი ბრალია. მერომ უსაქმურების ქვეყანაში „საქმის“ ქალთანარ მენებივრა, პრინცესა ამ საშინელ დღეში არ ჩავარდებოდა. გავეშუროთ ანტროპოკებისაკენ!

სევილიაში მალე მოვიდნენ. ათას ხუთასი ალგვაზილი[91] დარაჯობდა შენობას, სადაც ორასი განგარიდელი და მარტორქები ჩაემწყვდიათ. პრინცესას, ირლას და ორი პალესტინელის მსხვერპლად გაღებისათვის ყველაფერი მზად იყო.

უხუცესი ანტროპოკე მოსამართლის სავარძელში იჯდა, გვერდით ორი უმცროსი ანტროპოკე ჰყავდა. გულზეხელდაკრეფილ სევილიელებს ქამარზე კრიალოსნები ჩამოეკიდათ და უსიტყვოდ იდგნენ. ნიღბიან სამოსში გახვეული, ხელებგაკრული პრინცესა, ირლა და ორი პალესტინელი დარბაზში შემოიყვანეს.

ფენიქსი სარკმლიდან შეიპარა განგარიდელთა საპყრობილეში. პატიმრებმა შიგნიდან იწყეს კარის შემტვრევა, ხოლო მამაცმა ამაზნმა - გარედან. მარტორქებზე შემსხდარი, შეიარაღებული განგარიდელები ელვის სისწრაფით გამოცვივდნენ საჯინიბოდან. სათავეში ამაზანი ჩაუდგა. დრუიდების, ალგვაზილებისა და ჯაშუშების გაჟლეტა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა: თითო მარტორქა თორმეტ ქურუმს კლავდა ერთი შეტევით. ამაზანის „ელვისებური“ ორად ჩეხდა მტერს. შავმანტიანები, ჭუჭყიანსაყელოებიანები ერთბაშად გაიფანტნენ, თუმცა por l’amor de Dios ნაკურთხი კრიალოსნებისთვის ხელი არ გაუშვიათ. ამაზანმა უხუცეს „მძებნელს“ ხელი სტაცა და ორმოციოდე ნაბიჯზე მომზადებულ კოცონში ჩააგდო. დანარჩენებიც მას მიაყოლა. როცა საქმეს მორჩა, ფორმოზანტთან მიიჭრა და ფეხებში ჩაუვარდა.

- რა სიკეთე მიყავით! - უთხრა მეფის ასულმა. - „საქმის“ ქალთან რომ არ გეღალატათ, ალბათ გაგაღმერთებდით!

სწორედ იმ დროს, ამაზანი და პრინცესა რომ შერიგდნენ, განგარიდელები კოცონში რომ აგადებდნენ ანტროპოკების გვამებს, ხოლო კოცონის ალი ღრუბლებს სწვდებოდა, ამაზანმა მათკენ მომავალ ჯარს მოჰკრა თვალი.

რვა ჯორით შებმულ ეტლში გვირგვინოსანი მოხუცი მეფე[92] იჯდა. ასი ეტლი უკან მოსდევდა. გვერდით დიდებულ ცხენებზე ამხედრებული მეომრები მოჰყვებოდნენ;

შავ მანტიებზე ნაოჭიანი საყელოები ეფინათ, ხოლო თმაგადაგლესილი ხალხის ბრბო უსიტყვოდ მოსდევდა ქვეითად.

ამაზანმა შუბს სტაცა ხელი, განგარიდელების ლაშქარს სათავეში ჩაუდგა და წინ გაეშურა. ამაზანის დანახვისთანავე მეფე ეტლიდან ჩამობრძანდა, გვირგვინი მოიხადა და ამაზანის უზანგს ემთხვია.

- ღვთისგან მოვლენილო ადამიანო, - მიმართა მან, - ჭეშმარიტად ადამის მოდგმის მხსნელი და ჩემი მფარველი ბრძანებულხართ! თქვენ შური იძიეთ, მიწიდან აღგავეთ ეს ურჩხულები, „შვიდი მთის მოხუცის“ სახელით რომ დამიმონეს. მე იძულებული ვიყავი ამეტანა ამ ბოროტმოქმედთა მბრძანებლობა. მათ საშინელ სისასტიკეს წინ რომ აღვდგომოდი, ჩემივე ხალხი მიმატოვებდა. ამიერიდან შვებით ამოვისუნთქავ და თავისუფლად ვიმეფებ. ყოველივეს თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

შემდეგ მოწიწებით ემთხვია ხელზე ფორმოზანტს და სთხოვა, პატივი დამდეთ და ამაზანთან, ფენიქსთან და მოახლე ირლასთან ერთად ჩემს ეტლში ჩაბრძანდითო. შიშითადა მადლიერების გრძნობით აქამდე მიწაზე გართხმული ორი პალესტინელი წამოდგა და მარტორქების ჯოგის თანხლებით ბეტიკის მეფეს სასახლეში გაჰყვა.

დარბაისელი ხალხის მეფის ღირსება ეტლის ნელ სვლას მოითხოვდა. ამიტომაც ამაზანსა და ფორმოზანტს საშუალება მიეცათ თავიანთი თავგადასავლები მეფისათვის ეამბნათ. მეფე ფენიქსსაც გამოელაპარაკა, აღტაცებული დარჩა და წამდაუწუმ ეფერებოდა. მეფე მიხვდა, რაოდენ უხეში და უმეცარნი გახდნენ დასავლეთის ერები, ცხოველთა ენა რომ დაივიწყეს და მათი შეჭმა დაიჩემეს. მისთვის ისიც ნათელი იყო, მხოლოდ განგარიდელებმა რომ შეინარჩუნეს პირველყოფილი ადამიანის ბუნება და ღირსება. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი ბარბაროსები - ანტროპოკები ამაზანმა ახლახან აღგავა მიწიდან. მეფე ერთთავად ლოცავდა და მადლობას უხდიდა ამაზანს. მშვენიერ ფორმოზანტს უკვე დაევიწყნა „საქმის“ ქალი და ახლა მხოლოდ აღტაცებით შეჰყურებდა თავის მხსნელ გმირს. ამაზანმა ეგვიპტის მეფის კოცნის ნამდვილი ამბავიც შეიტყო, ფენიქსის მკვდრეთით აღდგომაც და სიხარულსა და სიყვარულს ვეღარ იოკებდა.

სასახლეში ისადილეს, მაგრამ რაკი ბეტიკის მზარეულები მთელ ევროპაში ცნობილი იყვნენ როგორც ყველაზე უხეირო მზარეულები, ამიტომ უგემურად ისადილეს. ამაზანმა მეფეს ურჩია, გალეთიდან მოიწვიეთ მზარეულებიო. სამეფო ორკესტრმა შესანიშნავი ჰანგები შეასრულა, უფრო მოგვიანებით „ესპანური სიგიჟის“[93] სახელით რომ გახდა ცნობილი. ნასადილევს საქმიანი საუბარი გამართეს. მეფემ გამოჰკითხა ამაზანს, ფორმოზანტსა და ფენიქსს, ახლა რას აპირებთო.

- პირადად მე, - წამოიწყო ამაზანმა, - გადაწყვეტილი მაქვს ბაბილონში დავბრუნდე და ბიძაჩემს, ბელუსს მშვენიერი ფორმოზანტის ხელი ვთხოვო და თუკი ჩემი ბიძაშვილი არ ისურვებს ჩემთან ერთად განგარიდში დასახლებას, მინდა ბაბილონში დავრჩე, რომლის მემკვიდრეც გახლავართ.

- მე ჩემს საყვარელ ბიძაშვილს აღარასოდეს დავშორდები, - თქვა ფორმოზანტმა, - მაგრამ ჯერ მამას, მეფებატონს უნდა ვეახლო, მით უმეტეს, მან ხომ მხოლოდ ბასორაში წასვლის ნება მომცა სალოცავად, მე კი მთელი ქვეყანა შემოვიარე.

- მე გადავწყვიტე ყველგან გავყვე ამ ორ ნაზსა და დიდბუნებოვან შეყვარებულებს, - დასძინა ფენიქსმა.

- მართალი ხართ, - დაასკვნა მეფემ, - მაგრამ ბაბილონში დაბრუნება არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც თქვენა გგონიათ. ჩემი ტიროსული ხომალდებისა და პალესტინელი ბანკირების წყალობით კარგად ვიცი, რაც ამ ქვეყანაში ხდება. პალესტინელები მსოფლიოს ყველა ხალხთან აწარმოებენ მიწერ-მოწერას. ევფრატისა და ნილოსის სანაპიროებზე ხალხს იარაღი აუსხამს, სკვითიის მეფე სათავეში ჩასდგომია სამასი ათას მეომარს და თავისი მეუღლის მემკვიდრეობის დაბრუნებას მოითხოვს. ეგვიპტისა და ინდოეთის მეფეები ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებს იკლებენ თურმე. თითოეულს სამასი ათასი მებრძოლი შეუკრებია და ბაბილონის სამეფო კარზე მიღებული შეურაცხყოფისათვის შურისძიება განუზრახავს. ეთიოპიის მეფეს უსარგებლია ეგვიპტის მეფის გამგზავრებით და სამასი ათასი მეომრის დახმარებით ეგვიპტეს იკლებს. ბაბილონის მეფეს ექვსასი ათასი მეომარიღა დარჩენია თავდასაცავად. გამოგიტყდებით, როცა აღმოსავლეთის ამ საშინელი ლაშქრის ამბავს მიყვებიან, როცა მათ ბრწყინვალებას აღმიწერენ, უნებურად ჩვენი უბადრუკი ლაშქარი წარმომიდგება თვალწინ: ჩვენ ხომ ოცი-ოცდაათი ჯარისკაცისგანშემდგარი ლაშქრის გამოკვება და ჩაცმაც კი გვიჭირს! ამიტომ ვფიქრობ, აღმოსავლეთი გაცილებით უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე დასავლეთი-მეთქი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს გუშინწინ გამოვედით ქაოსიდან და მხოლოდ გუშინ გამოვეთხოვეთ ბარბაროსებს.

- ხელმწიფეო, - მიმართა ამაზანმა, - ზოგჯერ ბოლოს მოსულები სჯობნიან ადრე მოსულებს. ჩემს სამშობლოში გამეფებულია აზრი, თითქოს კაცობრიობა ინდოეთიდან იწყებს თავის დასაბამს; პირადად მე ამაში ჯერჯერობით არა ვარ დარწმუნებული.

- თქვენ რას იტყოდით? - ჰკითხა მეფემ ფენიქსს.

- მე ჯერ იმდენად ახალგაზრდა ვარ, ანტიკურობაზე მსჯელობას ვერ გავბედავ, - უპასუხა ჩიტმა. - მე ხომ ოცდაშვიდი ათასი წლისა ვარ მხოლოდ. მაგრამ ხუთჯერ მეტად ხნიერი მამაჩემი მეუბნებოდა, მამისგან მომისმენია აღმოსავლეთის ქვეყნები ყოველთვის სხვაზე მეტად მრავალრიცხოვანი და მდიდრები იყვნენო. პაპას თავის წინაპრებისგან შეუტყვია, ყოველი პირუტყვი დასაბამს განგის სანაპიროდან ღებულობსო. მე არა ვარ იმდენად პატივმოყვარე, ეს აზრი რომ დავიჩემო. ვერ ვიფიქრებ, თითქოს ალბიონის მელიები, ალპების ზაზუნები, გალური მგლები წარმოშობით ჩემი ქვეყნიდან იყვნენ. ასევე არა მგონია, თითქოს თქვენი მუხები და ნაძვები ინდოეთის პალმებიდან და ქოქოსიდან იღებდეს დასაბამს.

- მაშ საიდანა ვართ წარმოშობით? - იკითხა მეფემ.

- ამისა არა ვუწყი რა, - მიუგო ფენიქსმა, - მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, საით გაემგზავრებიან მშვენიერი პრინცესა და მშვენიერი ამაზანი!

- ვეჭვობ, ორასი მარტორქით შეძლოთ ამ გზის გადალახვა, - თქვა მეფემ, - სადაც სამასი ათასიანი ჯარი დგას.

- რატომაც არა? - შეესიტყვა ამაზანი.

ბეტიკის მეფე მიხვდა ამ „რატომაც არას“ ღრმა მნიშვნელობას, თუმცა სწამდა, სულის სიდიადე, სულაც არ კმაროდა ურიცხვ ლაშქართან შერკინებისთვის.

- გირჩევთ, - წამოიწყო მან, - ეთიოპიის მეფეს შეუერთდეთ! ჩემი პალესტინელების შემწეობით კავშირი მაქვს ამ შავ მეფესთან. იგი ეგვიპტის ფარაონს ეომება და მოკავშირეების პოვნა ძალიან გაუხარდება. მასთან ბარათს გაგატანთ; ამას გარდა ორი ათას ფხიზელ, მამაც მებრძოლსაც გაგაყოლებთ ჩემი ჯარიდან. თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ ამდენივე ჯარისკაცი დაიქირაოთ, პირინეის მთების ძირას რომ ცხოვრობენ, ან უკეთ ცალ ფეხზე რომ ხტუნავენ და „ვასკებს“ ანუ „ვასკონებს“[94] ეძახიან. ერთ-ერთი თქვენი მეომარი მარტორქით გააგზავნეთ მათთან და ცოტაოდენი ალმასებიც გაატანეთ. არ არსებობს ისეთი ვასკონი, მამისეულ კოშკს, ე. ი. ქოხს არ მიატოვებდეს და თქვენთან სამსახურზე უარს იტყოდეს. მოუღლელი, გულადი და მხიარული ხალხია; ძალიან კმაყოფილი დარჩებით. მათ ჩამოსვლამდე ლხინს არ მოგაკლებთ და ხომალდებსაც მოგიმზადებთ. სულ ერთია, თქვენი სამსახურის სამაგიეროს მაინც ვერაფრით აგინაზღაურებთ.

ამაზანიბედნიერი იყო ფორმოზანტის ხელახლა ნახვით და მასთან საუბრით; აღდგენილი სიყვარული არაფრით ჩამოუვარდებოდა ახლად გაჩენილ გრძნობებს.

მალე ვასკონთა ამაყი და მხიარული ჯარი დაფდაფის ხმაზე ცეკვით შემოვიდა ქალაქში. ასეთივე ამაყი, მაგრამ დინჯი ბეტიკელებისგან შემდგარი მეორე ჯგუფიც მზად იყო. მოხუცი მეფე გულაჩუყებით გადაეხვია ბედნიერ, ახალგაზრდა წყვილს. მისი ბრძანებით ხომალდები იარაღით, საწოლებით, ჭადრაკის ფიგურებით, შავი ტანსაცმლით, ესპანური საყელოებით, ხახვით, ცხვრებით, ქათმებით ფქვილითა და ნივრის დიდი მარაგით დატვირთეს. მეფემ ბედნიერი მგზავრობა, მტკიცე სიყვარული და საქმეში წარმატება უსურვა ახალგაზრდებს.

ფლოტი სანაპიროს მიადგა, სადაც რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით პიგმალეონის დამ[95] და ვინმე სიქევსის მეუღლემ, ფენისიელმა დიდონამ, ქალაქ ტიროსის დატოვების შემდეგ ხარის ტყავი თასმებად დაჭრა და შესანიშნავი ქალაქი, კართაგენი ააშენებინა. ყოველ შემთხვევაში, ასე მოგვითხრობენ ანტიკური მწერლები[96], რომლებიც არასოდეს არ იგონებდნენ ზღაპრებს; ამასვე იმეორებდნენ საბავშვო მოთხრობების დამწერი პროფესორებიც. მაგრამ ტიროსში არასოდეს უცხოვრია არც პიგმალეონს, არც დიდონას, არც სიქევსს, ეს გახლავთ წმინდა ბერძნული სახელები. იმ ხანებში მეფეებიც კი არ იყვნენ ტიროსში. ამაზანის დროს კართაგენი ნავსადგური არ ყოფილა; რამდენიმე ნუმიდიელს თუ შეხვდებოდით იქ, მზეზე თევზებს რომ ახმობდნენ. ფლოტმა ბიზაცენასა[97] და სირტების[98] ნაყოფიერ სანაპიროებს ჩაუარა, სადაც შემდეგ კირინეა[99] და დიდებული ხერსონესი[100] აღიმართა.

მგზავრებმა წმინდა მდინარის, ნილოსის პირველ შესართავს მიაღწიეს. ამ ნაყოფიერი მიწის ბოლოს კანოპის ნავსადგური ჯერ კიდევ მაშინ აძლევდა თავშესაფარს ყოველი ერის სავაჭრო ხომალდებს, თუმცაღა არავინ უწყოდა, კანოპმა დაარსა ეს ნავსადგური, თუ კანოპის მცხოვრებლებმა გამოიგონეს ეს ღმერთი; არც ის იცოდა ვინმემ, ქალაქმა ვარსკვლავიდან მიიღო ეს სახელი თუ პირიქით, ვარსკვლავს დაარქვეს მისი სახელი.

იცოდნენ მხოლოდ, რომ ქალაქი და ვარსკვლავი უძველესი წარმოშობისა იყო. საერთოდ ბუნების საგნების წარმოშობის შესახებ ამის მეტი არავინ არაფერი უწყის.

სწორედ ამ ადგილას შეხვდა ეთიოპიის მეფე უძლეველ ამაზანსა და მშვენიერ ფორმოზანტს. ეთიოპიის მეფეს უკვე მოესწრო ეგვიპტის ფარაონის აწიოკება. მეფემ ამაზანი ომის ღმერთად მიიღო, ხოლო ფორმოზანტი - სილამაზის ქალღმერთად. ამაზანმა ესპანეთის მეფის ბარათი გადასცა. გმირული დროის ჩვეულების თანახმად, ეთიოპიის მეფემ ჯერ ზეიმი გამართა; შემდეგ ითათბირეს, როგორ დაემარცხებინათ ეგვიპტის ფარაონის, ინდოეთის იმპერატორისა და სკვითიის დიდი ყაენის სამას-სამას ათასიანი ლაშქრები, რომელთაც ალყა შემოერტყათ უზარმაზარი, ამაყი და გართობის მოყვარული ქალაქისათვის, ბაბილონისათვის.

ორი ათასი ესპანელი ამაზანს თან რომ ახლდა, ირწმუნებოდა, ბაბილონის დასახსნელად ეთიოპელები არ გვჭირდება, ჩვენმა მეფემ გვიბრძანა ამ ქალაქის გათავისუფლება და მისი ბრძანების შესრულებას ჩვენ თვითონ შევძლებთო. ვასკონებმა განაცხადეს, არავის დახმარება არ გვჭირდება, ჩვენ თვითონ გავანადგურებთ ეგვიპტელებსაც, ინდოელებსაც და სკვითებსაცო. ხოლო ესპანელებთან ერთად მხოლოდ იმ პირობით წავალთ, თუ არიერგარდში გამოგვყვებიანო. ორასი განგარიდელი კი ესპანელებსაც დასცინოდა და ვასკონებსაც. ასე ამბობდნენ, მთელი ქვეყნის მეფეების უკუსაგდებად ასი მარტორქაც საკმარისიაო. მშვენიერი ფორმოზანტი ფრთხილად და მომხიბვლელად ესაუბრა მათ დაყველა დააშოშმინა. ამაზანმა განგარიდელები, მარტორქები, ესპანელები, და ვასკონები და დიდებული ფენიქსი წარუდგინა შავ მონარქს. მზადების დამთავრების შემდეგ ლაშქარი მემფისის, ჰელიოპოლისის[101], არსინოეს[102], პეტრას[103], არტემიდეს[104],სორას[105], აპამეს[106] გზით დაიძრა და სამი მეფის წინააღმდეგ კიდეც დაიწყო მარად სახსოვარი ომი; ამ ომთან შედარებით მომდევნო ომები მამლების ან მწყერების ძიძგილს წააგავდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთიოპიის მეფეს შეუყვარდა მშვენიერი ფორმოზანტი და იმ დროს მიუახლოვდა მის საწოლს, როცა ქალიშვილის გრძელ წამწამებს ძილი დასწოლოდა. ისიც ცნობილია, რომ ამის დანახვაზე ამაზანმა წამით გაიფიქრა, დღე და ღამე ერთად შეყრილანო, აღშფოთდა, „ელვისებური“ მახვილი იშიშვლა, თავხედ ზანგს თავი მოჰკვეთა და ეთიოპელები ეგვიპტიდან განდევნა. ნუთუ ეს სასწაულები ეგვიპტის მატიანეში არაა ჩაწერილი? !

ესპანელების, ვასკონებისა და მარტორქების დახმარებით ამაზანის დიდებული გამარჯვება სამ მეფეზე მთელ მსოფლიოს მოედო.

ამაზანმა ფორმოზანტი მამას მოჰგვარა და მისი ამალა ეგვიპტის ტყვეობიდან დაიხსნა. სკვითიის დიდმა ყაენმა ბაბილონის ვასალად გამოაცხადა თავი და ალდესთან მისი ქორწინება კანონიერად აღიარეს. უძლეველი და დიდსულოვანი ამაზანი ბაბილონის მემკვიდრედ გამოაცხადეს და ისიც ფენიქსისა და ასი მოხარკე მეფის თანხლებით ტრიუმფით შევიდა ქალაქში.

მისმა საქორწინო ზეიმმა ბრწყინვალებით გადააჭარბა ყველა ზეიმს, რომელიც კი ოდესმე ბელუსს გაუმართავს. სადილად შემწვარი აპისის ხარი მოიტანეს, ეგვიპტისა

და ინდოეთის მეფეები მერიქიფეობას უწევდნენ ახლადდაქორწინებულთ; ბაბილონის ხუთასმა უდიდესმა პოეტმა ლექსები შეთხზა ამ ქორწინების სადიდებლად.